პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 იანვარი **ორშაბათი** 2011

№ 023 (13 320) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალაძის 1568 დღე გოლიდან გოლამდე



↳ 3

ევრობასკეტი 2011. წილისყრა

# აქაც რუსი რომელსაც ვეიოლებით

↳ 12




**A ჯგუფი**
ესპანეთი
თურქეთი
ლიტვა
დ/ბრიტანეთი
პოლონეთი
კვალიფიკაცია

**B ჯგუფი**
სერბეთი
საფრანგეთი
გერმანია
ისრაელი
იტალია
ლატვია

**C ჯგუფი**
საბერძნეთი
ხორვატია
ჩერნოგორია
მაკედონია
ბოსნია
კვალიფიკაცია

**D ჯგუფი**
სლოვენია
რუსეთი
ბელგია
საქართველო
ბულგარეთი
უკრაინა



2004 წელი. საქართველო-რუსეთი 87:71

# ჭრიკიშვილის მორიგი გაელვება

↳ 11




თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

www.msy.gov.ge



↳ 8

# მოუს მოუგეს

ეროვნული

ინტერვიუ

# მე დრო ვითხოვე და არა ფული!

## დავით მუჯირს აკვირვებს იაპონია და... ქართული ხმები: საიდან, თითქოს 20 000 დოლარი მოვითხოვე დინამოს, რომლის გამოც ზესტაფონს და ტორპედოს უარი ვუთხარი?

**დავით მუჯირი** იაპონიის ჯეი-ლიგის "სანფრეჩე ჰიროსიმაში" თითქმის ერთი კვირაა ვარჯიშობს. საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ამბობს, რომ დარჩა სამედიცინო შემოწმება და კონტრაქტს გააფორმებს. ცხადია, „დინამოს" თემასაც ვერ ავცდით და მუჯირმა ბევრი საინტერესო ამბავი გაგვიმხილა.

დათოს იაპონიაში დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- კონტრაქტი უკვე გააფორმე?**

- ალბათ, მაქსიმუმ ორ კვირაში გავაფორმებ.

**- რა არის გადასაწყვეტი?**

- ჰიროსიმაში კლუბის ხელმძღვანელობა ადგილზე არ დამხვდა, აზიის თასზე იყვნენ. ახლა გუნდი შეკრებაზეა ოკინავაში, ჰიროსიმაში 9 თებერვალს დავბრუნდებით, 10-ში სამედიცინო შემოწმებას გავივლი, ამ დროისთვის ხელმძღვანელობაც დაბრუნდება და, იმედია, 10 ან 11 თებერვალს კონტრაქტი გაფორმდება.

**- ანუ გასინჯვაზე არ ხარ?**

- არა, "სანფრეჩე ჰიროსიმაში" მიხაილო პეტროვიჩმა მიმიწვია, რომელიც გრაცის "შტურმში" მავარჯიშებდა და კარგად მიცნობს. მას კონკრეტული თანხა დავუსახელე და ვუთხარი, რომ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში წავიდოდი. თანხმობა მალე მივიღე, კონტრაქტის პირობები შეთანხმებულია, 20 დღე ვიზის ასაღებად დამჭირდა და იაპონიაში გამოვფრინდი..

**- შენს ასაკში იაპონიაში მიწვევა საპატიოა: ბოლო წლებში მათ ჩემპიონატში დიდი ფული ჩაიდო, პირველობის დონეც გაიზარდა და ცნობილ ვეტერანებსაც იწვევენ.**

- სხვა წინადადებებიც მქონდა. სხვათა შორის, ეს თბილისის „დინამოშიც" იცოდნენ. არ დავმალავ, იაპონელებმა ფინანსურად ყველაზე კარგი პირობები შემომთავაზეს, ავსტრია-შვეიცარიაში რა დონეც არის, ეს კარგად ვიცი. ჯერ კიდევ ავსტრიაში თამაშის დროს მათ რუსეთის პრემიერლიგამ გაასწრო, მაგრამ ვფიქრობ, იაპონიაც არაფრით ჩამორჩება, თუ არ ალემატება. ინტერნეტში ბევრი რამ მოვიძიე და ჩემდა გასაოცრად ბევრი საინტერესო ფეხბურთელი და კლუბი აღმოვაჩინე, ცნობილი ვეტერანებიც ჯეი-ლიგას სიამოვნებით ეტანებიან. აწყობილი ქვეყანაა და ჩემპიონატიც კარგი დონისაა. რა თქმა უნდა, ასეთ ქვეყანაში მიწვევამ გამახარა.

**- პეტროვიჩმა საიდან გაგიხსენა?**

- წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ მისი ზარი სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ამიტომაც მოტივირებული ვარ, იმედები რომ გავუმართლო. იაპონიაში თამაშზე არასდროს მიოცნებია, მაგრამ საუკეთესო წინადადება იყო მწვრთნელისგან, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ.

უკვე ისიც გამოიკვეთა, რა პოზიციაზე მათამაშებს. პეტროვიჩი აქაც იმავე ტაქტიკას იყენებს, რასაც "შტურმში" , თავდამსხმელი ერთია, მის უკან კი - ორი პლეიმეიკერი. უყვარს შემტევი ფეხბურთი, მე გამოკვეთილად მარჯვენა ან მარცხენა მხარეს არ მათამაშებს, ვითარების მიხედვით პოზიციას მეორე პლეიმეიკერს ვუცვლი.

**- იაპონიაში უცხოელებზე ლიმიტია?**

- სამ უცხოელზე მეტს არ აქვს თამაშის უფლება. ლეგიონერები ისედაც იყვნენ და ჩემთან ერთად კიდევ ერთი ხორვატი ჩამოვიდა.

**- თბილისის "დინამოში" რატომ არ დარჩი?**

- ჯერ მინდა, თბილისის "დინამოს" წარმატება ვუსურვო. დიდი ხნის შემდეგ დავბრუნდი, მაგრამ მეგონა, არსად წავსულვარ, ხელმძღვანელობა და ბიჭები ისე თბილად და მეგობრულად დამხვდნენ.

ოღონდ, მინდა, იმ ხმებზე ვთქვა, ბოლო დროს რომ გავრცელდა, თითქოს მე „დინამოს" ზღაპრული კონტრაქტი მოვთხოვე.

**- ამბობენ, თითქოს ხელფასად 20 ათასი დოლარი დაასახელე.**

- ეგ ხმები ჩემამდეც მოვიდა და მიკვირს, რატომ ვრცელდება, როდესაც აბსურდია და ასე არ ყოფილა.

იაპონიიდან მიხაილო პეტროვიჩი დეკემბერში დამიკავშირდა და ეს წინადადება "დინამოსთვის" არ დამიმალავს. მაშინ ვფიქრობდი, რომ თბილისური კლუბი კონკრეტულ წინადადებით არ მოუმართავს და ჩემს შენარჩუნებას შეეცდებოდა, მაგრამ დეკემბერი გაილია, იანვარი დაიწყო, გუნდმა მზადება განაახლა და როდესაც არაფერი მითხრეს, მივხვდი, ჩემი თავისთვის უნდა მიმეხედა.

"დინამოდან" 12 იანვარს დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ინტერესი ჰქონდათ, მაგრამ კონკრეტული წინადადება არ ჰქონიათ. ეს ზარი უკვე დაგვიანებული იყო, იაპონელებთან უარის თქმა უხერხული იქნებოდა. ეს რომ დეკემბერში მომხდარიყო, შვეიცარია-იაპონიისკენ არც გავიხედებოდი...

ამის მიუხედავად, ვუთხარი, კონტრაქტს თუ შემომთავაზებთ, კონკრეტული პირობებიც დაასახელეთ-მეთქი. რა ოცი ათასი დოლარი, მე თანხის ოდენობაზე არც მილაპარაკია. არ დავმალავ,



"დინამოში" დაბრუნებულს "ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია დამიკავშირდა და მკითხა, რა პირობებით წამოხვალო. დეკემბერში ქუთაისის "ტორპედოდანაც" შემეხმიანენ, მაგრამ ორივეს ავუხსენი, რომ საქართველოში მხოლოდ თბილისის "დინამოში" დავრჩებოდი, რადგან ეს კლუბი ჩემთვის კლუბზე მეტია. ერთადერთი, ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტის გაფორმება მოვითხოვე, რადგან ყველა უცხოურ მიწვევასა და სიკეთეზე უარს ვამბობდი და კარიერის "დინამოში" დასრულება მსურდა.

ვიმეორებ, ფინანსური მოთხოვნები არ წამიყენებია, ვაჭრობას არ დავიწყებ, თქვენ იცით, რაც უნდა შემომთავაზოთ-მეთქი. სამწუხაროდ, მერე 20 იანვარს დამიკავშირდნენ, თავს შევიკავებთო.

**- იაპონიასა და საქართველოს შორის დროში დიდი სხვაობაა და ადაპტაცია არ გაგიჭირდა?**

- როგორ არ გამიჭირდა. პირველ ვარჯიშზე მოედანზე რომ გავედი, თბილისში დილის ხუთის ნახევარი იყო. სხვათა შორის, მაშინაც შემეძლო სამედიცინო შემოწმების გავლა, მაგრამ ადაპტაციის გარეშე არ მსურდა, ორგანიზმი მაინც გადაღლილი იყო. იაპონელებმა კარგად იციან ჩამოსულთა პრობლემები და პირველ დღეს თავად მითხრეს, რამდენიც გინდა, იმდენი ივარჯიშეო. თუმცა ორ დღეში აზრზე მოვედი.

**- იაპონიით გაკვირვებას უკვე მოასწრებდი.**

- დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოვედი. მთლიანობაში, ქალაქში ნახევარ დღეზე მეტხანს არც გავსულვარ, მაგრამ ინფრასტრუქტურითა და მთლიანად ქვეყნით გაოცებული ვარ, მაგარი ქვეყანაა. ჰიროსიმა ის ქალაქია, სადაც მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ამერიკელებმა ატომური ბომბი ჩამოაგდეს, მაგრამ ეს თუ დაბომბილი ქალაქია, სხვა რაღა იქნება. აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ. დისკომფორტს მხოლოდ ოჯახიდან შორს ყოფნა მიქმნის.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი

# ოპტიმალური გა[illegible]ბა

თურქულ შეკრებაზე მყოფი თბილისის „დინამომ" გუშინ კიდევ ერთ უკრაინულ გუნდს წაესპარინგა - ლუცკის „ვოლინი" ამ სეზონში საკმაოდ წარმატებით ასპარეზობს და თავის ქვეყნის ჩემპიონატში პირველი ეტაპის შემდეგ VI ადგილზე იმყოფება. ამ გუნდის „მარადიული" მწვრთნელის, **ვიტალი კვარციანის** შეგირდთა ასეთ შედეგს ბევრი არ მოელოდა - „ვოლინი" ხომ უმაღლეს ლიგას გარკვეული პაუზის მერე დაუბრუნდა და ყველას მიაჩნდა, რომ გასავარდნად იყო განწირული. თუმცა სეზონის დაწყების წინ გუნდი საკმაოდ გაძლიერდა როგორც ლეგიონერებით (რუმინელები - **ადრიან ნიაგა, სორინ პარასკივი**, სერბი - **სტეფან რაჩიჩი,** ნიგერიელი - **ჰარისონ ომოკოკო**, ბოსნიელი - **საშა სტევიჩი**), ასევე უკრაინული ფეხბურთის ორი დამსახურებული ვეტერანითაც, **ვლადისლავ ვაშჩუკითა** და **რომან მაქსიმიუკით.**

... „სევასტოპოლთან" ჩატარებული წინა მატჩისგან განსხვავებით „დინამო" ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობით გამოვიდა მოედანზე და, აქედან გამომდინარე, ჩვენთვის სასურველმა შედეგმაც არ დააყოვნა. დინამოელთა ძირითად შემადგენლობაში იყვნენ ტესტირებაზე მყოფი ლეგიონერები: ჩეხი ცენტრალური მცველი **ირჟი ჰომოლა** და სერბი შემტევი ნახევარმცველი **გორან ცვეტკოვიჩი.** სამწუხაროდ, ამ უკანასკნელმა პირველ ტაიმში ორი უაღრესად ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა და, ალბათ, ამის გამოც იყო, შესვენებამდე რომ შეცვალეს. სხვათა შორის, იმავე პირველ ტაიმში ცვეტკოვიჩის ნაცვლად შემოსულ კახელიშვილსაც შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მეტოქის მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ეს ხელსაყრელი შანსი ვერ გამოიყენა. ამის მიუხედავად, ანგარიში „დინამომ" გახსნა: მე-18 წუთზე **გულვერდ თომაშვილმა** პენალტი ზუსტად დაარტყა; პირველი ტაიმის ბოლო წუთზე კი უკრაინელთა ფორვარდმა **ევგენი პავლოვმა** წონასწორობა აღადგინა და შესვენებაზე გუნდები საყაიმო ანგარიშით გავიდნენ. აი, მეორე ტაიმში კი „დინამოს" უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა, თუმცა გამარჯვების მომტანი გოლი მხოლოდ მატჩის მიწურულს გავიდა: **ალექსანდრე კოშკაძის** მიერ შესრულებული „სტანდარტულის" შემდეგ გიორგი კახელიშვილმა მეტოქის მეკარესა და მცველებს აჯობა და თავის გუნდს თურქულ შეკრებაზე პირველი მოგებაც (2:1) მოუტანა. აღსანიშნავია, რომ გუშინდელ მატჩში „დინამოს" შემადგენლობაში კიდევ ერთმა პოტენციურმა ახალწვეულმა ითამაშა: 186 სმ სიმაღლის ბოსნიელმა ფორვარდმა **ვლადიმირ კარალიჩმა,** თავის ნაკრებშიც რამდენიმე მატჩი რომ აქვს ჩატარებული და ბოლოს პოლონეთის ჩემპიონატში, „ბიტომის" ღირსებას რომ იცავდა.

„ვოლინთან" მატჩში „დინამომ" ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: **ლორია (46. ზარქუა) - კაკუბავა (69. ციმაკურიძე), თომაშვილი, ჰომოლა, მაროვიჩი - ფირცხალავა (72. ედნილსონი), კვეკვესკირი - რობერტინიო (62. შ. კაშია), ცვეტკოვიჩი (33. კახელიშვილი), კოშკაძე - ტატანაშვილი (46. კარალიჩი).**

მომდევნო მატჩს „დინამო" ხვალ ჩაატარებს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, **კახა კაჭარავას** გუნდის მეტოქე ხორვატიული „ოსიეკი" იქნება.



გიორგი კახელიშვილი

■ ■ ■

ცხინვალის „სპარტაკი" მეორე ეტაპისათვის მზადებას განაგრძობს. **ბადრი კვარაცხელიას** გუნდმა მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. „სპარტაკის" მეტოქე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი (მთავარი მწვრთნელი - **გოჩა ჟორჟოლიანი**) იყო და გამარჯვებაც რანგით დაბალი ლიგის წარმომადგენელს დარჩა - 4:2. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ტრავმების გამო „სპარტაკს" ძირითადი შემადგენლობის 8 ფეხბურთელი (**სოსო გრიშიკაშვილი, ბოიომო ფრიდოლინი, ნუკრი მანჩხავა, ლევან ჭაფოძე, თემურ შონია, ვლადიმერ უგრეხელიძე, ზვიად მეტრეველი, ილია ბუზალაძე**) აკლდა. ამის გამოც იყო, რომ „სპარტაკმა", ფაქტობრივად, ექსპერიმენტული შემადგენლობით იასპარეზა - დუბლშემადგენლობის მოთამაშეებთან ერთად სტუ-სთან მატჩში მონაწილეობა მიიღეს გუნდში ტესტირებაზე მყოფმა ჭაბუკებმაც. სპარტაკელთა მხრიდან გოლები გაიტანეს **დავით ზერეკიძემ** და **გიორგი ალავიძემ**; აქვე იმასაც ვიტყვით, რომ „სპარტაკის" ხელმძღვანელობას დიდი სურვილი აქვს გუნდში დაიტოვოს **გიორგი მამუჩიშვილი**, - ყველაფერი კი თურქული შეკრებიდან „დინამოს" დაბრუნების შემდეგ გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ ეს ახალგაზრდა ნახევარმცველი ბოლო ორი სეზონის განმავლობაში „დინამოს" ღირსებას იცავდა და ახლა იჯარით გადავა „სპარტაკში" თუ სრულუფლებიან კონტრაქტს გააფორმებს, მხოლოდ ეს არის გასარკვევი.

**გია ტუხაშვილი**

# ტორპედოს მესამე ფრე: ენერგეტიკული

ქუთაისის „ტორპედომ" თურქული შეკრების მესამე ამხანაგური მატჩიც ფრედ დაასრულა - 1:1 „სკა-ენერგიასთან". კლუბის პრესსამსახურის ცნობით, "ტორპედომ" ანგარიში 32-ე წუთზე გახსნა: მეკარე **მაქსიმე ქვილითაიას** მიერ დარტყმული ბურთი მეტოქის საჯარიმოსთან **ვახტანგ კვარაცხელიამ** მიიღო და ზუსტად გააგზავნა კარში - 1:0.

ხაბაროვსკელებმა წონასწორობა მეორე ტაიმში აღადგინეს. ბოლო წუთზე კი **დავით კირკიტაძემ ლაშა კემუხტაშვილი** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა და შეხვედრაც მალე დასრულდა.

**„ტორპედო": ქვილითაია, სეთურიძე, ფარულავა, თოდუა, გურული (25. თარხნიშვილი), დილმელაშვილი (83. გიგაური), დათუნაიშვილი (68. ჩხეტიანი), გუგუჩია (26. ბაკურაძე), დოლიძე (50. კირკიტაძე), კვარაცხელია (72. კემუხტაშვილი), გოცირიძე (55. საბანაძე).**

მომდევნო საკონტროლო შეხვედრას ქუთაისის „ტორპედო" 31 იანვარს ხორვატიის „ვარტექსთან" გამართავს.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# დირექტორი კიკნაძე ზამთარაძე

## ლოკომოტივაცია: გაზარდე მომავალი

**ზაზა ზამთარაძე** და **გიორგი კიკნაძე** ერთად გაზრდილები, მეგობრები და მეზობლები არიან. თბილისის "დინამოშიც" ერთად მივიდნენ, მწვრთნელობაც ერთად დაიწყეს, უმაღლეს ლიგაში მუშაობაც და ასე მოიარეს რუსთავის "ოლიმპი", ქუთაისის "ტორპედო", თბილისის "ლოკომოტივი" – რაც მთავარია, კარგად მუშაობდნენ და მათზე ამიტომაც იყო მოთხოვნა. თუმცა ორი წლის წინ ფეხბურთიდან გაუჩინარდნენ.

მერე, ცხადია, ისევ ერთად გამართეს პრესკონფერენცია, სადაც მეორე ნაკრების იდეა წამოაყენეს და კვლავ გაუჩინარდნენ.

ახლა ორივე "დიდ ავიაციაში" დაბრუნდა და საქმიანობას თბილისის "ლოკომოტივში" განაგრძობენ, რომელიც პირველ ლიგაში თამაშობს და არ ულხინს.

*"დიდი ხანია, ფეხბურთს ჩამოვშორდით. მართალია, რამდენიმე კლუბში მწვრთნელად გვიწვევდნენ, მაგრამ ლექსო თოფურიამ ყველაზე კონკრეტული საქმე შემოგვთავაზა და "ლოკომოტივში" დაგვაბრუნა. გიორგი სპორტულ დირექტორად დაინიშნა, მე - კლუბის საფეხბურთო სკოლის დირექტორად. ჩვენ "ლოკომოტივის" განვითარება, სელექცია და მომავალი ჩაგვაბარეს. "ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლა საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა. აქ გაზრდილი ხუთი მოთამაშე 17-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს და, ვფიქრობ, საინტერესო სამუშაო გველის, რადგან "ლოკომოტივის" მიზანი ნიჭიერი ბავშვების გამოვლენა და დაწინაურებაა"*, - გვითხრა ზამთარაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია გამოხატავს მწუხარებას და თანაუგრძნობს ქალბატონებს ნარგიზ და კესო ჩხიკვაძეებს
მამის
გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 17

## ნიკა სანდუხაძე: ჯერ ნაკრები, მერე უცხოეთი

შარშან, ოქტომბერში თბილისში გამართული შესარჩევი ციკლის მატჩების შემდეგ უცხოური კლუბები საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელებით დაინტერესდნენ. თავდამსხმელი **ბაჩო არაბული** ახლაც კიევის "დინამოში" ისინჯება. მან საკონტროლო შეხვედრებში სამი გოლი გაიტანა, მაგრამ არა და არ გადაწყდა მისი საკითხი – ბაჩო ხუმრობს კიდეც, მგონი, კონტრაქტი ისე გამიფორმეს, არ მეუბნებიანო.

უცხოელი სელექციონერებისგან 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანმა **ნიკა სანდუხაძემაც** საინტერესო წინადადებები მიიღო.

*"როგორც მითხრეს, დონეცკის "შახტარშიც" მიწვევენ და ტოლიატის საფეხბურთო აკადემიაშიც, რომელსაც რომან აბრამოვიჩი აფინანსებს. მაგრამ ახლა ჩვენი ნაკრებისთვის გადამწყვეტი ეტაპია: როგორც ელიტრაუნდისთვის მოვემზადებით, შედეგებიც ისეთი გვექნება. მალე ესპანეთში ამ ქვეყნის 17-წლამდელებთან ორი შეხვედრა გველის, მერე კიდევ იქნება შეკრებები და არ მინდა ამ დროს, აქეთ-იქით სიარულით ფორმიდან ამოვვარდე. სათანადოდ უნდა მოვემზადო, საფრანგეთში გასამართ ელიტრაუნდის მატჩებში კარგად რომ ვითამაშო"*, - გვითხრა სანდუხაძემ.

ტანმაღალი ცენტრალური მცველი ამჟამად თბილისის "დინამოს" აკადემიაში თამაშობს. ელიტრაუნდის ჯგუფში საქართველოს მეტოქეები მასპინძელი საფრანგეთი, ბელარუსი და ნორვეგია იქნებიან.

**მერაბ მამულაშვილი**


17-წლამდელები ურეკულ შეკრებაზე

## რას ხედავს ჟორჟიკაშვილი: კონდიცია, კომბინაცია

ურეკულ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა შაბათს მორიგი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა – ფოთის "კოლხეთს" გაეჯიბრა და 2:4 დამარცხდა. უპირატესობა თავიდანვე ფოთელებმა იგდეს ხელთ, პირველი ტაიმი 2:0 მოიგეს და შესვენების შემდეგაც არ დამცხრალან - ანგარიში 4:0-ამდე გაზარდეს. მატჩის დასკვნითი ნაწილი კი 17-წლამდელთა კარნახით წარიმართა და **კობა ჟორჟიკაშვილის** ფეხბურთელებმა ორი ბურთის გაქვითვაც შეძლეს. "კოლხეთის" შემადგენლობიდან დუბლი **გულუამ** შეასრულა, თითო ბურთი კი **წიქარიშვილისა** და **ცხვიტარიას** ანგარიშზეა. ნაკრების შემადგენლობიდან თავი **გოგიჩაიშვილმა** გამოიჩინა, რომელმაც "კოლხეთს" ორი ჯარიმა გაუტანა.

კოლხეთი: **ძაგანია – ბარამიძე, ცხვიტარია, გეგელია, მეგრელიშვილი – გვალია, კვერენჩხილაძე, გულუა, მოისწრაფიშვილი – წიქარიშვილი, გოგონაია.**

*შეცვლაზე შევიდნენ:* **ლობჟანიძე, ქორჩილავა, გელაჭეიშვილი, ფურთუხია, ნაჭყებია.**

U 17: **მიქავა – მთივლიშვილი, ღლანიძე, ჭილვარია, მონიავა – მარკოზაშვილი (ექვთიმიშვილი), ენდელაძე (ღირდალაძე), გოგიჩაიშვილი, სამუშია – დიასამიძე – ფანცულაია (კაჭარავა).**

შედეგის მიუხედავად, ჟორჟიკაშვილი საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა. *"ასაკში სხვაობა მაინც საგრძნობი ფაქტორია და უმაღლესი ლიგის ბინადართან წაგება გასაკვირი ნამდვილად არ არის. შედეგს ჩვენთვის არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ მაინც შეგვეძლო, მარცხი თავიდან აგვეცილებინა. მეორე ტაიმში არაერთი საგოლე მომენტი გავაფუჭეთ, რაც გამოუცდელობის ბრალია. გუნდის კონდიციებით კი კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ ბიჭები დაკისრებულ ამოცანას კარგადართმევენ თავს, ნაკრები სწრაფ და კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობს"*, - ამბობს ჩვენი ნაკრების თავკაცი.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ 17-წლამდელებს უძლიერესი შემადგენლობით არ უთამაშიათ. უკვე გამცნეთ, რომ **ბაჩანა არაბული** და **ლუკას ჰუფნაგელი** გუნდს ურეკში არ გაჰყოლიან, ზღვისპირეთში ჩასულ ფეხბურთელთაგან კი "კოლხეთის" წინააღმდეგ **სანდოხაძეს, ცნობილაძესა** და ძირითად მეკარე **თებიძეს** სხვადასხვა უმნიშვნელო პრობლემის გამო არ უთამაშიათ, მაგრამ საგანგაშო არაფერია, მწყობრში სამივე მალე ჩადგება. ფოთელებთან სპარინგის პირველივე ტაიმში დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა **მარკოზაშვილი**, მაგრამ მასაც უკვე ყველაფერი რიგზე აქვს.

დღეს ჟორჟიკაშვილის გუნდი ბოლნისის "სიონთან" მოსინჯავს ძალებს და ნაკრების სამწვრთნელო შტაბი იმ ფეხბურთელებსაც მისცემს თავის გამოჩენის შანსს, ვისაც წინა სპარინგებში ვერ დააკვირდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამზადისი

## ზესტაფონი 2:2 ლეხი
## გეგუჩაძე 2:2 ბაკერო

ზესტაფონი: **რ. კვასხვაძე (46. მამალაძე), ალადაშვილი (46. ბენაშვილი), ვინისიუში (14. მ. კობახიძე), გრუიცა (46. გ. ონიანი), ელიავა (58. წინამძღვრიშვილი), დაუშვილი (30. გორგიაშვილი), ბაბუნაშვილი (46. ძარია), ჭანკოტაძე (46. აფციაური), ფიფია (46. გრიგალაშვილი), დვალი (46. ს. ლომია), წინამძღვრიშვილი (46. ჩიხლაძე).**

ლეხი: **კოტოროვსკი, გოლა (46. განჩარჩიკი), ბანდროვსკი (46. ჯურჯევიჩი), ვილკი (46. კრივეცი), კიელბი (46. ზაპოტოკა), უბიპარიპი (46. რუდნევსი), შტილიჩი (46. შლუსარსკი), ბოსაცკი (46. ვოლაკევიჩი), კიკუტი (46. ინიაცი), ენრიკესი (46. მიკოლაიჩაკი), კამინსკი (46. მოჟდჟენი).**

გოლები: **1:0 წინამძღვრიშვილი (33), 1:1 უბიპარიპი (35), 1:2 მიკოლაიჩაკი (76), 2:2 ძარია (90)**

ესპანურ შეკრებაზე მყოფმა "ზესტაფონმა" პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ღირსეულ შედეგს მიაღწია – წლევანდელი ევროსეზონის ერთ-ერთ აღმოჩენას, ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალში გასულ და პოლონეთის ექვსგზის ჩემპიონ პოზნანის "ლეხს" ფრედ ეთამაშა. ესტეპონასთან ახლოს მდებარე მარბელიას საფეხბურთო ცენტრში საკმაოდ სანახაობრივი და შინაარსიანი დაპირისპირება გაიმართა, გამარჯვება ორივე გუნდს შეეძლო, საბოლოოდ კი ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა.

ორივე გუნდის მწვრთნელმა ექსპერიმენტებს მიმართა - ოპტიმალური სასტარტო შემადგენლობით არც ქართველებს უთამაშიათ და არც პოლონელებს. **გია გეგუჩაძემ** და **ხოსე მარია ბაკერომ** წამყვან ფეხბურთელთა ნაწილი მოედანზე მეორე ტაიმში შეუშვეს, რითაც ახალგაზრდებსაც მისცეს თავის გამოჩენის შანსი. "ზესტაფონის" რიგებში არ გამოჩენილან **ნიკოლოზ გელაშვილი, გიორგი ხიდეშელი** და გუნდის ახალწვეული **ზურაბ მენთეშაშვილი**. სამივე მათგანმა ეს შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა, მაგრამ საგანგაშო არც ერთის მდგომარეობაა. თავს ნორმალურად გრძნობს **მურთაზ დაუშვილიც**, რომელსაც მიკროტრავმამ მოედანი 30-ე წუთზე დაატოვებინა.

დებიუტში გეგუჩაძის ფეხბურთელები უფრო აქტიურობდნენ და ძირითადში გამწესებულ სამ ფორვარდს, **რატი წინამძღვრიშვილს, გოგა ფიფიასა** და **ჯაბა დვალს** ანგარიშის გახსნის შესაძლებლობებიც მიეცათ, მაგრამ "ლეხის" მეკარე **კშიშტოფ კოტოროვსკი** უშეცდომოდ მოქმედებდა. დაწინაურება მაინც "ზესტაფონმა" შეძლო. **თორნიკე გორგიაშვილმა** ბრწყინვალე გადაცემით წინამძღვრიშვილი მეტოქის კარის დარაჯთან პირისპირ გაიყვანა. რატიმ კოტოროვსკიც უსაქმოდ დატოვა და მის დასახმარებლად ჩასულ მცველებსაც გაუმკლავდა – 1:0. ჩვენებურების სიხარულმა ორიოდე წუთს გასტანა. "ლეხის" სერბმა ლეგიონერმა **ვოიო უბიპარიპმა** ანგარიში თავურით გაათანაბრა.

მეორე ტაიმის დასაწყისი პოლონელთა კარნახით წარიმართა და "ზესტაფონის" კარში 61-ე წუთზე დანიშნული პენალტიც ლოგიკური იყო. თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან "ლეხის" ლატვიელი ბომბარდირი, ევროპის ლიგის ორ მატჩში ტურინის "იუვენტუსისთვის" ოთხი გოლის გამტანი **არტიომს რუდნევსი** მივიდა და **ზურაბ მამალაძეს** ვერ აჯობა – "ზესტაფონის" მეკარემ დარტყმა კუთხურზე მოიგერია.

ამ ეპიზოდის შემდეგ "ზესტაფონი" გამოცოცხლდა, მაგრამ გოლი მაინც საკუთარ კარში მიიღო. რუდნევსი ამჯერად ასისტენტად მოგვევლინა, მისი პასით კი ქართველთა კარი **ტომაშ მიკოლაიჩაკმა** დალაშქრა.

"ზესტაფონმა" მეტოქის კარზე გადამწყვეტი შტურმი მიიტანა. 89-ე წუთზე **ალექსი ბენაშვილის** მიერ ჩაწოდებული ბურთი ახალგაზრდა **ნიკოლოზ ჩიხლაძემ** მიზანს ოდნავ ააცილა, თუმცა გეგუჩაძის ბიჭებმა საწადელს მსაჯის მიერ დამატებულ პირველ წუთზე მიაღწიეს. ისევ ბენაშვილმა შეასრულა გონივრული გადაცემა და **ირაკლი ძარიამ** მახვილი კუთხიდან საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

2 თებერვალს "ზესტაფონი" "მარბელიას თასის" გათამაშებაში ჩაერთვება. მეოთხედფინალში მისი მეტოქე პრაღის "სპარტა" იქნება.

### ბრაზილიელი შეუშვეს-გაუშვეს

ხორვატი **გორან გრუიცა** უკვე "ზესტაფონის" ფეხბურთელად შეგვიძლია მივიჩნიოთ, აი, მეორე ლეგიონერი კი გეგუჩაძეს არ დაუმატებია. "ზესტაფონის" შემადგენლობაში **ვინისიუშს** შენიშნავდით. 20 წლის ბრაზილიელი მცველი, რომელიც აქამდე "კრუზეიროში" ირიცხებოდა, "ზესტაფონის" თავკაცმა ძირითად შემადგენლობაში გაამწესა, მაგრამ მისმა დონემ არ დააკმაყოფილა და მე-14 წუთზევე შეცვალა. ასე რომ, ვინისიუშის ზესტაფონური კარიერა ვერ შედგება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი

## ჯაბას კარიერას კრივოი გაასწორებს?

დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" მიერ ტრანსფერზე დაყენებული **ჯაბა კანკავა** კრივოი როგის "კრივბასს" თურქეთში შეკრებაზე გაჰყვა - იუწყება "კრივბასის" ოფიციალური ვებგვერდი.

ჯაბას საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა, კრივოიროგელთა მთავარი მწვრთნელი საბოლოო პასუხს შეკრების შემდეგ იტყვის.

ლობჟანიძე კი "დნიპრომ" მეორე ესპანურ შეკრებაზე წაიყვანა. საქართველოს ნაკრების მცველმა მუცლის კუნთზე ოპერაცია გაიკეთა და ჯერ მსუბუქად იტვირთება.

## ფოფხაძე შერიფში?

სამარის "კრილია სოვეტოვმა" კვიპროსული შეკრების შემდეგ ქართველი ფეხბურთელები, **გიორგი ფოფხაძე** და **ლაშა ჩაფიძე** არ დაიტოვა.

*"ფოფხაძე ჩვენს მოთამაშეებს არ სჯობს, ჩაფიძე კი ჯერ ახალგაზრდაა და ძირითადში მოხვედრა გაუჭირდება"*, - თქვა "კრილიას" მწვრთნელმა **ალექსანდრ ტარხანოვმა**.

ფოფხაძე უგუნდოდ დიდხანს არ დარჩენილა - მოლდოვური ვებგვერდის ცნობით, 24 წლის ქართველი მცველი ტირასპოლის "შერიფში" ვარჯიშობს. მას კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია და არც 29 იანვარს ბენდერის "დინამოსთან" საკონტროლო შეხვედრაში უთამაშია.

## ვესროლე ზედადგარი, მესროლა მაშა

### ქართველებმა ძველვოდევილური სცენები ნახეს

თურქეთში მყოფ თაუზის „თურანში" ოთხი ქართველი ემზადება - **ოლეგ გველესიანი, გიორგი ხურციძე, გიორგი ბერიაშვილი** და **გიორგი ჭედია**. კვირას მათ კლუბს კორეული „გიონგამი" შეხვდა, მაგრამ მატჩზე საინტერესო სათადარიგოთა სკამთან მომხდარი ამბები იყო.

პირველი ტაიმის მიწურულს კორეელთა მწვრთნელმა თურანელ კოლეგას სათლი ესროლა, ხურდაც მიიღო და იქ ამბები ატყდა, დედა შვილს არ აიყვანდა - მსაჯმაც თამაში შეწყვიტა და მოწინააღმდეგეთა დაშოშმინება მოუხდა. არაფერია ცნობილი, „საგმირო ამბავში" ქართველები აქტიურობდნენ თ[illegible] არა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# გოლი 1568 დღის შემდეგ

2006 წლის 14 ოქტომბერს „მილანი" გენუას ესტუმრა, ჩვენი თანამემამულე **კახა კალაძე** 77-ე წუთზე შევიდა მოედანზე, როცა „სამპდორია" 1:0-ს იგებდა, თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე კახამ „მილანი" მარცხისგან იხსნა ახლო მანძილიდან გატანილი გოლით. ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ კალაძემ 4 წლის, 3 თვისა და 16 დღის შემდეგ გაიტანა. 1568-დღიანი საგოლე შიმშილობა კვირას დასრულდა, „ჯენოა"-„პარმას" მატჩის 45-ე წუთზე სტანდარტულის გათამაშების შემდეგ ქართველმა ბურთი საჯარიმოს ცენტრში მიიღო და ცაციათი მეკარე **ანტონიო მირანტეს** მარცხენა კუთხეში გაუტანა. „ჯენოამ" 3:1 მოიგო, ეს გოლი ბოლო იყო მატჩში. კალაძემ „ჯენოას" მაისურით პირველი გოლი გაიტანა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა „პარმასთან" ცენტრალურ მცველად ითამაშა **დარიო დაინელისთან** წყვილში და იტალიური მედიისგან მაღალი შეფასებებიც დაიმსახურა. სერია B-ში „ემპოლი" „ვარეზეს" 1:1 დაუზავდა, მასპინძელთა ფორვარდი **ლევან მჭედლიძე** სათადარიგო იყო.

**ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგმა" 2:1 მოუგო სტუმრად „სტივენიჯს" და ინგლისის თასის მერვედფინალში გავიდა. ქართველი მცველი მატჩის განაცხადში იყო, მან ტრავმა უკვე მოირჩინა, თუმცა თამაშმა არ მოუწია. საფრანგეთის ლიგა 2-ში „ლე მანმა" 3:0 მოუგო „აიაჩოს", **გიორგი მაკარიძე** სათადარიგო იყო.

**ლევან კობიაშვილის** „ჰერტა" მიზნისკენ მიიწევს, ბერლინელებმა სტუმრად 3:1 მოუგეს აუტსაიდერ „არმინიას". ამ თამაშისთვის გამოჯანმრთელება მოასწრო და 90 წუთი ითამაშა ქართველმა ლეგიონერმაც. ჩვენებურმა 45-დან 34 ზუსტი პასი გააკეთა, სამწუხაროდ, მისი ერთი არაზუსტი პასი თამაშის მიწურულს „ჰერტას" კარში გოლად დაუჯდა . „შპორტალმა" ლევანის თამაშს 3-იანი დაუწერა. „ჰერტა" 42 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. როგორც იქნა, მოიგო **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ", რომელმაც შინ „ენერგი" დაამარცხა - 1:0. ქართველმა კაპიტანმა შეუცვლელად ითამაშა. „კარლსრუემ" „ამოყვინთა" გასავარდნი ზონიდან - 20 ქულით მე-15-ეა. „შპორტალმა" იაშვილს 3 ბალი დაუწერა. „მიუნხენი" „დუისბურგს" 1:1 დაუზავდა, **მათე ღვინიანიძემ** (3,5 ქულა) კი პირველი ტაიმი ითამაშა. „მიუნხენი" 29 ქულით მე-9 ადგილზეა.

ჰოლანდიის ჩემპიონატში დიდი ანგარიშით მოიგო **მერაბ ჟორდანიას** „ვიტესმა", რომელმაც „როდა" 5:2 დაამარცხა. **გურამ კაშიამ** ცენტრალურ მცველად ითამაშა. შეგახსენებთ, რომ წინა ტური ქართველმა მცველმა ავადმყოფობის გამო გამოტოვა. „ვიტესი" 21 ქულით მე-14 ადგილზეა.

საბერძნეთის სუპერლიგაში „პანიონიოსის" რიგებში **დავით კვირკველიას** დებიუტი გადაიდო. „პანათინაიკოსთან" გასვლით მატჩში (0:2) „ერგოტელისის" მცველი **გიორგი შაშიაშვილი** სათადარიგოს როლით დაკმაყოფილდა. კვიპროსის ჩემპიონატში **ლევან მალრაძის** „ერმისი" „ანორთოსისს" 2:1-ს უგებდა, როცა სტუმართა გუნდის ფანებმა თამაში ჩაშალეს. ქართველი მოედანზე იყო. გუშინვე **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისის" ხელმძღვანელობამ „სამუდამო საკუთრებაში" გადასცა 14-ნომრიანი მაისურა, ამიერიდან ამ კლუბში 14 ნომრით ვერავინ ითამაშებს.

წლეულს პირველად **ლადო დვალიშვილმა** გოლი ვერ გაიტანა - ისრაელის ჩემპიონატის მორიგ ტურში ჰაიფას „მაქაბი" იერუსალიმის „ბეითარს" ეწვია და 0:0 დაუზავდა. ჩემპიონატში დვალიშვილს ზედიზედ 5 ტურში ჰქონდა გატანილი (6 გოლი), მეექვსეზე კი სერია შეწყდა. ქართველმა ფორვარდმა ბოლოს მოედანი უგოლოდ 13 დეკემბერს დატოვა. „ბეითართან" მატჩის მიწურულს ჩვენებურს გოლის გატანის შესანიშნავი შანსი ჰქონდა. „მაქაბის" 45 ქულა აქვს და მე-2 ადგილზეა, რადგან ბურთების შეფარდებით თელ ავივის „ჰაპოელი" სჯობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


კახა კალაძე

ახალგაზრდა მწვრთნელები

# გიორგი ყიფიანის განსხვავებული სამყარო

ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს მართლაც დამაიმედებელი ტენდენცია წამოვიდა: ახალგაზრდა მწვრთნელები წარმატებებს აღწევენ თავიანთთვის ახალ პროფესიულ საქმიანობაში და არაერთხელ მომხდარა ისეთი ფაქტიც, როცა ბევრად გამოცდილ კოლეგებს ტოლს არ უდებენ. ჩვენი დღევანდელი სტუმარი სწორედ ერთ-ერთი იმ ახალგაზრდა მწვრთნელთაგანია — 32 წლის გიორგი ყიფიანს უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონი ჰქონდა და მისი ხელმძღვანელობით მოასპარეზე ბოლნისის „სიონმა" ჩემპიონატის პირველ ეტაპზე რამდენიმე სასიამოვნო სიურპრიზიც შემოგვთავაზა.

...გიორგი ყიფიანს ურიგო საფეხბურთო კარიერა არ ჰქონია; საქართველოს ჩემპიონატში რამდენიმე გუნდის ღირსებას იცავდა, მაგრამ ყველაზე უკეთ მისი შესაძლებლობები მაინც „ვიტ ჯორჯიაში" გამოვლინდა, რომლის შემადგენლობაშიც მეორედ ვერცხლის პრიზიორი გახდა, ერთხელაც — ბრინჯაოსი. 1999-2000 წლების სეზონში საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში მესამე ადგილზე გავიდა და მხოლოდ ორ დამსახურებულ ვეტერანსა და აღიარებულ გოლიადორს, ზურაბ იონანიძესა და ვარლამ კილასონიას ჩამორჩა; გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოს ახლაგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდა, ამას გარდა ეროვნულ ნაკრებშიც ორი მატჩი აქვს ჩატარებული; ამპლუით გამთამაშებელი გახლდათ (დღევანდელ ქართულ ფეხბურთში „სანთლით საძებნი" რომ არიან), შეტევების უნარიანად წამოწყება ეხერხებოდა და თამაშის ჭკვიანურად „წაკითხვითა" და წარმართვით საქართველოს ჩემპიონატში იმ დროისათვის მოასპარეზე სხვა ფეხბურთელებშიც გამოარჩევდით. მერე კარიერის გაგრძელება უცხოეთში სცადა: მეტ-ნაკლები წარმატებით ასპარეზობდა საბერძნეთის, ლატვიისა და ისრაელის ჩემპიონატებში. სწორედ ისრაელში დაასრულა აქტიური კარიერა და გარკვეული პერიოდი „საფეხბურთო ჰორიზონტზე" არ ჩანდა; და აი, შარშან ზაფხულს, ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, ბოლნისის „სიონის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა! თანაც, ყველაფერი ეს, ფაქტობრივად, ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გადაწყდა (ბოლნისურ კლუბში ასეთი რამეები უკვე ტრადიციად იქცა) და არც იმას დავმალავთ, რომ ახალგაზრდა მწვრთნელის შესაძლებლობებს „სიონის" ქომაგთა გარკვეული ნაწილი, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად თუ უყურებდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 2010 წლის ზაფხულამდე ყიფიანს არანაირი სამწვრთნელო გამოცდილება არ გააჩნდა. თუმცა, დაიწყო ჩემპიონატი და ნათლად გამოჩნდა, რომ დებიუტანტი მწვრთნელის სახით ქართულ ფეხბურთში პერსპექტიული სპეციალისტი მოგვევლინა: გიორგი ყიფიანის ხელმძღვანელობით „სიონმა" რამდენიმე გამორჩეული მატჩი ჩაატარა და მათ შორის, რალა თქმა უნდა, „დინამოსთან" და „ოლიმპთან" გამარჯვებებიც უნდა ვახსენოთ. თუმცა, სეზონის წინ შეკრების გაუვლელობამ, წამყვან ფეხბურთელთა ტრავმებმა თუ სხვა მიზეზებმა გუნდის შედეგზეც ასახვა ჰპოვა — პირველთან შედარებით, „სიონმა" მეორე წრე ბევრად უფრო სუსტად ჩაატარა. ამის მიუხედავად, მთავარი მწვრთნელის პასუხისმგებლობის საკითხზე არც ღიად და არც „ზურგსუკან" არავინ საუბრობდა — „სიონმა" ყიფიანის ხელმძღვანელობით დაიწყო მეორე ეტაპისათვის მზადება. და აი, როცა გუნდი ურეკში უნდა გამგზავრებულიყო, სწორედ მაშინ შევიტყვეთ ყიფიანის გადადგომის ამბავი!

**მართლაც უცნაურად ჩანდა — უმაღლესი ლიგის გუნდიდან მწვრთნელი საკუთარი სურვილით მიდიოდეს, ასეთი ფაქტები ხომ ჩვენთან იშვიათობას წარმოადგენს. „სიონის" უკვე ყოფილ მთავარ მწვრთნელნ გიორგი ყიფიანთან ჩვენი საუბარიც სწორედ ამ უცნაური გადაწყვეტილების გარკვევით დავიწყეთ...**

— „სიონიდან" არც სკანდალით წამოვსულვარ და არც კლუბის ხელმძღვანელებზე დამრჩენია წყენა; უბრალოდ, გუნდიდან ჩემი წამოსვლის მიზეზი აზრთა სხვადასხვაობა იყო: პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ გუნდის სამომავლო გეგმებზე ჩემებური ხედვა მქონდა, ხელმძღვანელობას — განსხვავებული...

— **ეგ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გადამწყვეტი ეტაპის დაწყებამდე სამი კვირით ადრე მწვრთნელი რომ საკუთარი სურვილით გუნდიდან მიდიოდეს, მაინც უცნაურ გადაწყვეტილებად მიგვაჩნია...**

— ვიმეორებ: სერიოზულ უთანხმოებამდე საქმე არ მისულა; ძალიან მცირე ხნის სამწვრთნელო გამოცდილება მაქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ნებისმიერმა სპეციალისტმა საკუთარი გეგმების რეალიზება უნდა შეძლოს. ჩემს შემთხვევაში კი იყო რამდენიმე საკითხი, კლუბის ხელმძღვანელებისგან განსხვავებული აზრი რომ მქონდა, უპირველესად, გუნდის დაკომპლექტებას ვგულისხმობ.

— **ახლა რას აპირებთ?**

— სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას! ოღონდ, შევეცდები მაქსიმალურად გამოვიყენო თავისუფალი დრო, სხვადასხვა სამწვრთნელო სემინარებსაც დავესწრო და პრაქტიკული გამოცდილებაც მივიღო. რაც მთავარია, დიდი სურვილი მაქვს მაისში A ლიცენზია მოვიპოვო და ცოდნა გავიღრმავო.

— **ისე, „სიონიდან" საკუთარი სურვილით წამოსვლაზე უფრო მეტად „უცნაურად" ის ფაქტი მიგვაჩნია, როცა გასული წლის ზაფხულში ბოლნისური კლუბის მთავარ მწვრთნელად დაინიშნეთ.**

— ვიცი, რომ ბევრს გაუკვირდა სამწვრთნელო ასპარეზზე ჩემი გამოჩენა - მანამდე ხომ არანაირი გამოცდილება არ მქონია; თუმცა, თუ ადამიანს სერიოზულად



გიორგი ყიფიანი

აქვს მწვრთნელობა გადაწყვეტილი, საიდანღაც ხომ უნდა დაიწყოს ეს საქმიანობა? ამიტომაც, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის „მადნეულის" ხელმძღვანელობისადმი, როცა ამ კომპანიის წარმომადგენლები დამიკავშირდნენ და „სიონის" გაძღოლა შემომთავაზეს; რა თქმა უნდა, უდიდესი ნდობა იყო და ასეთ გამოწვევაზე უარს ვერ ვიტყოდი.

— **„ნდობა", „გამოწვევა", — ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სრულიად „უცხო" და ახალ გარემოში როგორ წარმოაჩენდით საკუთარ თავს, ამაზე არ დაფიქრებულხართ?**

— ჯერ ერთი, წინადადება რომ მივიღე, მოსაფიქრებლად 2-3 დღე ვითხოვე; შემდეგ, კარგად ავწონდავწონე ყველაფერი, ფეხბურთელებსა და გუნდის პერსონალს შევხვდი და გადაწყვეტილებაც მივიღე. თან, არ დაგავიწყდეთ, ჩემპიონატის დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო იყო დარჩენილი და შეკრების გავლას ვინ ჩივის, გუნდის დაკომპლექტებამაც ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოგვიწია.

— **სამწვრთნელო გამოცდილება?**

— წელანაც ვთქვი, რომ როცა იქნება, ხომ უნდა დაიწყო დამოუკიდებლად მუშაობა; ბოლოს ისრაელში ვცხოვრობდი და ერთ-ერთ იქაურ კლუბში, ბეერ-შევას „ჰაპოელში" სამი-ოთხი თვის განმავლობაში მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ ვმუშაობდი. რა თქმა უნდა, საკმარისი დრო არ იყო, დიდი სამწვრთნელო გამოცდილება მიმეღო, მაგრამ „სიონის" შემოთავაზება ერთგვარი გამოცდასავით იყო, აი, საკუთარ თავს რომ ეუბნები: აჰა, მიდი და დაამტკიცე, რა შეგიძლიაო...

— **მერე, საკუთარ მუშაობას როგორ შეაფასებდით?**

— უპირველეს ყოვლისა, უდიდესი გამოცდილება მივიღე; რა თქმა უნდა, გაცილებით ძნელი ყოფილა დამოუკიდებლად მუშაობა, ვიდრე წარმომედგინა. თანაც, არ დაგვავიწყდეს ის უამრავი ხელის შემშლელი ფაქტორიც: ჩემპიონატის დაწყებამდე სწრაფ რეჟიმში მზადება, უკვე სეზონის მსვლელობისას წარმოქმნილი საკადრო პრობლემები და ასე შემდეგ. ამ ყველაფრის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ მთლიანობაში ურიგოდ არ გვიასპარეზია და მჯერა, მეორე ეტაპზე „სიონს" ხუთეულში მოხვედრაზეც უნდა ჰქონდეს პრეტენზია.

— **ისე, გუნდმა პირველი წრე ბევრად უფრო დამაჯერებლად ჩაატარა, ვიდრე — მეორე. როგორ ფიქრობთ, რა იყო ამის მიზეზი?**

— ისევ და ისევ, სეზონისწინა მოუმზადებლობა: მეორე წრეში ბიჭებს გადაღლილობა დაეტყოთ; ამას გარდა, ჩემპიონატის დაწყების წინ სელექციის ჩატარებაც ვერ მოვასწარით, მერე წამყვანი ფეხბურთელების ტრავმები თუ დისკვალიფიკაციებიც დაგვემატა, თორემ ცხრილში რამდენიმე საფეხურით მაღლა ვიქნებოდით.

— **როცა გუნდის გაძღოლას დათანხმდით, იმ ფაქტორზე არ გიფიქრიათ, რომ ყოფილი თანაგუნდელების (მერლანი, გოცირიძე, ნოზაძე)... მწვრთნელი უნდა ყოფილიყავით? ეგ კი არა, „სიონის" ერთ-ერთი ფეხბურთელი (გივი დიდავა) სულაც თქვენზე უფროსია...**

— ალბათ, ჩვენი საუბრის დასაწყისშივე უნდა მეთქვა „სიონის" ფეხბურთელებისადმი სამადლობელი და საქებარი სიტყვები: რომ არა მათი მხარდაჭერა, ჩემი მუშაობა არც გამოჩნდებოდა; იმავეს ვიტყოდი ჩემს სამწვრთნელო შტაბზე და კერძოდ, გიორგი ყიფშიძეზე, ვისი გამოცდილება და გვერდში დგომაც არანაკლებ დასაფასებელია. რაც შეეხება ყოფილ თანაგუნდელებს, მოედანს მიღმა მეგობრები ვიყავით და ვრჩებით კიდეც, მაგრამ საწვრთნელ პროცესში თუ თამაშის მსვლელობისას ჩვენ შორის წმინდა პროფესიული დამოკიდებულება იყო. საერთოდ, არ მიყვარს ხოლმე კონკრეტული ფეხბურთელების გამოყოფა, მაგრამ ყველაზე მონდომებულნი სწორედ ჩემი ყოფილი თანაგუნდელები იყვნენ.

— **პირველ ეტაპზე თქვენი ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სიონმა" ორი გამორჩეული მატჩი ჩაატარა, როცა „დინამოსა" და „ოლიმპს" მოუგო.**

— გუნდში მისვლის პირველი დღიდანვე ფეხბურთელებს მუდამ იმას ვეუბნებოდი, რომ წარმატებით თამაში ნებისმიერ მეტოქესთან იყო შესაძლებელი; ანუ, ფსიქოლოგიურ ფაქტორს განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებდი და ძალიან მიხარია, რომ იმავე „ოლიმპისა" და „დინამოს" დამარცხების შემდეგ ბოლნისის სტადიონზე გულშემატკივართა რაოდენობამ მოიმატა. თუ არ ვცდები, ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში „სიონმა" პირველად შეძლო „ოლიმპის" ძლევა საკუთარ მოედანზე; არადა, ამ მატჩის წინ ბოლნისელ ქომაგთა გარკვეული ნაწილი თამაშზე მოსვლას არც აპირებდა, — რა აზრი აქვს, მაინც წავაგებთო...

— **გამოცდილება მივიღეო, ბრძანეთ და მომავალში რა შეცდომებს აღარ გაიმეორებდით?**

— უშეცდომო მწვრთნელი გინახავთ? რა თქმა უნდა, გამოუცდელობის გამოც იყო, ზოგიერთ შეხვედრაში არასწორი გადაწყვეტილება რომ მივიღე. აი, თუნდაც ზუგდიდში ის დრამატული მატჩი მინდა გავიხსენო, საბოლოოდ 2:2 რომ დამთავრდა. შეხვედრის დამთავრებამდე ბევრი დრო არ იყო დარჩენილი, 2:1-ს ვიგებდით და ერთი შეცვლის უფლება კიდევ მქონდა დარჩენილი; თუმცა, იმდენად ემოციური მატჩი იყო, ვიფიქრე, არაფრის და არავის შეცვლა საჭირო არ იქნებოდა, — არადა, თურმე ვცდებოდი...

— **ეროვნულ ჩემპიონატში ბოლოს რომ თამაშობდით, იმის მერე 7 წელიწადი გავიდა და როგორ ფიქრობთ, მაშინდელთან შედარებით ბევრი რამ შეიცვალა?**

— ძალიან დიდი სხვაობაა! უპირველეს ყოვლისა, მაშინ შემსრულებელთა დეფიციტს თითქმის არც ერთი გუნდი არ განიცდიდა, ახლა კი მაღალი დონის ფეხბურთელები ჩვენს ჩემპიონატში თითზე ჩამოსათვლელი არიან. ისიც შეცვლილი მეჩვენა, რომ დღესდღეობით უმაღლესი ლიგის გუნდებში მოხვედრა, ცოტა არ იყოს, გაუფასურებულია; რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ 16-17 წლის ბიჭს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე ამბიცია გააჩნდეს, მაგრამ ეს ამბიცია რეალობას უნდა ექვემდებარებოდეს. ანუ, არავის უნდა ეთაკილებოდეს, რომ ოსტატობა ჯერ დუბლშემადგენლობაში დახვეწოს, შემდეგ, ვთქვათ, პირველ ლიგაში და ამის მერე, გარკვეულ გამოცდილებამიღებულს გაუჩნდეს უმაღლესი ლიგის გუნდში დამკვიდრების პრეტენზია.

— **როცა ფეხბურთელი იყავით, მწვრთნელობაზე მაშინაც ფიქრობდით?**

— არ დაგიმალავთ და ყოველთვის ვფიქრობდი; ისიც ვიცოდი, რომ ძნელი საქმე იქნებოდა, მაგრამ თუ ასეთ განსხვავებულ სამყაროში აღმოვჩნდებოდი, ვერასდროს წარმოვიდგენდი. უამრავი ნიუანსია, რასაც ფეხბურთელობის დროს ვერ ვამჩნევდი და ყოველ სამწვრთნელო სალიცენზიო ეტაპის გავლის მერე უამრავ ცოდნას ვიძენ. სხვისი რა მოგახსენოთ და, ჩემი აზრით, ქართველ მწვრთნელთა ლიცენზირების საქმეში გაიოზ დარსაძე მართლაც უდიდეს საქმეს აკეთებს.

გია ტუხაშვილი

კოლხეთი



ბესიკ შეროზია

## კოლხეთი საშველია, შეროზია მაშველია

### მოსული წასულები და სხვებიც

შაბათს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებთან გამართულ საკონტროლო მატჩში ფოთის "კოლხეთს" **ზაზა ინიაშვილმა** უხელმძღვანელა, მომდევნო შეხვედრას კი გუნდი ისევ **ბესიკ შეროზიას** თავკაცობით ჩაატარებს. "ლელოს" მკითხველმა იცის, რომ გამოცდილი სპეციალისტი "კოლხეთის" ხელმძღვანელობასთან აპირებდა შეხვედრას და ამის შემდეგ მიიღებდა დაბრუნება-არდაბრუნების გადაწყვეტილებას. როგორც მოსალოდნელი იყო, კლუბის მმართველებმა შეროზია მთავარ მწვრთნელად დაბრუნებაზე დაიყოლიეს და სეზონის მეორე ნახევრისთვის "კოლხეთს" კვლავაც იგი მოამზადებს.

*"კლუბის ფინანსური მდგომარეობა კვლავ არასახარბიელოა, მაგრამ "კოლხეთს" ცოტა უკეთესობა მაინც შეეტყო და რაკი სეზონის ჩამთავრების პერსპექტივა გაჩნდა, საკუთარ თავს გუნდის მიტოვების უფლება არ მივეცი. ბევრს ვერ ვახერხებთ, მაგრამ მწირი ბიუჯეტი მაინც გვექნება და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ყველაფერს ვიღონებთ. ზაზა ინიაშვილმა კი ჩემ არყოფნაში "კოლხეთისთვის" ძალიან ბევრი გააკეთა, რისთვისაც მადლობას ვუხდი"*, - გვითხრა შეროზიამ.

მისგან ისიც შევიტყვეთ, რომ ადგილობრივმა მთავრობამ 10-დღიანი შეკრებისთვის საჭირო თანხაც გამოყო და "კოლხეთი" სეზონის განახლებამდე ფოთში მოემზადება.

"კოლხეთში" მხოლოდ შეროზია არ მიბრუნებულა. გუნდს შეუერთდა გამოცდილი მცველი **მიხეილ მახვილაძე**, რომელიც გუნდს სეზონის პირველ ნახევარში კაპიტნობდა. მოლაპარაკებები მიმდინარეობს კიდევ ორ წასულთან – ერთ-ერთი მათგანი ასევე გამოცდილი უკანახაზელი **ალექსანდრე ინწკირველია**, რომელიც, ალბათ, დღეისთვის გადაწყვეტს, უღირს თუ არა დაბრუნება, მეორის ვინაობა კი ჯერ ვერ დავადგინეთ.

"კოლხეთი" უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილების მქონე სხვა ფეხბურთელებითაც აპირებს გაძლიერებას, რამდენიმე ახალწვეულის ვინაობა რამდენიმე დღის წინ გაირკვა – ესენი არიან "სამტრედიას" ყოფილი წევრები, მეკარე **ლაშა ძაგანია** და თავდამსხმელი **გიგა კვერენჩხილაძე**, ასევე ახალგაზრდა კიპერი **ვახტანგ ლობჟანიძე** და ნახევარმცველი **ბორის გელაჭეიშვილი**. სინჯებზეა **თემურ ფურთუხია**, რომელსაც უმაღლესი ლიგის რამდენიმე კლუბში უთამაშია.

შეროზია უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში ამხანაგური მატჩის ჩატარებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, 5 ან 6 თებერვალს კი "კოლხეთი" "გაგრას" ან "ბათუმს" შეხვდება.

ლევან ჯანეზაშვილი

# რობენ-მიულერის დაკა-დაკა

## ჰოლანდიელს არ მოსწონს, როცა ხელებით ელაპარაკებიან...


მომენტი, როცა არიენ რობენი თომას მიულერს ყელში სწვდა

დორტმუნდის „ბორუსიამ" წინა ტურში საკუთარ „ვესტფალენშტადიონზე" „შტუტგარტს" ვერ მოუგო, რასაც წინა კვირაში **ლუკას ბარიოსის** ხმამაღალი შეძახილები (თავდამსხმელი ღიად გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ **იურგენ კლოპმა** ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშა) და **შინჯი კაგავას** სერიოზული ტრავმა მოჰყვა. შესაბამისად, გაჩნდა მოსაზრება, რომ დორტმუნდელები ანერვიულდნენ და შეიძლებოდა, ეს „ბორუსიას" კრიზისის დასაწყისი ყოფილიყო. პარასკევს BVB-ს პირველმა მდევარმა „ლევერკუზენმა" „ჰანოვერი" დაამარცხა (2:0) და „დორტმუნდს" რვაქულიან დისტანციაზე მიუახლოვდა, რითაც „ბაიერმა" „ბორუსია" წნეხის ქვეშ მოაქცია. კითხვაზე, ანერვიულდნენ თუ არა დორტმუნდელები, კაგავას გარეშე დარჩენილ კლოპის ბიჭებს პასუხი შაბათს, „ვოლფსბურგთან" მატჩში უნდა გაეცათ და გასცეს კიდეც, თანაც ამომწურავად: არა, „ბორუსიას" ნერვიულობის არაფერი ეტყობა!

გერმანიის ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა ექს-ჩემპიონი მისსავე „ფოლკსვაგენარენაზე" 3:0 დაამარცხა, თანაც ისე, რომ „შავ-ყვითლებმა" „მგლებს" წარმატებაზე ფიქრის შანსიც კი არ დაუტოვეს. ეს იყო დორტმუნდელთა მეათე გამარჯვება გასვლითი შეხვედრებიდან, რაც გუნდის რეკორდია. კაგავა ნახევარდაცვის ცენტრში იდეალურად შეცვალა **მარიო გიოტცემ** - მატჩს გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვიც** ესწრებოდა და მის თვალწინ 18 წლის გიოტცემ ორი საგოლე პასი გააკეთა. გარდა ამისა, მარიომ იმდენად კარგად ითამაშა, რომ შეგვიძლია ვთქვათ: იტალიასთან ამხანაგური მატჩისთვის ბუნდესგუნდის განაცხადში მოხვედრა ფაქტობრივად გარანტირებული აქვს. ეს გიოტცესთვის მეორე მატჩი იქნება ბუნდესნაკრებში. არადა, ის ჯერ მხოლოდ 18 წლისაა.

მატჩის შემდეგ კლოპი არა მარტო გიოტცეს, არამედ მთელ გუნდს საუკეთესო ეპითეტებით ამკობდა: *„შესანიშნავად ვითამაშეთ! ძალიან, ძალიან ძალიან მაგრად ვითამაშეთ!"* დორტმუნდელთა თურქი საყრდენი და „ვოლფსბურგის" კარში გატანილი ერთი გოლის ავტორი **ნური შაჰინი** კი საფინალო სასტვენის შემდეგ უკვე მომდევნო ტურზე ფიქრობდა, რაც ნაღდად არაა გასაკვირი - მომავალ პარასკევს „ბორუსია" ხომ მოსისხლე მტერ „შალკეს" მასპინძლობს. *„ძალიან მაგარ ფეხბურთს ვთამაშობთ. ჩვენს ქომაგებს შეუძლიათ უხაროდეთ, რომ „შალკესთან" დერბი სწორედ ახლა გვიწევს,"* - თქვა შაჰინმა. დერბისთვის დორტმუნდელებს მხოლოდ ერთი პრობლემა ექნებათ: **ნევენ სუბოტიჩმა** მეხუთე გაფრთხილება მიიღო და „შალკესთან" დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.

„ვოლფსბურგი" კი ისევ შავ დღეშია. ამიტომაც იყო, თამაშის შემდეგ „მგლების" დამრიგებელმა **სტივ მაკლარენმა** კლუბის ბოს **დიტერ ჰიონესს** სამშაბათამდე, ანუ, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, ერთი-ორი ახალი ფეხბურთელის ყიდვა რომ მოსთხოვა. დიდი შანსია, რომ დღეს „ვოლფსბურგთან" კონტრაქტები შალკელმა **ჯეფერსონ ფარფანმა** („ვოლფები" მზად არიან, პერუელში 15 მილიონი გადაიხადონ) და თურქმა თავდამსხმელმა **თუნჯაი სანლიმ** (სტოკ სიტი) გააფორმონ. „ვოლფსბურგს" „კაიზერსლაუტერნიდან" **ივო ილიჩევიჩის** ყიდვაც უნდა.

ტურისწინა მიმოხილვაშიც ვთქვით, რომ „ვერდერისა" და „ბაიერნის" დაპირისპირება წლების მანძილზე ყოველთვის არა მარტო ტურის, არამედ სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი ჯახი იყო ხოლმე, ამჯერად კი, „ვეზერშტადიონზე" გამართული დაპირისპირება მხოლოდ ჩრდილო-სამხრეთული დუელის სახელს ატარებდა. მიუხედავად ამისა, მატჩი საკმაოდ საინტერესო გამოვიდა. თავიდან „ვერდერი" იგებდა, მაგრამ ბავარიელებმა მეორე ტაიმში თამაში თავიანთ სასარგებლოდ შეატრიალეს და მეორე ადგილისთვის ბრძოლას განაგრძობენ. ბრემენული კლუბის მდგომარეობა კი სულ უფრო და უფრო დრამატული ხდება. „მუსიკოსები" გასავარდნ ზონას ძალიან მიუახლოვდნენ. მატჩის გმირი **არიენ რობენი** გახლდათ, რომელმაც 65-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, რის შემდეგაც „ვერდერს" ფეხბურთი აღარ უთამაშია, ბავარიელებმა კი კიდევ ორი გოლი გაიტანეს, ანტი-გმირი კი „მუსიკოსების" მეკარე **ტიმ ვიზე** გამოვიდა, რომელიც მატჩის მიწურულს ბაიერნელ **თომას მიულერს,** რბილად რომ ვთქვათ, „ცუდად მოექცა", რის გამოც მოედნიდან გააძევეს. ისე, მიულერს შაბათს ბედი არ სწყალობდა, რადგან მას თანაგუნდელმა რობენმაც შეუტია. ერთ-ერთ მომენტში ჰოლანდიელს სურდა ჯარიმის დარტყმა და მიულერმა ხელით უჩვენა, ეგ შენი კი არა, ჩემი საქმეაო. თომასს ერთობ ამპარტავნული ჟესტი გამოუვიდა, რის გამოც რობენი ყელში სწვდა. მცირე შეხლა-შემოხლის შემდეგ ორივე დაშოშმინდა. თამაშის მერე მიულერს ამ ამბავზე ხმა არ ამოუღია, რობენმა კი პირდაპირ თქვა, ეგრე არ უნდა მოქცეულიყო, მან კარგად იცის, რომ ასეთ ჟესტებს ვერ ვიტანო.

„ბაიერნის" თავკაცი **ლუის ვან გაალი** გამარჯვებითა და შეგირდების თამაშით კმაყოფილი დარჩა. ჰოლანდიელმა აღნიშნა, უკვე მესამე ადგილზე ვართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგის ზონაში შევედით, ეს კი უკვე ძალიან კარგიაო. თავისი გუნდის თამაშით დიდად უკმაყოფილო არც თომას შააფი ყოფილა - დარჩენილ თამაშებში ისე რომ ვიასპარეზოთ, როგორც დღეს „ბაიერნთან", აუცილებლად დიდ პროგრესს განვიცდით, მაგრამ ვშიშობ, მომავალშიც ხშირად ვითამაშებთ ისე ამაზრზენად, როგორც ერთი კვირის წინ, კიოლნში (0:3) ვიასპარეზეთო. „ვერდერის" სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი** კი მსაჯ **ტორსტენ კინჰიოფერზე** იყო გადარეული, რომელმაც იმ დროს, როცა ანგარიში 1:1 იყო, „ბაიერნის" კარში ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა (**ლუის გუსტავომ** საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა). ალოფსი ბობოქრობდა, პენალტი რომ დანიშნულიყო, გავიტანდით, წინ გავიდოდით და ამ თამაშს მინიმუმ არ წავაგებდით, ვიზე კი წითელ ბარათს არ აიკიდებდაო.

„შალკემ" ისევ ჩათვლიმა! ყოველ შემთხვევაში, გელზენკირხენელებმა „ჰოფენჰაიმთან" ფეხბურთის გარდა ყველაფერი ითამაშეს და 0:1 დამარცხდნენ. არანაირი იდეები, ნული ტემპი, არანაირი საგოლე მომენტები - „ხუმარების" თავკაცი **ფელიქს მაგათი** მატჩის შემდეგ გაოგნებული იყო. **კლაას-იან ჰუნტელაარი,** რომელშიც „შალკემ" ზაფხულში 14 მილიონი გადაიხადა, საშინელ ფორმაშია, 13 მილიონად ნაყიდმა **მანუელ ხურადომ** კი „ჰოფესთან" შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გაატარა. „შალკე" 20 ტურის შემდეგ მე-11 ადგილზეა და ევროპაში გამსვლელ მეხუთე ადგილს ჯერჯერობით ბინოკლით უყურებს. გელზენკირხენელთა ერთადერთი შანსი, ითამაშონ ევროპის ლიგაში, გერმანიის თასია, სადაც ნახევარფინალში არიან. დიდი შანსია, რომ „შალკემ" დღეს „აინტრახტიდან" **პატრიკ ოხსი** (26 წლის მარჯვენაფლანგელი) ან ანდერლეხტიდან **ჯონათან ლეგეარი** (23 წლის ნახევარმცველი) შეიძინოს. **ივან რაკიტიჩმა** გელზენკირხენული კლუბი უკვე დატოვა (სევილიაში გადავიდა), ფარფანიც მიდის (ვოლფსბურგისკენ) და შაბათს კიდევ ერთხელ გახდა ცხადი, რომ მაგათს ახალი ხალხი სჭირდება. თანაც, წინ რურის დიდი დერბია.

„ჰამბურგი" ნიურნბერგში დამარცხდა, რამაც ჩრდილოგერმანული კლუბის მდგომარეობა კვლავ დაამძიმა. HSV წელს საშინლად არასტაბილური გუნდია. მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** მსაჯზე კი ბრაზობდა, **გოიკო კაჩარი** გაძევებას არ იმსახურებდაო, მაგრამ რეალურად არბიტრი არაფერ შუაშია - „ჰამბურგი" „ნიურნბერგში" ერთი ქულის აღებასაც კი არ იმსახურებდა. სამაგიეროდ, ჰამბურგის მეორე გუნდის, „ზანკტ პაულის" ფანებმა გაიხარეს - „პაულიმ" „მილერნტორზე" „კიოლნი" „კედელთან მიაყუდა და ბევრი ურახუნა" (3:0). „კაიზერსლაუტერნისა" და „მაინცის" უმძაფრესი ჯახი კი კარნავალელთა გამარჯვებით (1:0) დასრულდა და „მაინციც" თითქოს გამოცოცხლდა.

**გვერდი მოამზადა**
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

**4 თებერვალი. ბორუსია (დ)-შალკე. 5 თებერვალი. მაინცი-ვერდერი, ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტერნი, კიოლნი-ბაიერნი, ჰანოვერი-ვოლფსბურგი, ნიურნბერგი-ლევერკუზენი, ბორუსია (მ)-შტუტგარტი. 6 თებერვალი. ჰამბურგი-ზტ. პაული, ფრაიბურგი-აინტრახტი**

### თურქეთი

#### სუპერლიგა. XIX ტური

**ქარაბიუქი-ქაისერი** 0:0

**სივასი-ანთალია** 1:1

გოლები: 0:1 ტიტა (16), 1:1 კილიჩი (35)

**ბუკა-კასიმფაშა** 4:0

გოლები: 1:0 აიდინი (3), 2:0 აიდინი (14), 3:0 ლეანდრო (38), 4:0 ტასკირანი (74)

**ბურსა-გალათასარაი** 2:0

გოლები: 1:0 მილერი (36), 2:0 ვედერსონი (45)

**ანკარაგიუჯუ-მანისა** 1:3

გოლები: 0:1 კაპე (26), 1:1 აქანი (42), 1:2 გიუვენი (89), 1:3 გიუვენი (90)

**ბუიუქშეჰირი-ბეშიქთაში** 2:1

გოლები: 1:0 ვინიციუსი (35), 1:1 სიმაო (66), 2:1 ალინი (90)

**გაზიანთეფი-გენჩლერი** 1:1

გოლები: 1:0 ადინი (38), 1:1 იოზთექინი (66)

**ფენერბაჰჩე-ტრაბზონი** 2:0

გოლები: 1:0 ლუგანო (19), 2:0 ნიანგი (23)

**ესქიშეჰირი-კონია** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 19 | 13 | 4 | 2 | 41-13 | 43 |
| 2. ბურსა | 19 | 12 | 5 | 2 | 34-12 | 41 |
| 3. ფენერბაჰჩე | 19 | 12 | 3 | 4 | 43-21 | 39 |
| 4. ქაისერი | 19 | 10 | 6 | 3 | 25-14 | 36 |
| 5. ბეშიქთაში | 19 | 9 | 4 | 6 | 31-21 | 31 |
| 6. მანისა | 19 | 9 | 1 | 9 | 29-28 | 28 |
| 7. გაზიანთეფი | 19 | 7 | 7 | 5 | 17-16 | 28 |
| 8. ბუიუქშეჰირი | 19 | 8 | 2 | 9 | 24-22 | 26 |
| 9. გალათასარაი | 19 | 8 | 2 | 9 | 20-23 | 26 |
| 10. ესქიშეჰირი | 18 | 6 | 7 | 5 | 18-17 | 25 |
| 11. ქარაბიუქი | 19 | 7 | 4 | 8 | 30-31 | 25 |
| 12. ანთალია | 19 | 6 | 6 | 7 | 20-24 | 24 |
| 13. ანკარაგიუჯუ | 19 | 5 | 7 | 7 | 26-33 | 22 |
| 14. გენჩლერი | 19 | 4 | 6 | 9 | 17-30 | 18 |
| 15. სივასი | 19 | 3 | 7 | 9 | 18-34 | 16 |
| 16. კონია | 18 | 3 | 6 | 9 | 17-27 | 15 |
| 17. ბუკა | 19 | 3 | 6 | 10 | 14-28 | 15 |
| 18. კასიმფაშა | 19 | 1 | 5 | 13 | 14-44 | 8 |

**ბომბარდირები:** 12 - ემენიკე (ქარაბიუქი), ალექსი (ფენერბაჰჩე); 9 - სიმპსონი (მანისა), ილმაზი (ტრაბზონი), ნიანგი (ფენერბაჰჩე).

### ლევერკუზენი-ჰანოვერი 2:0

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ადლერი - შვააბი, რაინარტცი, ჰიიპია, კადლეცი - ბალაკი, როლფესი - რენატო (92. მ. ფრიდრიხი), ვიდალი, კასტრო (87. ბალიტში) - კისლინგი (76. დერდიოკი).

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი - შმიდებახი (57. შტოპელკამპი), პინტუ (78. ჩაჰედი) - შტინდლი, რაუში (70. ჯაპკა) - აბდელაუ, ია კონანი.

**გოლები:** 1:0 ვიდალი (21), 2:0 როლფესი (42)

**გაფრთხილება:** 0:0; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 18-12; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 11(6)-9(3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 28 013

### შალკე-ჰოფენჰაიმი 0:1

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი - ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, მეტცელდერი, პანდერი - მორიტცი (62. ედუ), კლუგე - ფარფანი, დეაცი (46. დრაქსლერი) - ჰუნტელაარი (46. გავრანოვიჩი), რაული.

**ჰოფენჰაიმი (4-1-2-2-1):** შტარკე - ბეკი, ვორსა, კომპერი, იბერტსბერგერი - ალაბა - რუდი (74. ვაისი), სალიჰოვიჩი - ვუკჩევიჩი, ბაბელი (91. იაისლე) - იბიშევიჩი (84. სიგურდსონი).

**გოლი:** 0:1 ვორსა (4)

**გაფრთხილება:** მორიტცი, ჰიოვედესი - ბაბელი

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 10(1)-16(5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 60 569

### ვერდერი-ბაიერნი 1:3

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე - პასანენი, მერტეზაკერი, პრიოდლი, სილვესტრი - ფრინგსი - ფრიტცი (80. ვაგნერი), ბარგფრედე - ჰანტი (89. მილიტცი) - პისარო, მარინი (67. ტრინკსი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** კრაფტი - ლამი, ტიმოშჩუკი, ბადშტუბერი, ლუის გუსტავო - ოტლი, პრანიჩი - რობენი, შვაინშტაიგერი (69. კლოზე), თ. მიულერი - გომესი (80. ბრენო).

**გოლები:** 1:0 მერტეზაკერი (47), 1:1 რობენი (65), 1:2 მერტეზაკერი (75-საკ. კარში), 1:3 კლოზე (86)

**გაფრთხილება:** პისარო, პრიოდლი - შვაინშტაიგერი, რობენი

**გაძევება:** ვიზე (88. ვერდერი)

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 21-18; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 9(4)-17(6); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 40 500

### ვოლფსბურგი-ბორუსია (დ) 0:3

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - პეკარიკი, მადლუნგი, ა. ფრიდრიხი, მ. შეფერი - რიტერი (21. კალენბერგი), ჟოსუე - დეჟაგა, დიეგო, მანჯუკიჩი (46. ჯონსონი) - გრაფიტე (67. მბოკანი).

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიუჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი (75. ფელიპე სანტანა), შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი (71. ლევანდოვსკი), გიოტცე (88. ზიდანი), გროსკროიტცი - ბარიოსი.

**გოლები:** 0:1 ბარიოსი (2), 0:2 ნ. შაჰინი (40), 0:3 ჰუმელსი (71)

**გაფრთხილება:** ა. ფრიდრიხი, პეკარიკი - პიუჩეკი, სუბოტიჩი

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 18-12; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 9(2)-17(8); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 30 000

### ნიურნბერგი-ჰამბურგი 2:0

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რ. შეფერი - იუდტი (61. ხანდლერი), ვოლშაიდი, ვოლფი, პინოლა - სიმონსი - მენდლერი (61. მაკი), კოენი (85. მინტალი), ჰეგელერი, აიგლერი - შიბერი.

**ჰამბურგი (4-2-2-1-1):** როსტი - დემელი (65. გერერო), კაჩარი, ვესტერმანი, აოგო - იაროლიმი, ზე რობერტო - პიტროიპა (46. პეტრიჩი), ელია - ბენ-ჰატირა (55. იანსენი) - ვან ნისტელროოი.

**გოლები:** 1:0 სიმონსი (59-პენ), 2:0 კოენი (70)

**გაფრთხილება:** ვოლფი - იაროლიმი, როსტი

**გაძევება:** კაჩარი (69. ჰამბურგი)

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 18-20; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 17(7)-7(1); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 36 202

### ზტ. პაული-კიოლნი 3:0

**ზტ. პაული (4-2-3-1):** კესლერი - თორანდტი, სამბრანო, გიუნეში, ოშიპკა - მ. ლემანი, ბოლი (66. ბრუნსი) - ბარტელსი, ტაკი (78. სუკუტა-პასუ), მ. კრუსე - ასამოა (86. დრობო-ამპემი).

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი - ანდრეზინიო (46. ბრეჩკო), მაკინო, აიხნერი, ერეთი - ლანიგი, მატუშიკი (76. იალსინი) - პეჟკო (46. ჟაჟალო), პოდოლსკი, კლემენსი - ნოვაკოვიჩი.

**გოლები:** 1:0 ტაკი (30), 2:0 ტაკი (36), 3:0 ბრუნსი (76-პენ)

**გაფრთხილება:** პეჟკო, ჟაჟალო, ლანიგი, მატუშიკი

**კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 30(10)-3(2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 24 355

### კაიზერსლაუტერნი-მაინცი 0:1

**კაიზერსლაუტერნი (4-1-2-1-2):** ზიპელი - დიკი, ამედიკი, როდნი, იესენი - პეცოსი (69. მორავეკი) - კირხი, ტიფერტი - დე ვიტი (78. ამრი) - ჰოფერი (69. ნემეცი), ლაკიჩი.

**მაინცი (4-1-2-1-2):** ჰ. მიულერი - ზაბავნიკი, ბუნგერტი, ნოვესკი, ფუხსი - ფათი - კალიჯური, ივანშიტცი (89. კირხჰოფი) - ჰოლტბი (73. შლიშკოვიჩი) - შალაი (12. რისსე), შიურლე.

**გოლი:** 0:1 ჰოლტბი (23)

**გაფრთხილება:** დიკი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 17(6)-12(5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 46 649

### შტუტგარტი-ფრაიბურგი 0:1

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ულრაიხი - [illegible] (60. ჰარნიკი), ტასკი, ნიდერმაიერი, მოლინარო - ტრეში, [illegible] - გენტნერი, [illegible] (46. გებჰარდტი) - პოგრებნიაკი, მარიკა (71. შიპლოკი).

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** ბაუმანი - მუიჯა, ბართი, ბუტშერი, ბასტიანსი - მაკიადი - პუცილა, ფლუმი (85. ტოპრაკი), როზენტალი (64. კალიჯური/90. იენდრიშეკი)), ნიკუ - სისე.

**გოლი:** 0:1 ფლუმი (24)

**გაფრთხილება:** პუცილა, მუიჯა

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 10-20; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 15(4)-9(3); **ბურთის ფლობა:** 60%-41%.

**მაყურებელი:** 38 600

### აინტრახტი-ბორუსია (მ) 0:1

**აინტრახტი (4-1-4-1):** ნიკოლოვი - ს. იუნგი, ფრანცი (86. ჰალილ ალთინთოფი), რუსი, ცაველასი (87. ამანატიდისი) - შვეგლერი - ოხსი, კაიო, ა. მაიერი, კიოლერი - ფენინი (71. გეკასი).

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ჰაიმეროთი - ლეველსი, დანტე, შტრანცლი, დემსი - ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი - როისი, იდრისუ - დე კამარგო (92. მარქსი), ჰანკე (46. მატმური).

**გოლი:** 0:1 დე კამარგო (84)

**გაფრთხილება:** ნოიშტედტერი, დე კამარგო

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 7-18; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17(2)-16(7); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 43 700

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 20 | 16 | 2 | 2 | 46-12 | 50 |
| 2. ლევერკუზენი | 20 | 11 | 6 | 3 | 41-29 | 39 |
| 3. ბაიერნი | 20 | 10 | 6 | 4 | 40-23 | 36 |
| 4. მაინცი | 20 | 12 | 0 | 8 | 31-21 | 36 |
| 5. ჰანოვერი | 20 | 11 | 1 | 8 | 28-30 | 34 |
| 6. ფრაიბურგი | 20 | 10 | 3 | 7 | 29-28 | 33 |
| 7. ჰამბურგი | 20 | 9 | 3 | 8 | 29-30 | 30 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 20 | 7 | 8 | 5 | 36-26 | 29 |
| 9. აინტრახტი | 20 | 8 | 2 | 10 | 24-26 | 26 |
| 10. ნიურნბერგი | 20 | 7 | 5 | 8 | 25-30 | 26 |
| 11. შალკე | 20 | 7 | 4 | 9 | 26-26 | 25 |
| 12. ვოლფსბურგი | 20 | 5 | 8 | 7 | 26-29 | 23 |
| 13. კაიზერსლაუტ. | 20 | 6 | 4 | 10 | 29-34 | 22 |
| 14. ზტ. პაული | 20 | 6 | 4 | 10 | 23-34 | 22 |
| 15. ვერდერი | 20 | 6 | 4 | 10 | 26-42 | 22 |
| 16. კიოლნი | 20 | 5 | 4 | 11 | 22-37 | 19 |
| 17. შტუტგარტი | 20 | 4 | 4 | 11 | 22-37 | 16 |
| 18. ბორუსია (მ) | 20 | 4 | 4 | 12 | 29-50 | 16 |

**ბომბარდირები:** 15 - სისე (ფრაიბურგი), გომესი (ბაიერნი); 14 - გეკასი (აინტრახტი); 11 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი); 10 - რაული (შალკე), ია კონანი (ჰანოვერი).

### II ბუნდესლიგა

#### XX ტური

**ფორტუნა-ფრანკფურტი** 6:0

**გოლები:** 1:0 ილსო (17), 2:0 ილსო (42), 3:0 ბოდცეკი (49), 4:0 ბაისტერი (56), 5:0 ილსო (81), 6:0 ბაისტერი (89)

**ობერჰაუზენი-ინგოლშტადტი** 1:1

**გოლები:** 0:1 ლაიტლი (27), 1:1 კიონიგი (47)

**აუე-ოსნაბრიუკი** 0:1

**გოლი:** 0:1 დ. შმიდტი (90)

**მიუნხენ 1860-დუისბურგი** 1:1

**გოლები:** 1:0 ლაუთი (42), 1:1 შეფლერი (86)

**ალემანია-ფიურტი** 2:2

**გოლები:** 0:1 ნიოთე (7), 1:1 აუერი (19), 1:2 ფიურშტნერი (40), 2:2 იუნგლასი (51)

**არმინია-ჰერტა** 1:3

**გოლები:** 0:1 რონი (18), 0:2 რაფაელი (39), 0:3 რაფაელი (76), 1:3 ტადიჩი (85)

**კარლსრუე-კოტბუსი** 1:0

**გოლი:** 1:0 ბაკლი (8)

**უნიონი-პადერბორნი** 0:2

**გოლები:** 0:1 ბრენდი (24), 0:2 გუი-მიენი (57)

**აუგსბურგი-ბოხუმი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 20 | 13 | 3 | 4 | 35-17 | 42 |
| 2. აუგსბურგი | 19 | 11 | 4 | 4 | 37-17 | 37 |
| 3. დუისბურგი | 20 | 10 | 5 | 5 | 34-19 | 35 |
| 4. ფიურტი | 20 | 10 | 5 | 5 | 29-17 | 35 |
| 5. კოტბუსი | 20 | 10 | 4 | 6 | 38-28 | 34 |
| 6. ბოხუმი | 19 | 11 | 1 | 7 | 26-22 | 34 |
| 7. აუე | 19 | 10 | 4 | 5 | 20-21 | 34 |
| 8. ფრანკფურტი | 19 | 10 | 2 | 7 | 30-25 | 32 |
| 9. მიუნხენ 1860 | 20 | 8 | 7 | 5 | 25-21 | 29 |
| 10. ალემანია | 20 | 7 | 7 | 6 | 32-30 | 28 |
| 11. ფორტუნა | 20 | 9 | 1 | 10 | 25-23 | 28 |
| 12. პადერბორნი | 20 | 7 | 4 | 9 | 19-24 | 25 |
| 13. უნიონი | 20 | 6 | 4 | 10 | 20-26 | 22 |
| 14. ოსნაბრიუკი | 20 | 6 | 3 | 11 | 27-36 | 21 |
| 15. კარლსრუე | 20 | 5 | 5 | 10 | 26-39 | 20 |
| 16. ობერჰაუზენი | 20 | 5 | 4 | 11 | 16-36 | 19 |
| 17. ინგოლშტადტი | 20 | 3 | 5 | 12 | 21-32 | 14 |
| 18. არმინია | 20 | 2 | 2 | 16 | 15-42 | 8 |

* მიუნხენ 1860-ს დაკლებული აქვს ორი ქულა

**ბომბარდირები:** 13 – პეტერსენი (კოტბუსი); 12 – მიოლდერსი (ფრანკფურტი); 11 – აუერი (ალემანია); 10 – ლაუთი (მიუნხენ 1860), ნანდო რაფაელი (აუგსბურგი).

### III ბუნდესლიგა

ზანდჰაუზენი-ბრაუნშვაიგი 0:2, ბაიერნი II-ოფენბახი (გადაიდო), ჰანზა-შტუტგარტი II 0:1, ვეენი-ბურგჰაუზენი 3:0, რეგენსბურგი-ბაბელსბერგი (გადაიდო), ალენი-უნტერჰახინგი 1:1, აალენი-ვერდერი II 1:1, ერფურტი-კობლენცი 3:0, დრეზდენი-ჰაიდენჰაიმი (გადაიდო), ზაარბრიუკენი-კარლ ცაისი 1:3.

SERIE A **იტალია** სერია A XXII ტური

# პაცინის ჯადოსნური დებიუტი

## კალაძის პირველი გენუური


გოლის ტრადიციული აღნიშვნა

ტურის გმირი უდავოდ **ჯამპაოლო პაცინია**, ფეხბურთელი, რომელსაც დებიუტი ჰქონდა „ინტერის" შემადგენლობაში და შეცვლაზე შესულმა "პალერმოსთან" მატჩის ბედი ფაქტობრივად მარტომ გადაწყვიტა. არადა, "გაძეტა დელო სპორტი" გვიმტკიცებდა, რომ პაცინი ტრავმირებული გახლდათ და სიცილიელებთან ასპარეზობას ვერ შეძლებდა. შეძლო და თანაც როგორ, დუბლი შეასრულა და თერთმეტმეტრიანი მოინადირა, რომელიც შემდეგ **სამუელ ეტოომ** გოლად აქცია. "ინტერი"-"პალერმოს" ჯახი, მართლაც რომ გამორჩეულად საინტერესო და სანახაობრივი გამოვიდა. მეხუთე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც სიცილიელებმა ანგარიში გახსნეს და ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები დაადუმეს. თავი **ფაბრიციო მიკოლიმ** გამოიჩინა, ვინც მარჯვენა ფრთიდან მიიღო გამოზომილი გადაცემა და ახლადგამოჯანმრთელებული **ჟულიო სეზარი** უშანსოდ დატოვა, 0:1. ტაიმის დასრულებამდე დაახლოებით ათი წუთი იყო დარჩენილი, როდესაც სტუმრებმა კიდევ ერთი შედეგიანი შეტევა განახორციელეს და ანგარიში ორამდე გაზარდეს. ამჯერად **ნოჩერინო** გამოირჩა, რომელმაც მეტოქის საჯარიმოში მიიღო ბურთი, ერთი მოძრაობით მოხდენილად ჩამოიცილა მეკარე და ზუსტად დაარტყა, 0:2. ტაიმი ასეც დასრულდა, თუმცა კუნძულელებს კიდევ შეეძლოთ გატანა – **ხავიერ პასტორე** პრაქტიკულად პირისპირ დარჩა კიპერთან, ძლიერადაც დაარტყა, თუმცა ბურთი კარის ძელს ხოხვდა.

მეორე ნახევარში ჯამპაოლო პაცინი გავიდა მოედანზე და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. 57-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც პაცინიმ ბურთი მეტოქის საჯარიმოში მიიღო, ტანით მოიშორა მეურვე და უზუსტესი დარტყმით სიცილიელთა მეკარე უშანსოდ დატოვა, 1:2. კუნძულელები მალევე მოეგნენ გონს და თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვეს – ბურთთან ხავიერ პასტორე მივიდა და ინანა კიდეც, რადგანაც ჟულიო სერჟიომ ანგარიში უცვლელი დატოვა. ვერ გაიტან, გაგიტანენო - ნათქვამია და ეს დაუწერელი კანონი 72-ე წუთზე ამოქმედდა, ისევ პაცინიმ გამოიჩინა თავი და ანგარიში თავური დარტყმით გაათანაბრა, 2:2. ნათელი იყო, რომ მილანელები და კერძოდ დუბლის ავტორი ამით არ დაკმაყოფილდებოდნენ, მალევე პაცომ თერთმეტმეტრიანი მოინადირა და ეტოოსაც მისცა თავის გამოჩენის საშუალება, 3:2. მატჩის კულმინაცია კი მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე მოხდა, როდესაც სიცილიელებმა ანგარიშის გათანაბრების ბრწყინვალე შანსი გაუშვეს ხელიდან – პასტორეს გამოზომილი გადაცემის შემდეგ, **ფედერიკო ბალცარეტიმ** ახლო მანძილიდან დაუბათქუნა და ბურთი პირდაპირ ჟულიო სეზარს გაარტყა. ეს მართლაც დრამატული პაექრობა "ინტერის" გამარჯვებით დასრულდა, ჯამპაოლო პაცინიმ კი ნამდვილი ბენეფისი მოიწყო.

ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა გასვლაზე "კატანია" დაამარცხა, თანაც ისე, რომ პრაქტიკულად მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში კაცნაკლული ასპარეზობდა. მატჩის არბიტრმა **მარკ ვან ბომელი** გააძევა მოედნიდან, რომელმაც უკვე მოასწრო და იტალიაშიც გამოავლინა თამაშის ხისტი მანერა. მართალია, განსაკუთრებულად არ უუხეშია და არბიტრს შეეძლო დაენდო, მაგრამ ფაქტია, რომ სერია A-ში დებიუტი წითელი ბარათით აღნიშნა. სამაგიეროდ, **რობინიომ** გაიბრწყინა, რომელმაც ჯერ გოლი გაიტანა და შემდეგ, **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** გაატანინა. განსაკუთრებულად ეფექტური სწორედ მეორე გოლი გამოვიდა, ბრაზილიელმა მარჯვენა ფრთაზე მიიღო ბურთი, შესანიშნავი პასი გაუკეთა შვედს და ამ უკანასკნელმაც ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი სიცილიელთა კარის ჩარჩოში. მოკლედ, ამ შემთხვევაშიც მილანელებმა იმარჯვეს სიცილიელებზე და უახლოეს მდევართან ოთხქულიანი უპირატესობა შეინარჩუნეს. დიახ, ოთხქულიანი, რადგან "ნაპოლიმ" "სამპდორიას" გადაუერბინა საკუთარ მოედანზე და მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა. დუბლი შეასრულა **ედისონ კავანიმ**, რომელიც მართლაც რომ ბრწყინვალე ფორმაშია. ჩვენ კი "მილანს" დავუბრუნდეთ და **მასიმილიანო ალეგრის** მოვუსმინოთ, რომელმაც ვან ბომელს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდა: "*მატჩის არბიტრის გაკრიტიკებას ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან ისე მოიქცა, როგორც საჭიროდ ჩათვალა. შესაძლოა, გერმანიაში ასეთი დარღვევებისთვის ყვითელ-წითელ ბარათებს არ იძლევიან, მაგრამ იტალიაში სხვა ვითარებაა და ჰოლანდიელს მეტი სიფრთხილით მართებს თამაში. გუნდის ასპარეზობით კი კმაყოფილი ვარ, ხასიათი გამოვავლინეთ და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა ჩავიწერეთ აქტივში*".

"ლაციომ" კარგა ხნის შესვენების შემდეგ გაიმარჯვა და ამას ჩეხ ლეგიონერს **ლიბორ კოზაკს** უნდა უმადლოდეს. ახალგაზრდა თავდამსხმელმა კიდევ ერთხელ გაამარჯვებინა რომაულ გუნდს და ამჯერად, დუბლი მიითვალა აქტივში. "ფიორენტინასთან" თამაშის 69-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც დედაქალაქელებმა პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს – ბურთთან ლიბორი მივიდა და ფლორენციელთა კიპერი უშანსოდ დატოვა. მალე თამაშიდანაც შეარხია მეტოქის კარის ბადე და შეხვედრის საბოლოო შედეგი დააფიქსირა. აქვე ვთქვათ, რომ მხოლოდ 16 წუთი გაგრძელდა "ბოლონიასა" და "რომას" შეხვედრა – როდესაც მატჩის არბიტრი მიხვდა, რომ დიდთოვლობის გამო ფეხბურთელებს სირბილიც კი უჭირდათ, თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.

აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ თავისი პირველი გოლი გაიტანა "ჯენოას" შემადგენლობაში **კახა კალაძემ** და შეხვედრის საბოლოო შედეგი დააფიქსირა. გენუური გუნდი 2:1-ს უგებდა "პარმას", როდესაც ქართველი მცველი სტანდარტული სიტუაციისას მეტოქის საჯარიმოში ჩავიდა და ისეთი გოლი გაიტანა, კარგ ფორვარდს შეშურდებოდა. პარმეზანელი მცველის მიერ გამოტანილი ბურთი გენუელებმა საჯარიმოში ჩააბრუნეს, კახა არ გამოეთიშა ეპიზოდს, ყველაზე უკეთ გაერკვა ვითარებაში და მეტოქე კიპერს დასწრებაზე აჯობა. გენუელებმა მნიშვნელოვანი სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში და სატურნირო ცხრილში მეთორმეტე ადგილზე აინაცვლეს.

"ბრეშა"-"კიევოს" თამაშზე ნამდვილად არ ვაპირებდით შეჩერებას, მაგრამ გვიწევს, რადგან ამ მატჩმა **მარიო ბერეტას** პოსტი შეიწირა. ბოლო ექვსი პაექრობიდან "ბრეშამ" ხუთი წააგო, რამაც კლუბის პრეზიდენტს მოთმინების ფიალა აუვსო და ბერეტას კარისკენ მიუთითა. უკვე ცნობილია, რომ მარიოს **ჯუზეპე იაკინი** შეცვლის.

ტურის უკანასკნელი პაექრობა ტურინში გაიმართა, სადაც "იუვენტუსმა" მორიგი მარცხი იწვნია და ამჯერად, "უდინეზეს" დაანება სამი ქულა. ტურის წინასიტყვაობაში აღვნიშნეთ, რომ "ვეკია სენიორას" ფავორიტად შერაცხვა არასწორი იქნებოდა, რადგან გუნდს აშკარად ჩავარდნა აქვს, ფრიულელები კი პირიქით, შესანიშნავად ასპარეზობენ. დღესდღეობით, "უდინეზე" ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს და რომ არა სეზონის სტარტზე დაკარგული ქულები, როგორც მინიმუმ, ოთხეულში უნდა იყოს. ერთი კი ფაქტია: ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ გუნდებს "უდინეზეს" სახით კიდევ ერთი კონკურენტი დაემატა.

**მომდევნო ტური:**

1 თებერვალი. მილანი-ლაციო. 2 თებერვალი: **რომა-ბრეშა, სამპდორია-კალიარი, ჩეზენა-კატანია, ფიორენტინა-ჯენოა, პალერმო-იუვენტუსი, პარმა-ლეჩე, უდინეზე-ბოლონია, კიევო-ნაპოლი.** 3 თებერვალი. **ბარი-ინტერი.**

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### ლაციო-ფიორენტინა 2:0

**ლაციო (4-3-1-2):** მუსლერა – ლიხტშტაინერი, დიაკიტე (13. სტენდარდო), ბიავა, რადუ – ლედესმა, ბროკი, გონსალესი (81. ერნანესი) – მაური – კოზაკი, ფლოკარი (38. სკული).

**ფიორენტინა (4-3-3):** ბორუცი – დე სილვესტრი, გამბერინი, კროლდრუპი, გულანი – მონტოლივო, სანტანა, დონადელი (75. ბეჰრამი) – ჩერჩი (70. ბაბაქარი), ლიაჯიჩი (46. დაგოსტინო), ჯილარდინო.

**გოლები:** 1:0 კოზაკი (69-პენ.), 2:0 კოზაკი (73).

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 13(8)-3(2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 32 000

### კატანია-მილანი 0:2

**კატანია (4-3-1-2):** ანდუხარი – სპოლი, სილვესტრი, აუგუსტინი (65. რიკიუტი), კაპუანო – კარბონი (45. პეშე), შაკა (83. მორიმოტო), ლედესმა – გომესი – მაქსი ლოპესი, მასკარა.

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – ბონერა, იეპესი, ტიაგო სილვა, ანტონინი – ვან ბომელი, ამბროზინი (75. იანკულოვსკი), მერკელი (46. ემანუელსონი) – რობინიო – კასანო (59. ოდო), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 0:1 რობინიო (58), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (85).

**გაძევება:** ვან ბომელი (54).

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 20-20; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 9(1)-11(8); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 15 000

### ბრეშა-კიევო 0:3

**ბრეშა (4-3-3):** არკარი - ბეგა, მარეკო, ძებინა, ძამბელი – დიამანტი, კორდოვა (58. ჰეტემაი), კონე (64. დაპრელა) – ფილიპინი, ედერი (73. ლანცაფამე), კარაჩოლო.

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო - ფრეი, მანდელი, ანდრეოლი, მანტოვანი - ფერნანდესი, რიგონი, ბოლიაჩინო (77. მარკოლინი – 80. სარდო) – კონსტანტი - პელისიერი, თერეუ (62. მოსკარდელი).

**გოლები:** 0:1 პელისიერი (45), 0:2 მანდელი (47), 0:3 პელისიერი (90).

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 18-11; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 8(4)-9(5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 8 500

### კალიარი-ბარი 2:1

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო (71. პერიკო), კანინი, ასტორი, აგოსტინი (87. არიაუდო) – ბიონდინი, ლაძარი, კოსუ – მისიროლი – ნენე (61. აკვაფრესკა), მატრი.

**ბარი (4-4-2):** ჟილე - ა. მაზიელო, გლიკი, რაჯი, როსი – ალმირონი, გაცი, დონატი (87. კასტილო), ბენტივოლიო – რუდოლფი (58. რივასი), ოკაკა ჩუკა.

**გოლები:** 1:0 მატრი (8), 1:1 მატრი (12), 2:1 ოკაკა ჩუკა (14).

**გაფრთხილება:** 0-4; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 13(5)-11(7); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 14 000

### ჯენოა-პარმა 3:1

**ჯენოა (4-3-1-2):** ედუარდო – მესტო, დაინელი, კალაძე, კრიშიტო – კუჩკა, მილანეტო, კონკო – როსი (90. პალოსკი) – ფლორო ფლორესი (86. მორეტი), პალასიო.

**პარმა (4-3-3):** მირანტე – ანჯელო (66. გალოპა), პალეტა, ლუკარელი, გობი – ჯემაილი, ვალიანი, კანდრევა (87. ბოჟინოვი) – მორონე (46. პალადინო), კრესპო, ჯოვინკო.

**გოლები:** 1:0 პალასიო (16-პენ.), 1:1 კრესპო (32), 2:1 პალეტა (44-საკ. კარში), 3:1 კალაძე (45).

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11(5)-12(4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 24 000

### ინტერი-პალერმო 3:2

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, რანოკია, ლუსიო, სანტონი (46. ხარჯა) - ძანეტი, კამბიასო (80. ობი), მოტა – კოუტინიო (46. პაცინი) - ეტოო, პანდევი.

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ – კასანი, მუნოზი, ბოვო, ბალცარეტი – მილიაჩო, ბასინოვიჩი, ნოჩერინო – პასტორე, ილიჩიჩი – მიკოლი (61. კასამი).

**გოლები:** 0:1 მიკოლი (5), 0:2 ნოჩერინო (36), 1:2 პაცინი (57), 2:2 პაცინი (72), 3:2 ეტოო (76-პენ.).

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 20(10)-9(6); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 60 000

### ლეჩე-ჩეზენა 1:1

**ლეჩე (4-3-1-2):** როზატი – ტომოვიჩი, ფერარიო, ფაბიანო, ბრივიო – ჯაკომაცი, მუნარი, ოლივერა – ვივესი – ჯედა, კორვია.

**ჩეზენა (4-3-2-1):** ანტონიოლი – ლაურო, პელეგრინო, ფონ ბერგენი, ჩეკარელი - პაროლო, კოლუჩი, კაზერტა – ჯაკერინი, ხიმენესი – ბოგდანი.

**გოლები:** 1:0 კორვია (11), 1:1 ბოგდანი (90).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 10(4)-6(3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 11 000

### ნაპოლი-სამპდორია 4:0

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი - სანტაკროჩე, კანავარო (70. კრიბარი), კამპანიარო - ცუნიგა, გარგანო, დოსენა, იებდა – ჰამშიკი (58. სოსა), ლავეცი – კავანი (63. ლუკარელი).

**სამპდორია (4-4-2):** კურჩი – ძაური (50. დესენა), ვოლტა, აკარდი, ციგლერი - პალომბო, მანინი, ტისონე (69. პოლი), გუბერტი - მაკარონე, მაკედა (55. ბიაბიანი).

**გოლები:** 1:0 კავანი (16), 2:0 კავანი (45-პენ.), 3:0 ჰამშიკი (48), 4:0 კავანი (57).

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 17(9)-7(1); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 47 000

### იუვენტუსი-უდინეზე 1:2

**იუვენტუსი (4-5-1):** ბუფონი – გრიგერა, ბონუჩი, კიელინი, გროსო – კრასიჩი, მელო, აკვილანი (84. სისოკო), მარკიზიო (89. ლიბერტაცი) – მარტინესი, დელ პიერო.

**უდინეზე (4-3-1-2):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, ზაპატა, დომიცი, ისლა – პინცი, ასამოა, ინლერი (66. დენისი) – არმერო (90. კოდა) – დი ნატალე (70. აბდი), სანჩესი.

**გოლები:** 1:0 მარკიზიო (60), 1:1 ზაპატა (67), 1:2 სანჩესი (85).

**გაძევება:** ბონუჩი (87) – სანჩესი (88).

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 11(4)-11(6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 19 000

### ბოლონია-რომა *შეწყდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 22 | 14 | 5 | 3 | 39-18 | 47 |
| 2. ნაპოლი | 22 | 13 | 4 | 5 | 36-20 | 43 |
| 3. ლაციო | 22 | 12 | 4 | 6 | 29-21 | 40 |
| 4. ინტერი | 21 | 11 | 5 | 5 | 36-24 | 38 |
| 5. რომა | 21 | 11 | 5 | 5 | 31-24 | 38 |
| 6. უდინეზე | 22 | 11 | 3 | 8 | 36-29 | 36 |
| 7. იუვენტუსი | 22 | 9 | 8 | 5 | 36-27 | 35 |
| 8. პალერმო | 22 | 10 | 4 | 8 | 36-28 | 34 |
| 9. კალიარი | 22 | 8 | 5 | 9 | 26-23 | 29 |
| 10. კიევო | 22 | 6 | 9 | 7 | 23-22 | 27 |
| 11. სამპდორია | 21 | 6 | 9 | 6 | 20-22 | 27 |
| 12. ჯენოა | 21 | 7 | 6 | 8 | 18-20 | 27 |
| 13. ფიორენტინა | 21 | 6 | 7 | 8 | 21-23 | 25 |
| 14. ბოლონია | 21 | 7 | 7 | 7 | 23-29 | 25 |
| 15. პარმა | 22 | 6 | 7 | 9 | 22-28 | 25 |
| 16. კატანია | 22 | 5 | 7 | 10 | 18-29 | 22 |
| 17. ლეჩე | 22 | 5 | 6 | 11 | 21-39 | 21 |
| 18. ჩეზენა | 22 | 5 | 5 | 12 | 16-28 | 20 |
| 19. ბრეშა | 22 | 5 | 3 | 14 | 17-30 | 18 |
| 20. ბარი | 22 | 4 | 5 | 13 | 14-34 | 14 |

ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა

**ბომბარდირები:** 17 - კავანი (ნაპოლი); 15 – დი ნატალე; 13 – დი ვაიო (ბოლონია); 13 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი), ეტოო (ინტერი);

## სერია B

### XXIV ტური

**ემპოლი-ვარეზე** 1:1
გოლები: 0:1 ებაგუა (16), 1:1 კორალი (61).

**ალბინოლეფე-ასკოლი** 1:1
გოლები: 0:1 ფეშეზინი (10), 1:1 ტორი (42).

**კროტონე-ტორინო** 1:1
გოლები: 1:0 კუტოლო (76), 1:1 ბიანკი (80).

**ნოვარა-ჩიტადელა** 2:2
გოლები: 1:0 მოტა (11-პენ.), 1:1 რობერტო (72), 2:1 პაროლა (76), 2:2 პერნა (90).

**პადოვა-მოდენა** 1:1
გოლები: 1:0 ვანტაჯატო (11), 1:1 მაძარანი (22-პენ.).

**პესკარა-ტრიესტინა** 0:0

**პიაჩენცა-რეჯინა** 3:2
გოლები: 0:1 რიცო (26), 1:1 მარკი (37), 2:1 გრაფიედი (42), 2:2 ბონაცოლი (73-პენ.), 3:2 კაჩა (88).

**სასუოლო-პორტოგრუარო** 0:1
გოლი: 0:1 პია (59).

**სიენა-ლივორნო** 4:0
გოლები: 1:0 კალაიო (54), 2:0 მასტრუნინციო (60), 3:0 კალაიო (85), 4:0 ვერგასოლა (88).

**ვიჩენცა-ჰროსეტო** 0:1
გოლი: 0:1 დეფენდი (56).

**ფროზინონე-ატალანტა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიენა | 24 | 13 | 8 | 3 | 41-21 | 47 |
| 3. ნოვარა | 24 | 12 | 9 | 3 | 44-21 | 45 |
| 2. ატალანტა | 23 | 13 | 5 | 5 | 30-18 | 44 |
| 4. ვარეზე | 24 | 10 | 10 | 4 | 28-16 | 40 |
| 5. ლივორნო | 24 | 9 | 8 | 7 | 34-30 | 35 |
| 7. ტორინო | 24 | 9 | 8 | 7 | 28-29 | 35 |
| 8. პადოვა | 24 | 8 | 10 | 6 | 37-29 | 34 |
| 6. რეჯინა | 24 | 9 | 7 | 8 | 28-26 | 34 |
| 9. პესკარა | 23 | 8 | 8 | 7 | 26-25 | 32 |
| 13. გროსეტო | 24 | 8 | 7 | 9 | 26-29 | 31 |
| 10. ვიჩენცა | 24 | 9 | 4 | 11 | 26-30 | 31 |
| 11. ემპოლი | 23 | 6 | 12 | 5 | 26-22 | 30 |
| 12. კროტონე | 24 | 6 | 11 | 7 | 23-26 | 29 |
| 14. მოდენა | 24 | 6 | 11 | 7 | 25-31 | 29 |
| 15. ალბინოლეფე | 24 | 7 | 7 | 10 | 31-39 | 28 |
| 16. ჩიტადელა | 24 | 6 | 8 | 10 | 28-32 | 26 |
| 18. პიაჩენცა | 24 | 5 | 10 | 9 | 30-37 | 25 |
| 19. პორტოგრუარო | 24 | 6 | 7 | 11 | 22-36 | 25 |
| 17. სასუოლო | 24 | 6 | 6 | 12 | 24-29 | 24 |
| 21. ტრიესტინა | 24 | 4 | 11 | 9 | 18-29 | 23 |
| 20. ასკოლი | 24 | 6 | 9 | 9 | 23-30 | 22 |
| 22. ფროზინონე | 23 | 4 | 8 | 11 | 23-36 | 20 |

*ასკოლის დაკლებული აქვს 5 ქულა*

**ბომბარდირები:** 15 - სუჩი (პადოვა); 13 - კორალი (ემპოლი); 12 - კაჩა (პიაჩენცა); 11 - ბერტანი (ნოვარა); გონსალესი (ნოვარა), ბონაცოლი (რეჯინა); 10 – ბიანკი (ტორინო), აბრუსკატო (ვიჩენცა);

## ლეგა პრო 1 A

**ლუმეცანე-სალერნიტანა** 1:3.

## ლეგა პრო 1 B

**ლანჩანო-ვიარეჯო** 1:2

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XXI ტური

**ნიიმეგენი-ჰერაკლესი** 1:1
გოლები: 1:0 ვლემინცკი (52), 1:1 ფლედერუსი (63).

**ვიტესი-როდა** 5:2
გოლები: 0:1 იუნკერი (4), 1:1 მატიჩი (16), 2:1 გინკელი (23), 3:1 ფელპეტო (45-პენ.), 4:1 ბაბანგიდა (55), 5:1 გინკელი (58), 5:2 ჰემპტე (70).

**ალკმაარი-ვენლო** 6:1
გოლები: 1:0 სიგტორსონი (5), 2:0 სიგტორსონი (13), 3:0 სიგტორსონი (26), 3:1 მუსა (37), 4:1 სიგტორსონი (47), 5:1 გუდმუნდსონი (50), 6:1 სიგტორსონი (69).

**პსვ-ვილემი** 2:1
გოლები: 0:1 ბიემანსი (17), 1:1 ტოივონენი (47), 2:1 ზეეფუიკი (90).

**ექსელსიორი-დენ ჰააგი** 1:5
გოლები: 1:0 ვიმცკენი (12), 1:1 ბულიკინი (19), 1:2 კუბლიკი (29), 1:3 ბულიკინი (40), 1:4 ტორნსტრა (51), 1:5 ვერჰოეკი (64).

**ტვენტე-ფეიენოორდი** 2:1
გოლები: 0:1 სვერტსი (51), 1:1 ბრამა (75), 2:1 რუიზი (90).

**ბრედა-აიაქსი** 0:3
გოლები: 0:1 იონგი (12), 0:2 პენდერსი (67-საკ. კარში), 0:3 სულეიმანი (90).

**ჰეერენვენი-გრონინგენი** 1:4
გოლები: 0:1 ივენსი (12), 0:2 მატავცი (24), 0:3 ტადიჩი (55), 1:3 ჯურიჩიჩი (67), 1:4 ტადიჩი (90).

**დე გრააფსხაპი-უტრეხტი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 21 | 14 | 5 | 2 | 58-20 | 47 |
| 2. ტვენტე | 21 | 14 | 4 | 3 | 44-23 | 46 |
| 3. აიაქსი | 21 | 12 | 5 | 4 | 42-20 | 41 |
| 4. გრონინგენი | 21 | 12 | 4 | 5 | 42-27 | 40 |
| 5. ალკმაარი | 21 | 10 | 7 | 4 | 33-21 | 37 |
| 6. როდა | 21 | 9 | 8 | 4 | 37-29 | 35 |
| 7. დენ ჰააგი | 21 | 10 | 5 | 6 | 39-32 | 35 |
| 8. უტრეხტი | 20 | 10 | 2 | 8 | 35-27 | 32 |
| 9. ჰერენვეენი | 21 | 8 | 6 | 7 | 42-33 | 30 |
| 10. ბრედა | 21 | 9 | 4 | 8 | 31-33 | 30 |
| 11. ნიიმეგენი | 21 | 6 | 8 | 7 | 36-38 | 26 |
| 12. დე გრააფსხაპი | 20 | 6 | 6 | 8 | 22-37 | 24 |
| 13. ჰერაკლესი | 21 | 5 | 6 | 10 | 31-40 | 21 |
| 14. ვიტესი | 21 | 5 | 6 | 10 | 26-36 | 21 |
| 15. ფეიენოორდი | 21 | 5 | 5 | 11 | 24-38 | 20 |
| 16. ექსელსიორი | 21 | 4 | 4 | 13 | 23-44 | 16 |
| 17. ვენლო | 21 | 3 | 1 | 17 | 19-51 | 10 |
| 18. ვილემი | 21 | 1 | 4 | 16 | 18-53 | 7 |

**ბომბარდირები:** 17 - ვლემინსი (ნიიმეგენი); 14 – იანკო (ტვენტე); 12 - ტოივონენი (პსვ); 11 - ვან ვოლფსვინკელი (უტრეხტი), ბულიკინი (დე ჰააგი), ელ ჰამდაუი (აიაქსი), მატავჟი (გრონინგენი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. ფეხბურთის ასოციაციის თასი. IV ეტაპი

# ფერგიუსონს ბრილიანტი არ მოეწონა

**ევერტონი-ჩელსი** 1:1

გოლები: 1:0 საა (62), 1:1 კალუ (75)

**სუონსი-ლეიტონი** 1:2

გოლები: 0:1 სმიტი (35), 1:1 ვან დერ გუნი (45), 1:2 ტეიტი (88 ს.კ.)

**ასტონ ვილა-ბლექბერნი** 3:1

გოლები: 1:0 კლარკი (11), 1:1 კალინიჩი (18), 2:1 პირესი (35), 3:1 (დელფუენსო (42)

**ბირმინგემი-ქოვენთრი** 3:2

გოლები: 0:1 კინგი (11), 0:2 ვუდი (26), 1:2 ბენტლი (35), 2:2 პერნები (67), 3:2 ფილიპსი (73)

**ბოლტონი-უიგანი** 0:0

**ბარნლი-ბარტონი** 3:1

გოლები: 1:0 იგლზი (29), 2:0 იგლზი (70), 2:1 ზოლა (80), 3:1 პეტერსონი (90)

**შეფილდი-ჰერეფორდი** 4:1

გოლები: 0:1 ფლიტვუდი (9), 1:1 პოტერი (15), 2:1 მორისონი (69), 3:1 ჯონსონი (77), 4:1 მორისონი (79)

**სტივენიჯი-რედინგი** 1:2

გოლები: 0:1 ლეიგერტვუდი (23), 1:1 ჩარლზი (72), 1:2 ლონგი (87)

**თორგუეი-ქროული 0:1**

გოლები: 0:1 ტაბსი (39)
ვერ გაიტანა პენალტი: ტაბსი (61)
ვერ გაიტანა პენალტი: მაკალისტერი (68)

**უოტფორდი-ბრაიტონი** 0:1

გოლები: 0:1 ბერნესი (16)

**საუთჰემპტონი-მანჩესტერ იუნ.** 1:2

გოლები: 1:0 ჩეპლოუ (45), 1:1 ოუენი (65), 1:2 ერნანდესი (75)

**არსენალი-ჰადერსფილდი** 2:1

გოლები: 1:0 კლარკი (22 ს.კ.), 1:1 ლი (66), 2:1 ფაბრეგასი (86-პენ)

**ვულვერჰემპტონი-სტოკი 0:1**

გოლები: 0:1 ჰუთი (81)

**ნოთს ქაუნთი-მანჩესტერ სიტი** 1:1

გოლები: 0:1 ბიშოპი (59), 1:1 ჯეკო (80)

**ვესტ ჰემი-ნოტინგემ ფორესტი** 3:2

გოლები: 1:0 ობინა (4), 1:1 ადებოლა (18), 1:2 მაკგოლდრიკი (40), 2:2 ობინა (42), 3:2 ობინა (52)

**ფულჰემი-ტოტენჰემ ჰოთსპური** 4:0

გოლები: 1:0 მერფი (11-პენ), 2:0 მერფი (14-პენ), 3:0 ჰანგელანდი (23), 4:0 დემბელე (45)

„ჩელსის" ფეხბურთის ასოციაციის თასისთვის ბრძოლის შანსი **სალომონ კალუმ** შეუნარჩუნა - არადა, კოტ დ'ივუარელმა ფორვარდმა მოედანზე მხოლოდ ბოლო 20 წუთი დაყო. „ევერტონის" ფრანგი თავდამსხმელის, **ლუი საას** შედეგიანმა თავურმა ტიტულის ბოლო ორი წლის მფლობელი კინაღამ მეოთხე ეტაპიდანვე გამოთიშა შეჯიბრებას, მაგრამ კალუმ მოედანზე შესვლიდან 5 წუთში „ლურჯების" კონტრშეტევა გოლით დააგვირგვინა და ახლა გუნდები „სტემფორდ ბრიჯზე" გაარკვევენ მერვედფინალისტის ვინაობას. საგულისხმოა, რომ კალუს გოლამდე წამებით ადრე მასპინძლებს შეეძლოთ უპირატესობის გაზრდა, მაგრამ **სიმუს კოულმენს პეტრ ჩეხმა** აუღო დიდებულად. თუ ხელიდან გაშვებულ მომენტებს გავიხსენებთ, უპირველეს ყოვლისა, **დიდიე დროგბა** უნდა ვახსენოთ, რომელმაც მე-5 წუთზე მეკარე **ტიმ ჰოვარდს** ბრწყინვალე პოზიციიდან ულონოდ დაურტყა. შეხვედრის მიწურულს ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შანსი: **რამირესმა** ძელს გაარტყა, **ჯერმაინ ბეკფორდმა** კი კვლავ ჩეხის ოსტატობა შეამოწმა. კიდევ, ამ შეხვედრაში, საინტერესო ის იყო, რომ სტუმარი გუნდის ფანები მთელი შეხვედრის განმავლობაში ომახიანად ყვიროდნენ „ჩელსის" მეცხრე ნომერი **ფერნანდო ტორესიაო**. შეგახსენებთ: შეხვედრა ლივერპულში მიმდინარეობდა, ამ ქალაქს კი ორი ერთმანეთის მოშუღლე გუნდი ჰყავს, „ევერტონი" (რომელსაც „ჩელსი" ეთამაშებოდა) და „ლივერპული", საიდანაც ლონდონელები ტორესის გადაბირებას ცდილობდნენ.

ბირმინგემში, „ვილა პარკზე", „ასტონ ვილამ" „ბლექბერნს" 3:1 მოუგო. ამ ამბავში ყველაზე სახალისო ის არის, რომ მასპინძელთა სამი გოლიდან ერთი **რობერ პირესმა** გაიტანა. ფრანგული ფეხბურთის ვეტერანი კიდევ რომ თამაშობდა და თან პრემიერლიგის გუნდში იყო, ყველას კარგად მოგვეხსენებოდა, მაგრამ 37 წლისა გოლსაც თუ გაიტანდა... თუმცა, ვატყობთ, უკბილო ხუმრობა გამოგვივიდა და ამიტომ ინფორმაციას სერიოზული სახე მივცეთ: რობერ პირესმა „ასტონ ვილას" შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა. მატჩის შემდეგ, გამარჯვებულთა თავკაცმა **ჟერარ ულიემ** თანამემამულე შეაქო:

*„მთავარია, რომ ის ჯანმრთელად არის და ფიზიკურად ჩინებულ ფორმაშია. წინა ტურში „შეფილდ იუნაიტედთანაც" ვათამაშე და ვატყობ, რომ საქმეს უკეთ და უკეთ ართმევს თავს. პასის გრძნობას კი, აბა, როგორ დაკარგავდა. გოლი რომ გაიტანა, სათადარიგოთა სკამზე ისე გაუხარდათ, აშკარად გამოჩნდა - პირესი გუნდში უყვართ. ის კარგი ადამიანია".*

ადრეც გვიხსენებია, რომ ამ კარგ ადამიანს კონტრაქტის თანახმად მძღოლი ემსახურება.

ბირმინგემის მეორე, ქალაქის მოსახელე გუნდს კი „ჩემპიონშიპის" წარმომადგენელ „ქოვენთრისთან" ჰქონდა შეხვედრა და 3:2 მოუგო. მასპინძელთაგან ორი გოლი მივიწყებულმა ფეხბურთელებმა **სტიუარტ პერნებიმ** და **კევინ ფილიპსმა** გაიტანეს. მნიშვნელოვანია, რომ თავიდან 2:0-ს „ქოვენთრი" იგებდა. გამარჯვებულთა თავკაცს **ალექს მაკლიშსაც** ყველაზე მეტად სწორედ თავისი ბიჭების სულის უტეხობა მოეწონა, მაგრამ დასძინა, რომ იმედი აქვს ასეთ სიხარულს ხშირად არ მიანიჭებენ, თორემ შეიძლება გული გაუსკდეს.

„ბოლტონისა" და „უიგანის" თამაში 0:0 დამთავრდა. სტუმრების ესპანელმა თავკაცმა **რობერტო მარტინესმა** დაამტკიცა, რომ პრემიერლიგის ცხრილში მე-18 ადგილზე ყოფნის მიუხედავად, მისი ბიჭები მორალურად არ დაცემულან და თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ: კითხვას, ვინ გავა მერვედფინალში, ახლა, „რიბოკ სთედიუმზე" გაეცემა პასუხი.

„მანჩესტერ იუნაიტედმაც" თამაშის შემობრუნების უნარით გამოიჩინა თავი, თუმცა სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდი ამას უკვე ვინ მოთვლის მერამდენედ აკეთებს. „იუნაიტედს" ჯერ ჩამორჩენა და მერე მოგება, როგორც ჩანს ჩვევად ექცა, რაკილა პირველი ლიგის, გუნდთანაც ასე მოიქცა. მანჩესტერელთაგან ვეტერანმა **მაიკლ ოუენმა** და **ხავიერ ერნანდესმა** გაიტანეს. ერნანდესის გამარჯვების გოლი ბევრისთვის კიდევ ერთი არგუმენტია, რომ **უეინ რუნის** „იუნაიტედში" მთლად კარგად ველარ აქვს საქმე. ფერგიუსონმა ინგლისელი ვარსკვლავი ამ შეხვედრაში საერთოდ არ შეიყვანა მოედანზე - სათადარიგოთა სკამზე დატოვა. მატჩის შემდეგ ფერგიმ თქვა:

*„ხანდახან ჩვენ თავად ვირთულებთ საქმეს, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ დღეს მეც ზედმეტად გადავასხვაფერე შემადგენლობა და რაც მთავარია, სათამაშო სისტემა. მინდოდა ნახევარდაცვის შუაში ეგრეთ წოდებული „ბრილიანტის განლაგება" მომესინჯა, არადა, მოგეხსენებათ, „იუნაიტედი" ფლანგებზე გაშლილ თამაშს არის დაჩვეული. „ბრილიანტმა" არ გაამართლა. ბურთს კი ვფლობდით, მაგრამ მომენტებს ვერ ვქმნიდით".*

„არსენალის" კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** „ემირეიტ სთედიუმზე" „ჰადერსფილდთან" შეხვედრაში მოედანზე საფინალო სასტვენამდე 21 წუთით ადრე შევიდა და გამარჯვების პენალტი შეაგდო. ამ შეხვედრაში „მეთოფეებმა" გასული კვირის შუაში „ქარლინგის თასზე" „იფსვიჩთან" ჩატარებულ შეხვედრასთან შედარებით შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადაახალისეს, მაგრამ ანგარიშის გახსნა ასეც შეძლეს: **ნიკლას ბენდტნერის** დარტყმული **პიტერ კლარკმა** თავის კარში ჩაჭრა. ამის შემდეგ კი მასპინძლებს ცუდი ამბავი შეემთხვათ - ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, **სამირ ნასრი** დაუშავდათ. ფრანგს ორთავა კუნთი ისე დაუზიანდა, რომ შესაძლოა „ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის მეორთხედფინალშიც კი ვერ ითამაშოს. ამას გაძევება მოჰყვა: მსაჯმა **მარკ კლეტენბერგმა სებასტიან სკილაჩი ჯეკ ჰანტის** ნაქცევისთვის წითელი ბარათით დასაჯა. შემდეგ **ალან ლიმ** თავურით გაჰქვითა, მაგრამ ჩრდილოლონდონელების გასახარად ფაბრეგასმა პენალტით გამარჯვების გოლი გაიტანა - კლეტენბერგმა ჩათვალა, რომ **ჯეიმი მაკკომბმა** ბენდტნერთან ორთაბრძოლის დროს წესი დაარღვია და თერთმეტმეტრიანი დანიშნა. მატჩის შემდეგ „არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** თქვა:

*„როგორც ჩანს, ნასრი სერიოზულად დაგვიშავდა. ასეთი ტრავმების დროს ფეხბურთელებს, როგორც წესი, სამი კვირა უცდებათ ხოლმე. იქნებ გაგვიმართლოს და სამირი ორ კვირაში გამოჯანმრთელდეს. მართალი გითხრათ, მისი თამაში არც მინდოდა, მაგრამ ტომაშ როსიცკი ძალიან სუსტად იყო და სხვა გზა აღარ მქონდა".*

„სტოკმა" ვულვერჰემპტონში 1:0 ბოლო 10-15 წუთში გადატანილი ნერვიულობის წყალობით მოიგო. უფრო კონკრეტულად: **რობერტ ჰუთმა** 81-ე წუთზე თავური გოლი შეაგდო, მსაჯის დამატებულ წუთებზე კი მეკარე **ტომას სიორესენმა** პენალტი მოიგერია. ჰუთს კუთხურიდან მაღალი პასი **მეტიუ ეზერინგტონმა** აუწია. ბედის ირონიით იგივე ჰუთი გახლდათ ბოლო, დრამატული ეპიზოდის ერთ-ერთი მთავარი გმირიც: **ნენად მილიაში** სტუმრების საჯარიმოში სწორედ მისი წინააღმდეგობის შედეგად წაიქცა და სიორენსენის ყოჩაღობა რომ არა, მოედანს განბილებული დატოვებდა. ცნობისთვის: „ტოკმა" „ვულვზს" ფეხბურთის ასოციაციის თასზე ისტორიაში პირველად მოუგო.

„მანჩესტერ სიტი" კი „ვოლფსბურგიდან" სულ ახლახან გადასულ ბოსნიელ **ედინ ჯეკოს** უნდა უმადლოდეს, თასის გათამაშებას რომ არ გამოეთიშა. ჯეკო რომ არა, „სიტის" პირველი ლიგის „ნოთს ქაუნთი" მოუგებდა. „ქაუნთიმ" წინა ეტაპზე შეჯიბრებიდან „სანდერლენდი" მოისროლა და ახლა **ნილ ბიშოპის** თავურით პრემიერლიგის ერთ-ერთ ლიდერსა და ჩემპიონობის პრეტენდენტს უპირებდა იმავეს. კაცმა რომ თქვას, ფეხბურთის ასოციაციის თასზე სენსაციები ისეთივე ძველი ამბავია, როგორც თავად „ქაუნთი" და 60-დან 80-მე წუთამდე ყველას ეგონა, რომ მორიგი შოკის წინაშე ვიდგენ, მაგრამ ბოსნიელს ამ საკითხზე სხვა აზრი აღმოაჩნდა და საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე **მიკა რიჩარდსის** დაბალი პასი გოლად აქცია. ახლა, მეტოქეები მერვედფინალისტის გასარკვევად კიდევ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, თანაც მანჩესტერში, ისტლენდზე. შეხვედრის მიწურულს გოლის გატანის შანსი „სიტისაც" ჰქონდა და „ქაუნთისაც". სასეიროა, რომ ამ შეხვედრას კვიმატმა ინგლისელმა ჟურნალისტებმა უკვე შეარქვეს მსოფლიოს უძველესი და უმდიდრესი კლუბების დაპირისპირება.

პრემიერლიგის აუტსაიდერი „ვესტ ჰემი" კი **ვიქტორ ობინას** ჰეთ-ტრიკის წყალობით გავიდა მერვედფინალში. ხუთგოლიანი შეხვედრიდან ოთხი სრულიად გადარეულ პირველ ტაიმში გავიდა. წონასწორობა 23 წლის ნიგერიელმა შესვენების შემდეგ, 52-ე წუთზე პენალტით შეაგდო. ამ შეხვედრაში იღბალმა მონაწილეობა პირდაპირი მნიშვნელობით გადაწყვიტა და პირველი ტაიმის გოლებს თავისი სერიოზული დაღი დაასვა, რასაც სატელევიზიო მიმოხილვებსა და ინტერნეტ საიტებზე, ეჭვი არ არის, თქვენი თვალით ნახავთ.

დაბოლოს, იმის შესახებ, თუ როგორ გაანადგურა „ფულჰემმა" „ტოტენჰემი" - ლონდონური დერბი „კრეივენ კოტეჯზე" 4:0 დასრულდა. ოთხივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. პირველი და მეორე გოლი **დენი მერფიმ** სამწუთიან ინტერვალში დანიშნული ორი პენალტით გაიტანა. მეორე თერთმეტმეტრიანის ეპიზოდი „სფურზის" კაპიტან **მაიკლ დოუსონს** წითელ ბარათად დაუჯდა - **კლინტ დემპსის** წაქცევისთვის მოედანი დაატოვებინეს. მეორე ტაიმი სრული ფორმალობა გახლდათ.



სატრანსფერო ამბები



# ტორესი ჩელსის გზაზეა!

თუ „ჩელსი" 50 მილიონი ფუნტის გადახდას დათანხმდება, „ლივერპული" **ფერნანდო ტორესს** დათმობს და დღეს საღამოს ესპანელ ვარსკვლავს ინგლისის ჩემპიონთა შორის ვიხილავთ. ჯერი **რომან აბრამოვიჩზეა**. არის კიდევ ერთი ვარიანტი: „ჩელსის" შეუძლია 42 მილიონი ფუნტი გადაიხადოს და ზედ **ნიკოლა ანელკა** მიაყოლოს.

ამბობენ, თუ ტორესი „ჩელსიში" გადავა „ენფილდ როუდზე" მაინცდამაინც არავინ გამოეტირება. „დეილი მეილმა" ამის თაობაზე ერთ-ერთ ლივერპულელ ფეხბურთელს ჰკითხა და საინტერესო პასუხი მიიღო:

*„ჩვენს გუნდში მისი ოსტატობით ყველა აღფრთოვანებული იყო, მაგრამ სიყვარულით ის არასდროს ჰყვარებიათ".*

რასაკვირველია, ამ სიტყვების ავტორს გაზეთი არ ასახელებს. და რა პოზიცია უჭირავს მერსისაიდელთა მწვრთნელ **კენი დალგლიშს**? როგორც ამბობენ, მას კლუბის ამერიკელ მეპატრონესთან **ჯონ ჰენრისთან** ყველაფერი შეთანხმებული აქვს. ორივე ამბობს, რომ გუნდში უკმაყოფილო ფეხბურთელის ყოლას დიდი ფულის შოვნა სჯობს.

„ლივერპულიდან" გაქცევის საშუალებას ტორესს კონტრაქტის ის მუხლი აძლევს, რომელშიც წერია, რომ თუკი ის 50 მილიონს „შემოიტანს" შეუძლია, სადაც უნდა იქ გადავიდეს. შეგახსენებთ, რომ ბრიტანულ ტრანსფერთა შორის სარეკორდო 2008 წელს „რეალიდან" „მანჩესტერ სიტიში" **რობინიოს** გადაყვანა იყო. ბრაზილიელი ისტლენდელებს 32,5 მილიონი ფუნტი დაუჯდათ.

ამბობენ, რომ როდესაც დაინახეს როგორ უნდოდა ტორესს „ჩელსიში" გადასვლა, „ლივერპულში" გაკვირვებისგან ყველამ პირი დააღო. არადა, „წითლები" „აიაქსიდან" 23 მილიონ ფუნტად ურუგვაელ **ლუის სუარესს** ყიდულობენ და იმედოვნებდნენ, რომ მას „ელ ნინიოსთან" წყვილში ათამაშებდნენ. ცნობისათვის: სუარესმა „ენფილდზე" სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა.

ტორესს „ლივერპულში" თვალსაჩინო კარიერა ჰქონდა, პრემიერლიგის 91 შეხვედრაში 65 გოლი შეაგდო, მაგრამ ინგლისის ჩემპიონი ვერ გახდა. შეგახსენებთ, რომ „ჩელსიმ" მერსისაიდელებს, თავიდან, ტორესის სანაცვლოდ 38 მილიონი ფუნტი და ახალგაზრდა თავდამსხმელი **დენიელ სტარიჯი** შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. სატრანსფერო ფანჯარა დღეს საღამოს, ინგლისის დროით 23 საათზე იხურება, რაც ჩვენებურად ხვალის 3 საათს ნიშნავს.

ტორესის ამბის ფონზე ფერმკრთალად გამოჩნდა **რობი კინის** ტრანსფერი: ირლანდიელი „ტოტენჰემიდან" „ვესტ ჰემში" გადავიდა. ის ჯერჯერობით გაქირავებულია, თუმცა, თუ ყველაფერი კარგად იქნა, ზაფხულზე 6-მილიონიან „ნაღდ" კონტრაქტს მოაწერს ხელს.

*„ბედნიერი ვარ, რომ მსოფლიო კლასის ფორვარდი შევიძინეთ. „ტოტენჰემის" თავმჯდომარე დენიელ ლივიმ ცუდი ვაჭრობა იცის, მაგრამ მთავარია, რომ საბოლოოდ ჩვენ ჩვენთვის სასურველი თავდამსხმელი გადმოვიბირეთ"* - ბრძანა „ვესტ ჰემის" თავმჯდომარემ **დევიდ გოლდმა**.

შოტლანდია

## პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩები

**ჰემილტონი-კილმარნოკი** 1:1

გოლები: 0:1 სემონი (15), 1:1 ანტუან-კურიე (79)

**ჰართსი-სტ. ჯონსტონი** 1:0

გოლები: 1:0 სკაცელი (3)

**დანდი-ჰიბერნიანი** 3:0

გოლები: 1:0 დეილი (13), 2:0 კონუეი (48), 3:0 რასელი (80)

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 23 | 17 | 4 | 2 | 50-14 | 55 |
| 2. რეინჯერსი | 21 | 16 | 2 | 3 | 46-20 | 50 |
| 3. ჰართსი | 23 | 15 | 3 | 5 | 37-20 | 48 |
| 4. კილმარნოკი | 23 | 9 | 6 | 8 | 36-26 | 33 |
| 5. ინვერნესი | 24 | 7 | 8 | 9 | 31-30 | 29 |
| 6. დანდი | 20 | 7 | 8 | 5 | 25:25 | 29 |
| 7. მოზერუელი | 22 | 8 | 4 | 10 | 26:26 | 28 |
| 8. სტ. ჯონსტონი | 22 | 7 | 5 | 10 | 15:27 | 26 |
| 9. აბერდინი | 22 | 7 | 2 | 13 | 23:39 | 23 |
| 10. სტ. მირენი | 22 | 4 | 6 | 12 | 18:36 | 18 |
| 11. ჰიბერნიანი | 23 | 4 | 4 | 15 | 21:42 | 16 |
| 12. ჰემილტონი | 21 | 2 | 8 | 11 | 14:37 | 14 |

**ბომბარდირები:** 21 – მილერი (რეინჯერსი); 15 - სემონი (კილმარნოკი); 11 – ბლექმენი (აბერდინი), გუდვილი (დანდი), სტოკსი (სელტიკი), რუნი (ინვერნესი); 10 - ჰუპერი (სელტიკი); 9 –ვერნონი (აბერდინი); 8 - სკაცელი (ჰართსი), რიორდანი (ჰიბერნიანი); 7 – კაილი (ჰართსი), ტემპლტონი (ჰართსი); 6 –ჰიგდონი (სენტ მირენი), მაკკოურტი (სელტიკი); 5 - ნეისმითი (რეინჯერსი), ჰეიესი (ინვერნესი), ჰემილი (კოლმარნოკი). *კენი მილერი 2011 წლიდან „ბურსასფორში" გადავიდა*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

# ყველაფერი მორჩა?

## შურისძიება სექტემბრისთვის

პამპლონაში თამაშის 62-ე წუთზე 30 წლის ნახევარმცველმა **ხავიერ კამუნიასმა იკერ კასილიასის** კარში ერთადერთი გოლი გაიტანა და, ვგონებ, ჩემპიონატს მთავარი ინტრიგაც მოუკლა - დღეიდან „რეალს" 7 ქულა აშორებს „ბარსელონასთან". მართალია, **ჟოზე მოურინიოს** ჯერ კიდევ 17 ტური წინ აქვს, მაგრამ „განსაკუთრებულს" საამსეზონოდ კარგი პერსპექტივა არ უჩანს. მაშინ, როცა „რეალი" ნავარაში შერცხვა, „ბარსელონამ" სექტემბერში მარცხისთვის შური იძია „ერკულესზე", თუმცა ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ...

„ლევანტემ" ტური ბოლო ადგილზე დაიწყო, თუმცა **ლუის გარსიას** გუნდმა ბოლო დროს ფორმიდან ამოვარდნილ „ხეტაფეს" 2:0 მოუგო. ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა, ჯერ **ვალდომ** დაამატა **ფელიპე კაისედოს** დარტყმულს, შემდეგ კი თავად ფორვარდმა ცაციათი საჯარიმოს კუთხიდან გაიტანა მადრიდელთა კარში.

მოიგო კიდევ ერთმა კლუბმა, რომელიც აუტსაიდერთა შორის იყო, „სპორტინგმა" მოულოდნელად 4:0 გაანადგურა ჩვეულებრივ შინ კარგად მოთამაშე „მალიორკა". ბალეარელთა რბევა **დიეგო კასტრომ** დაიწყო, რომელმაც **ლორას** ჩამოწოდებულს მასპინძელთა კარში მიუჩინა ადგილი. შემდეგ **კევინ გარსიამ** საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, თავი შეცვლაზე შემოსულმა პორტუგალიელმა ახალწვეულმა **ანდრე კაშტრომ** გამოიჩინა, ბოლოს კი „მალიორკას" განადგურებას წერტილი **ნაჩო ნოვომ** დაუსვა.

„ანოეტაზე" „რეალ სოსიედადმა" „ალმერია" უპრობლემოდ დაამარცხა - 2:0. ჯერ მცველმა **იონ ანსოტეგიმ** თავი დაუხვედრა **რაულ ტამუდოს** კუთხურს, შემდეგ თავად ვეტერანმა ფორვარდმა გაიტანა. სხვათა შორის, რაულ ტამუდო სეზონის ბოლომდე დამტვრეულ **ხოსება ლორენტეს** ცვლიდა.

აუტსაიდერთა ჯახებიდან ყველაზე საინტერესო „მალაგაში" გაიმართა და მოულოდნელად სტუმარი „სარაგოსას" გამარჯვებით დასრულდა - 2:1. თავიდან **პატრიკ მტილიგას** ჩაწოდების შემდეგ **დუდამ** დააწინაურა თავისიანები, მაგრამ ანდალუსიელებმა იმდენად ცუდად ითამაშეს დაცვაში, რომ დაისაჯნენ კიდეც. ჯერ **ნიკოლას ბერტოლომ** გაათანაბრა, „სარაგოსას" იშვიათი გამარჯვება შეცვლაზე შესულმა **ფლორან სინამა-პონგოლემ** მოუტანა.

„ბარსელონამ" შური იძია, თუმცა კი ცოტა გაუჭირდა კიდეც - საბოლოოდ, კი შედეგი მაინც მეტოქისთვის გამანადგურებელი აღმოჩნდა - კატალონიურმა გრანდმა 3:0 მოიგო. ჩემპიონი მოედანზე მაინცდამაინც ვერ გრძნობდა ყოჩაღად თავს და მას **პედროს** გოლმა „ერკულესის" კარის ახლო კუთხეში სულზე მოუსწრო ტაიმის მიწურულს - ზედიზედ 6 მატჩია, პედრიტოს გოლი გააქვს, ახალგაზრდა ფორვარდი ბრწყინვალე ფორმაშია. ამ გოლმა მე-2 ტაიმში ბევრად გაუიოლა საქმე „ბარსას", თუმცა შვებით სტუმრებმა მხოლოდ მას მერე ამოისუნთქეს, რაც რეფერიმ გამოცდილი **ფარინოსი** მოედნიდან მიაბრძანა. ამის შემდეგ **ლეო მესიმ** დუბლი შეასრულა, ჯერ ჩვეულ სტილში, მარცხნივ შეიჭრა ცენტრისკენ და ცაციათი დალაშქრა კარი, შემდეგ კი თანაგუნდელთა გრძელი კომბინაცია დაასრულა, ახლო მანძილიდან ცარიელ კარში გაიტანა. ლეო მესიმ 21-მდე გაზარდა ლა ლიგაში გოლების რაოდენობა.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა გუნდმა ზედიზედ 15 მატჩი მოიგო და ალფრედო დი სტეფანოს „რეალის" რეკორდი გაიმეორა. ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენს რეკორდსაც დაამხობენ, მაგრამ ეს უახლოეს 50 წელიწადში არ მოხდება. მესი გენიალურია, ის 23 წლისაა და „ბარსელონაში" უკვე 164 გოლი აქვს გატანილი და ამ მაჩვენებლით კლუბის ისტორიაში მეოთხეა. ვიმეორებ, ის მხოლოდ 23 წლისაა".*

შაბათს ყველაზე თვალსასეირო და სკანდალური მატჩი გალისიური გამოდგა, „რიასორზე" „დეპორტივომ" და „სევილიამ" 6-გოლიანი თრილერი ითამაშეს. როცა მე-15 წუთზე მაროკოელმა **ლასად ნუინუიმ** ბრწყინვალე სოლო-რეიდის შემდეგ გახსნა ანგარიში, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მატჩი ასეთი დაძაბული გახდებოდა. მართლაც, ლასადის პირველ და მეორე გოლებს შორის კარგა ხანი გავიდა, მეორე გოლი მასპინძელთა შემტევმა ხომ 62-ე წუთზე გაიტანა, მაშინ, როცა „სევილიას" გოლკიპერი **ანდრეს პალოპი** საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის ახალი გაძევებული იყო. „სევილიამ" ერთი გოლი მაშინვე გაქვითა - თავი **ალვარო ნეგრედომ** გამოიჩინა. ამის შემდეგ 10-კაციანმა სტუმართა გუნდმა ჯერ გათანაბრება (**ესკუდე**), შემდეგ კი წინ გასვლა (ნეგრედო) შეძლო, თუმცა 88-ე წუთზე „დეპორს" ქულა **ლაურემ** გადაურჩინა, მარჯვენა მცველმა საეჭვო სიტუაციაში გაიტანა გოლი, რასაც სტუმართა გუნდის ამაო პროტესტი მოჰყვა. გალისიელებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ მატჩის 95-ე წუთზე (!) **ხავი ვარასმა** სასწაულებრივ გადაარჩინა „სევილია". სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ იყო მე-7 გოლიც, დეპორტივოელი **ადრიანის**, რომელიც თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაითვალა - 3:3.

კვირას ბილბაოს „ატლეტიკმა" „ვისენტე კალდერონზე" 2:0 იმარჯვა და კიდევ უფრო მიუახლოვდა ლიდერებს. „ატლეტიკოს" კარში ორივე გოლის ავტორი **გაისკა ტოკეროა**. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებს პირველ ტაიმში **ლუის პერეა** გაუძევეს, მათ კარში კი პენალტი დანიშნეს, რომელიც **ფერნანდო ლორენტემ** კარს ააცილა.

აი, რა თქვა ჟოზე მოურინიომ წაგების შემდეგ: *„სათქმელი არაფერი მაქვს, ჩვენ დღეს სამი ქულა დავკარგეთ, რომელთაც არც ვიმსახურებდით. ისე, არა მგონია, აქ, ამ სტადიონზე ბევრმა მოიგოს".*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

5 თებერვალი: **ალმერია-ესპანიოლი, ბილბაო-სპორტინგი, ხეტაფე-დეპორტივო, ოსასუნა-მალიორკა, სარაგოსა-რასინგი, ვილიარეალი-ლევანტე, ბარსელონა-ატლეტიკო; 6 თებერვალი: სევილია-მალაგა, რეალი-რეალ სოსიედადი, ვალენსია-ერკულესი**




ხავიერ კამუნიასმა ინტრიგა მოკლა?

### მალიორკა-სპორტინგი 0:4

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ნუნიეში, კრესპი (66. მარტი), კევინი - დე გუზმანი, ჟ. ვიქტორი - ნსუე (67. სერხი), გ. კასტრო, პერეირა (82. ტეხერა) - ვებო.

**სპორტინგი (4-1-4-1):** კუელიარი - ლორა, ი. ერნანდესი, გრეგორი, კანელია - ეგურენი - დე ლას კუევასი (72. ნ. ნოვო), რივერა, კასესი (63. ა. კაშტრო), დ. კასტრო (81. აიოსე) - ბარალი.

**გოლები:** 0:1 დ. კასტრო (3), 0:2 კევინი (60 ს.კ.), 0:3 ა. კაშტრო (63), 0:4 ნ. ნოვო (86)

**გაფრთხილება:** ჟ. ვიქტორი, კრესპი, ვებო, ნუნიეში - ეგურენი, კუელიარი

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 17-10; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 16-10 (3-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 12 500

### მალაგა-სარაგოსა 1:2

**მალაგა (4-2-3-1):** ასენხო - გამესი (41. გასპარი), სტადსგაარდი, როსარიო, მტილიგა - ნ. კამაჩო, მარესკა (58. რესიო) - ელიზეუ (70. ქუინსი), ბაპტიშტა, დუდა - რონდონი.

**სარაგოსა (4-2-3-1):** ლ. ფრანკო - დიოგო, ლანსარო, იაროშიკი, პარედესი - პონსიო, გაბი - ლაფიტა (74. ბუტაჰარი), ანდერი (85. ხ. ლოპესი), ბერტოლო - ბრაულიო (67. სინამა-პონგოლე).

**გოლები:** 1:0 დუდა (15), 1:1 ბერტოლო (39), 1:2 სინამა-პონგოლე (86)

**გაფრთხილება:** როსარიო, ნ. კამაჩო, გასპარი - პონსიო, დიოგო, ბერტოლო, გაბი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 13-26; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 15-12 (6-7); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 21 000

### ლევანტე-ხეტაფე 2:0

**ლევანტე (4-4-2):** მუნუა - ხ. ვენტა, ბალესტეროსი, დელ ორნო, ხუანფრანი (66. ნანო) - ხ. ტორესი, პალიარდო - ვალდო (88. ველინგტონი), ს. მუნიოსი (71. იბორა), ხუანლუ - ფ. კაისედო.

**ხეტაფე (4-2-3-1):** უსტარი - მ. ტორესი (65. კოლუნგა), დიასი, რაფა (58. მარკანო), მანე - ბოატენგი, მოსკერა (56. გავილანი) - პ. რიოსი, პარეხო, მანუ - მიკუ.

**გოლები:** 1:0 ვალდო (47), 2:0 ფ. კაისედო (54)

**გაფრთხილება:** ხ. ვენტა, ხ. ტორესი, ფ. კაისედო - პარეხო, პ. რიოსი

**გაძევება:** ნადალი (78. ლევანტე - სათ. სკამიდან), მანუ (78)

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 15-7 (6-0); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 14 000

### რეალ სოსიედადი-ალმერია 2:0

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - ესტრადა, ანსოტეგი, ლაბაკა, დე ლა ბელა - რივასი, ელუსტონდო - ჩ. პრიეტო, ზურუტუზა (84. არანბურუ), გრიზმანი (77. დემიდოვი) - ტამუდო (87. აგირეჩე).

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვეში - მასედო, კ. გარსია, მ. სილვა (81. ხოსე ორტისი), იაკობსენი - მ'ბამი, ბერნარდელო - პიატი, უჩე, კრუსატი (71. გოიტომი) - ულოა.

**გოლები:** 1:0 ანსოტეგი (45), 2:0 ტამუდო (79)

**გაფრთხილება:** ბრავო, ანსოტეგი - იაკობსენი, ბერნარდელო

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 10-21; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 13-22 (5-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 22 000

### ერკულესი-ბარსელონა 0:1

**ერკულესი (4-2-3-1):** კალატაიუდი - კორტესი, სარი, როდრიგესი, პენია - ფრიტცლერი (67. ფარინოსი), აგილარი - კიკო (62. კრისტიანი), ვალდესი (79. პორტილიო), ტოტე - ტრეზეგე.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, აბიდალი, მაქსველი - ჩავი (87. კეიტა), ბუსკეტსი, ინიესტა (89. აფელაი) - პედრო, მესი, ვილია (87. ნოლიტო).

**გოლები:** 0:1 პედრო (43), 0:2 მესი (87), 0:3 მესი (89)

**გაფრთხილება:** აგილარი, პენია, ფარინოსი - დ. ალვეში

**გაძევება:** ფარინოსი (85)

**კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 12-7; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 4-22 (2-8); **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 29 000

### დეპორტივო-სევილია 3:3

**დეპორტივო (5-4-1):** არანსუბია - ლაურე, კოლოტო, აიტამი, ზე კასტრო (80. ვალერონი), მ. პაბლო - ადრიანი, ა. ტომასი (27. ჟუკა), რ. პერესი, მიჩელი (56. ხ. დომინგესი) - ლასადი.

**სევილია (4-4-2):** პალოპი - კასერესი, ალექსისი, ესკუდე, დაბო - ალფარო (52. აკოსტა), ფასიო (76. ზოკორა), რენატო, კაპელი (58. ვარასი) - ლ. ფაბიანო, ნეგრედო.

**გოლები:** 1:0 ლასადი (15), 2:0 ლასადი (62), 2:1 ნეგრედო (63), 2:2 ესკუდე (74), 2:3 ნეგრედო (79), 3:3 ლაურე (88)

**გაფრთხილება:** ჟუკა - დაბო, ვარასი

**გაძევება:** პალოპი (57)

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 14-9; **თამაშგარე:** 9-0; **კარში დარტყმა:** 16-12 (5-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 18 000

### ატლეტიკო-ბილბაო 0:2

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, გოდინი, ფ. ლუიში (68. ხუანფრანი) - რეიესი, ასუნსაო, ტიაგო, ელიასი (46. დომინგესი) - ფორლანი (76. დ. კოშტა), აგუერო.

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ეკიზა, კოიკილი - დ. ლოპესი, გურპეგი (57. ორბაისი), ხ. მარტინესი, მუნიაინი (84. სუსაეტა) - ფ. ლორენტე, ტოკერო (72. იტურასპე).

**გოლები:** 0:1 ტოკერო (46), 0:2 ტოკერო (64)

**შენიშვნა:** ფ. ლორენტემ ვერ გაიტანა პენალტი (40)

**გაფრთხილება:** რეიესი, ასუნსაო, უიფალუში - ხ. მარტინესი

**გაძევება:** პერეა (39)

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 15-15 (7-7); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 30 000

### ოსასუნა-რეალი 1:0

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - დამია, სერხიო, ფლანიო, ნელსონი - პუნიალი, სორიანო (46. ვადოცი) - კორომინასი (92. [illegible]), [illegible] (81. ლოლო), კამუნიასი - არანდა.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ს. რამოსი, ალბიოლი (65. ადებაიორი), რ. კარვალიო, არბელოა - ხედირა, ლ. დიარა (64. ჩ. ალონსო) - დი მარია (65. კაკა), იოზილი, რონალდო - ბენზემა.

**გოლი:** 1:0 კამუნიასი (62)

**გაფრთხილება:** სორიანო, კორომინასი, დამია, არანდა, პუნიალი, რიკარდო, ნელსონი, ვადოცი - ლ. დიარა, ს. რამოსი, ხედირა

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 24-9; **თამაშგარე:** 7-3; **კარში დარტყმა:** 9-21 (3-4); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 19 000

### ესპანიოლი-ვილიარეალი 0:1

**ესპანიოლი (5-4-1):** კამენი - ჩიკა, ამატი, ფორლინი, დ. გარსია, დუშერი (59. ალვარო) - ვერდიუ, ხ. მარკესი (59. გალანი), ლ. გარსია, კალეხონი - ს. გარსია (70. დატოლო).

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - მარიო, გონსალო, მარჩენა, კაპდევილა - კასორლა (89. ორიოლი), ბ. ვალერო, ბრუნო, კანი (72. სისინიო) - მ. რუბენი, როსი (91. მუსაჩიო).

**გოლი:** 0:1 როსი (44)

**გაფრთხილება:** დუშერი, კამენი - როსი, ბ. ვალერო, გასპარი, დ. ლოპესი

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 9-13; **თამაშგარე:** 9-0; **კარში დარტყმა:** 13-16 (5-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 33 000

**რასინგი-ვალენსია** **დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 21 | 19 | 1 | 1 | 67-11 | 58 |
| 2. რეალი | 21 | 16 | 3 | 2 | 48-18 | 51 |
| 3. ვილიარეალი | 21 | 14 | 3 | 4 | 41-21 | 45 |
| 4. ვალენსია | 20 | 12 | 4 | 4 | 33-23 | 40 |
| 5. ესპანიოლი | 21 | 12 | 1 | 8 | 28-27 | 37 |
| 6. ბილბაო | 21 | 11 | 2 | 8 | 34-31 | 35 |
| 7. ატლეტიკო | 21 | 9 | 3 | 9 | 31-26 | 30 |
| 8. სევილია | 21 | 9 | 3 | 9 | 33-35 | 30 |
| 9. სოსიედადი | 21 | 9 | 1 | 11 | 32-33 | 28 |
| 10. ხეტაფე | 21 | 8 | 3 | 10 | 29-34 | 27 |
| 11. მალიორკა | 21 | 8 | 3 | 10 | 23-29 | 27 |
| 12. სპორტინგი | 21 | 5 | 7 | 9 | 22-27 | 22 |
| 13. ერკულესი | 21 | 6 | 4 | 11 | 22-34 | 22 |
| 14. დეპორტივო | 21 | 5 | 7 | 9 | 18-30 | 22 |
| 15. სარაგოსა | 21 | 5 | 7 | 9 | 20-33 | 22 |
| 16. ოსასუნა | 21 | 5 | 6 | 10 | 20-28 | 21 |
| 17. რასინგი | 20 | 5 | 5 | 10 | 15-29 | 20 |
| 18. ლევანტე | 21 | 5 | 3 | 13 | 22-34 | 18 |
| 19. ალმერია | 21 | 3 | 8 | 10 | 20-36 | 17 |
| 20. მალაგა | 21 | 5 | 2 | 14 | 28-47 | 17 |

**ბომბარდირები:** 22 - რონალდო (რეალი); 21 - მესი (ბარსელონა); 14 - ვილია (ბარსელონა); 12 - ფ. ლორენტე (ბილბაო), პედრო (ბარსელონა), როსი (ვილიარეალი); 10 - ნილმარი (ვილიარეალი); 9 - ტრეზეგე (ერკულესი).

## სეგუნდა დივიზიონი

### XXII ტური

**ალკორკონი-ალბასეტე 2:0**
**გოლები:** 1:0 ერნანდესი (61), 2:0 ნაგორე (90)
**გაძევება:** კამაჩო (76. ალბასეტე)

**უელვა-ელჩე 0:0**

**ბარსელონა B-სელტა 1:1**
**გოლები:** 1:0 ორიოლი (8), 1:1 ა. ლოპესი (63)

**კარტახენა-ხერესი 1:2**
**გოლები:** 1:0 ვიქტორი (22), 1:1 ხოსე მარი (30), 1:2 ხოსე მარი (65)
**გაძევება:** ლომბანი (75. ხერესი)

**კორდობა-სალამანკა 2:0**
**გოლები:** 1:0 რიერა (76), 2:0 დიასი (84)

**ხიმნასტიკი-ლას პალმასი 0:0**

**უესკა-პონფერადინა 1:0**
**გოლი:** 1:0 კამაჩო (90)

**ნუმანსია-რაიო ვალეკანო 0:3**
**გოლები:** 0:1 მიჩელი (28), 0:2 მოვილია (45), 0:3 მიჩელი (58)
**გაძევება:** პავონი (90. ნუმანსია)

**ვილიარეალი B-ვალიადოლიდი 2:0**
**გოლები:** 1:0 ნილსენი (30), 2:0 მარკიტოსი (90)
**გაძევება:** კამარერო (65. ვალიადოლიდი)

**გრანადა-ბეტისი 3:0**
**გოლები:** 1:0 გეიხო (51), 2:0 ბენიტესი (59), 3:0 გეიხო (64)

**ტენერიფე-ხირონა 3:3**
**გოლები:** 1:0 სისილია (13), 1:1 დესპოტოვიჩი (31), 1:2 დესპოტოვიჩი (41), 1:3 კიკო (60), 2:3 ნინო (61), 3:3 ნინო (90)
**გაძევება:** არაგონესესი (46. ტენერიფე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეტისი | 22 | 14 | 4 | 4 | 46-21 | 46 |
| 2. ვალეკანო | 22 | 14 | 4 | 4 | 38-21 | 46 |
| 3. სელტა | 22 | 12 | 8 | 2 | 41-20 | 44 |
| 4. ხერესი | 22 | 10 | 5 | 7 | 33-29 | 35 |
| 5. გრანადა | 22 | 9 | 7 | 6 | 39-25 | 34 |
| 6. ვილიარეალი B | 22 | 10 | 4 | 8 | 27-31 | 34 |
| 7. ბარსელონა B | 22 | 8 | 8 | 6 | 34-33 | 32 |
| 8. კარტახენა | 22 | 9 | 5 | 8 | 31-31 | 32 |
| 9. ნუმანსია | 22 | 9 | 3 | 10 | 32-29 | 30 |
| 10. ელჩე | 22 | 6 | 11 | 5 | 18-19 | 29 |
| 11. კორდობა | 22 | 6 | 10 | 6 | 29-28 | 28 |
| 12. უესკა | 22 | 6 | 10 | 6 | 16-20 | 28 |
| 13. ხირონა | 22 | 6 | 9 | 7 | 31-30 | 27 |
| 14. ალკორკონი | 22 | 8 | 3 | 11 | 25-31 | 27 |
| 15. ვალიადოლიდი | 22 | 7 | 5 | 10 | 28-30 | 26 |
| 16. სალამანკა | 22 | 7 | 3 | 12 | 25-32 | 24 |
| 17. ლას პალმასი | 22 | 5 | 9 | 8 | 30-40 | 24 |
| 18. უელვა | 22 | 4 | 11 | 7 | 20-23 | 23 |
| 19. ალბასეტე | 22 | 5 | 8 | 9 | 17-23 | 23 |
| 20. ხიმნასტიკი | 22 | 4 | 9 | 9 | 15-23 | 21 |
| 21. ტენერიფე | 22 | 3 | 9 | 10 | 21-36 | 18 |
| 22. პონფერადინა | 22 | 3 | 9 | 10 | 17-38 | 18 |

**ბომბარდირები:** 14 - რ. კასტრო (ბეტისი), გეიხო (გრანადა); 13 - ქუინი (ალკორკონი), არმენტეროსი (რაიო ვალეკანო); 12 - ხ. გუერა (12)

## საფრანგეთი



ტურის გმირი ტულიო დე მელო

# ლილის ჯოკერი ტულიო

ტურის წინათქმაში ვწერდით, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერ „ლილს" შეტევაში ბევრი ვარიანტი აქვს და თუ მაინც არაფერი გამოსდის, მწვრთნელი **რუდი გარსია** ტანმაღალ ბრაზილიელ ფორვარდ **ტულიო დე მელოს** უშვებს მისი თავურების იმედად. ასე მოხდა ამჯერადაც „ლანსის" წინაამდეგ შეხვედრაში. ლიდერმა ვერაფერი მოუხერხა მოლონიერებულ აუტსაიდერს და როცა თამაშის დასრულებამდე ნახევარ საათზე ოდნავ მეტი რჩებოდა, გარსიამ **ფლორან ბალმონისა** და **მუსა სოუს** ნაცვლად **ლუდოვიკ ობრანიაკი** და ტულიო დე მელო შემოიყვანა. ცვლილებამ გაუმართლა მწვრთნელს, ოღონდ 193 სმ სიმაღლის ბრაზილიელმა, რომელიც დღეს 26 წლის ხდება, ამჯერად ფეხით გაიტანა - **ედენ ჰაზარდმა** მარცხენა ფრთაზე გაინავარდა და საჯარიმოში ობრანიაკი მოძებნა, პოლონეთის ნაკრების ნახევარმცველმაც უმალ დაინახა ტულიო, რომელმაც ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი „ლანსის" კარში. რაც **ლასლო ბოლონი** „ლანსის" მწვრთნელია, ეს ამ გუნდის პირველი მარცხია.

„ლილმა" კი ბრწყინვალედ იხეირა ამ ტურში, შაბათს კონკურენტთაგან მხოლოდ „პარი სენ ჟერმენმა" მოიგო და 4-ქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნა, „ლიონი" და „რენი" კი სენსაციურად დამარცხდნენ.

**რუდი გარსია** (ლილი): *„ვიცოდით, რომ „ლანსი", რომელიც ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, მოედანზე თავს დასდებდა. ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, როცა ჩვენ ბუნებრივ თამაშს ვერ ვაჩვენებთ, გვყავს ტულიო დე მელო. ის და ობრანიაკი ერთმანეთში ფანტასტიკურად არიან შეთამაშებულნი. ეს არ იყო ბრწყინვალე გამარჯვება, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ".*

„პარი სენ ჟერმენმა" უიმედო აუტსაიდერ „არლ-ავინიონს" სტუმრად 2:1 მოუგო. ამ მატჩში დუბლი შეასრულა **მევლუთ ერდინჩმა**. მატჩამდე დედაქალაქელებმა ბენინის ნაკრების გამთამაშებელი **სტეფან სესენიონი** დაკარგეს, რომელიც 7 მილიონ ევროდ „სანდერლენდში" გადავიდა. **ანტუან კამბუარეს** არ ჰყავდა ლიდერები **ოარო**, **კლემანი** და **შანტომი**, თუმცა პსჟ აუტსაიდერს მათ გარეშეც გაუმკლავდა.

**ანტუან კამბუარე** (პსჟ): *„გამარჯვება ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მახარებს რომ ერდინჩმა შეძლო თავის გამოჩენა, რადგან ბოლო დროს ვერ იყო სათანადო ფორმაში. დღეს კი მან ძალიან კარგად ითამაშა გუნდური ფეხბურთი. თამაშის წინ ვარჯიშზე მაკელელე დაშავდა, მაგრამ კლოდმა თავი დადო და მაინც გამოვიდა მინდორზე".*

აი, რა თქვა „ლიონის" მწვრთნელმა **კლოდ პუელმა** „ვალანსიენთან" 1:2 მარცხის შემდეგ: *„შეიძლება, ეს მარცხი ძალიან ძვირადაც დაგვიჯდეს. 0:2-ზე კარგად ვითამაშეთ, მაგრამ დრო არ გვეყო. ვფიქრობ, მაინც ვიმსახურებდით ქულას".*

### მომდევნო ტური

5 თებერვალი: ბრესტი-ნანსი, კაენი-ლორიანი, ლანსი-ვალანსიენი, მარსელი-არლი, მონპელიე-სენტ ეტიენი, ნიცა-სოშო, რენი-პსჟ; 6 თებერვალი: ოსერი-ლილი, ტულუზი-მონაკო, ლიონი-ბორდო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ლიგა 1. XXI ტური

**არლი-პსჟ 1:2**

**პსჟ (4-4-2):** ედელი - ჟალე, არმანი, სახო, ტიენე - ჟიული (80. მაკონდა), მაკელელე (57. ზ. კამანა), ბოდმერი, ნენე - ლუინდულა, ერდინჩი (68. მორისი).

**გოლები:** 0:1 ერდინჩი (18), 0:2 ერდინჩი (49), 1:2 ნდიაიე (58)

**კაენი-ოსერი 2:0**

**გოლები:** 1:0 ნივე (59), 2:0 კ. ტრაორე (88)

**ლორიანი-ბრესტი 2:0**

**გოლები:** 1:0 გამეირო (62), 2:0 გამეირო (70)

**სოშო-რენი 5:1**

**გოლები:** 1:0 მაიგა (19), 2:0 მარტინი (43), 3:0 იდეიე (52), 3:1 ბუკარი (54), 4:1 ბუდებუზი (73-პენ), 5:1 მაიგა (85)

**გაძევება:** დუშეზი (71. რენი)

**სენტ ეტიენი-ტულუზი 2:1**

**გოლები:** 1:0 საკო (18), 2:0 საკო (32), 2:1 ტაბანუ (51)

**ვალანსიენი-ლიონი 2:1**

**ლიონი (4-1-2-3):** ლორისი - რევეიერი, კრისი, დიახატე, სისოხო (79. ბრიანი) - ტულალანი - გურკუფი (59. ლ. ლოპესი), კალსტრიომი - პიე (86. დელგადო), გომისი, ბაშტოში.

**გოლები:** 1:0 ბიზევაცი (51-პენ), 2:0 პუჟოლი (58), 2:1 ბაშტოში (70)

**ლილი-ლანსი 1:0**

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - დებიუში, რამი, ჩედჯუ, ბერია - ბალმონი (58. ობრანიაკი), მავუბა, კაბაიე - ჟერვინიო, სოუ (58. დე მელო), ჰაზარდი.

**გოლი:** 1:0 დე მელო (68)

**ნანსი-მონპელიე 1:2**

**გოლები:** 1:0 ჰაჯი (2), 1:1 ს. კამარა (7), 1:2 ბოკალი (58)

**ბორდო-ნიცა 2:0**

**გოლები:** 1:0 სანე (38), 2:0 მოდესტე (57)

**მონაკო-მარსელი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 21 | 11 | 8 | 2 | 39:21 | 41 |
| 2. პსჟ | 21 | 10 | 7 | 4 | 34:23 | 37 |
| 3. ლიონი | 21 | 9 | 7 | 5 | 30:23 | 34 |
| 4. რენი | 21 | 9 | 7 | 5 | 23:17 | 34 |
| 5. მარსელი | 21 | 8 | 9 | 4 | 29:18 | 33 |
| 6. მონპელიე | 21 | 9 | 6 | 6 | 19:21 | 33 |
| 7. სტ. ეტიენი | 21 | 8 | 8 | 5 | 29:23 | 32 |
| 8. ბორდო | 21 | 7 | 9 | 5 | 27:23 | 30 |
| 9. ტულუზი | 21 | 9 | 3 | 9 | 23:22 | 30 |
| 10. სოშო | 21 | 8 | 4 | 9 | 35:26 | 28 |
| 11. ბრესტი | 21 | 7 | 7 | 7 | 21:20 | 28 |
| 12. ლორიანი | 21 | 8 | 4 | 9 | 24:27 | 28 |
| 13. ვალანსიენი | 21 | 6 | 7 | 8 | 24:24 | 25 |
| 14. ნანსი | 21 | 7 | 4 | 10 | 22:32 | 25 |
| 15. ოსერი | 21 | 4 | 12 | 5 | 26:25 | 24 |
| 16. კაენი | 21 | 6 | 6 | 9 | 22:29 | 24 |
| 17. ნიცა | 21 | 5 | 8 | 8 | 14:22 | 23 |
| 18. ლანსი | 21 | 5 | 7 | 9 | 21:34 | 22 |
| 19. მონაკო | 21 | 3 | 12 | 6 | 20:21 | 21 |
| 20. არლი | 21 | 1 | 5 | 15 | 11:42 | 8 |

**ბომბარდირები:** 15 - სოუ (ლილი); 13 - ნენე (პსჟ); 11 - ელ-არაბი (კაენი); 10 - ჟერვინიო (ლილი), გამეირო (ლორიანი).

## ლიგა 2. XXI ტური

**ლე მანი-აიაჩო 3:0**

**გოლები:** 1:0 ბაალი (27), 2:0 პოტე (29), 3:0 ჰელსტადი (75)

**ანჟერი-გრენობლი 2:2**

**გოლები:** 0:1 მანდრიჩი (45-პენ), 1:1 საივე (53), 1:2 ჟუანი (85), 2:2 არნო (88)

**გაძევება:** მალიჩკი (43)

**კლერმონი-ტური 3:1**

**გოლები:** 1:0 მულეკი (36), 2:0 პრივატი (50), 3:0 ალესანდრინი (76), 3:1 აბრაამი (90)

**ევიანი-ნანტი 3:0**

**გოლები:** 1:0 ფარინა (20), 2:0 ადნანი (43-პენ), 3:0 გუსე (86)

**გაძევება:** ვაინქერი (61. ნანტი)

**ისტრი-რეიმსი 2:0**

**გოლები:** 1:0 ფეტუპი (59), 2:0 აკრური (84)

**გაძევება:** კრიხოვიაკი (76. რეიმსი)

**ლავალი-ვანი 1:0**

**გოლი:** 1:0 ჟიმბერტი (83)

**ნიმი-ბულონი 0:1**

**გოლი:** 0:1 პაიო (28)

**სედანი-დიჟონი 0:0**

**ტრუა-მეცი 2:1**

**გოლები:** 0:1 ნდიაიე (17), 1:1 მარკინიოსი (66-პენ), 2:1 პსაუმე (82)

**ლე ავრი-შატორუ** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ევიანი | 21 | 9 | 9 | 3 | 36-22 | 36 |
| 2. ლე მანი | 21 | 10 | 5 | 6 | 26-21 | 35 |
| 3. სედანი | 21 | 8 | 10 | 3 | 35-19 | 34 |
| 4. აიაჩო | 21 | 8 | 7 | 6 | 22-24 | 31 |
| 5. ტრუა | 21 | 8 | 6 | 7 | 19-17 | 30 |
| 6. ტური | 21 | 8 | 6 | 7 | 30-29 | 30 |
| 7. ლე ავრი | 20 | 7 | 8 | 5 | 20-16 | 29 |
| 8. კლერმონი | 21 | 7 | 8 | 6 | 31-30 | 29 |
| 9. ნანტი | 21 | 7 | 8 | 6 | 19-18 | 29 |
| 10. ბულონი | 21 | 6 | 11 | 4 | 16-15 | 29 |
| 11. დიჟონი | 21 | 7 | 7 | 7 | 29-25 | 28 |
| 12. ისტრი | 21 | 6 | 10 | 5 | 20-21 | 28 |
| 13. ნიმი | 21 | 7 | 6 | 8 | 19-18 | 27 |
| 14. შატორუ | 20 | 7 | 6 | 7 | 21-24 | 27 |
| 15. ლავალი | 21 | 6 | 8 | 7 | 15-19 | 26 |
| 16. ანჟერი | 21 | 5 | 9 | 7 | 20-23 | 24 |
| 17. რეიმსი | 21 | 5 | 7 | 9 | 24-28 | 22 |
| 18. ვანი | 21 | 5 | 6 | 10 | 16-32 | 21 |
| 19. მეცი | 21 | 4 | 8 | 9 | 17-19 | 20 |
| 20. გრენობლი | 21 | 4 | 5 | 12 | 20-35 | 17 |

**ბომბარდირები:** 12 - პრივატი (კლერმონი); 11 - ჰელსტადი (ლე მანი), გიე (ტური); 9 - რიბასი (დიჟონი), მარკოსი (ტრუა).

## აზიის თასი

# ძაკერონიმ იაპონია გაახარა

### ფინალი

**იაპონია-ავსტრალია 1:0 დ.დ.**

**იაპონია:** კავაშიმა – კონო, ნაგატომო, უჩიდა (120. ინოჰა), იოშიდა – ენდო, ფუჯიმოტო (56. ივამასა), ჰასებე, ჰონდა – ოკაზაკი, მაედა (98. ლი)

**ავსტრალია:** შვარცერი - ნილი, კერნი, ოგნენოვსკი, უილკშირი – ჰოლმანი (65. ემერტონი), ჟედინაკი, ვალერი, მაკკაი, კიუელი (103. კრუზე) – კეჰილი (109. კილკენი).

**გოლი:** 1:0 ლი (109)

### მატჩი მესამე ადგილისთვის

**ს. კორეა-უზბეკეთი 3:2**

**გოლები:** 1:0 ი. კო (18), 2:0 დ. ჯი (28), 3:0 დ. ჯი (39), 3:1 გეინრიხი (43. პენ.), 3:2 გეინრიხი (53)

მოედანზე რამდენიმე წუთის შესულმა **ტანადარი ლიმ** მეორე დამატებით ტაიმში ძლიერი დარტყმით ავსტრალიელთა მეკარეს შანსი არ დაუტოვა და იაპონიის ნაკრები მეოთხედ დაეუფლა აზიის თასს. ფინალი თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა და ტიტულს ავსტრალიაც არანაკლებ იმსახურებდა, მაგრამ ორი ძლიერი გუნდის ჭიდილში იმან იმარჯვა, ვინც საკუთარი შანსი გამოიყენა.

საგოლე შესაძლებლობები კი ორივე გუნდს მრავლად ჰქონდა. **ტიმ კეჰილს** მეკარემ აუღო, ჰარი კიუელმა კი ოდნავ არაზუსტად დაარტყა. **ჰოლგერ ოსიეკის** გუნდმა დაწინაურების ყველაზე რეალური შანსი ხელიდან მეორე ტაიმის დასაწყისში გაუშვა, როცა იაპონელთა მეკარე **ეიჯი კავაშიმას** უხეში შეცდომის შემდეგ მისი გუნდი ძელმა იხსნა. არანაკლებ დასანანი იყო ის მომენტები, როცა **ჰარი კიუელი** ორჯერ გავიდა მეტოქის მეკარესთან პირისპირ, მაგრამ მას ერთხელაც ვერ აჯობა. რაც შეეხება ამომავალ მზის ქვეყნელთა საგოლე მცდელობებს, უნდა გამოვყოთ შეხვედრის დებიუტში **კეისუკე ჰონდას** მიერ შესრულებული დარტყმა და **მარკ შვარცერის** მიერ მოგერიებული ბურთი, ხოლო **შინჯი ოკაზაკიმ** მცირედით ააცილა.



ყატარულ პუბლიკას არც დამატებით დროში მოუწყენია. თავიდან ავსტრალია სჯობდა და **ბრეტ ემერტონმა** მეკარეს ვერ აჯობა, სამაგიეროდ, ნახევარფინალში დამტვრეული **შინჯი კაგავას** გარეშე მოთამაშე იაპონელებს შანსი ხელიდან არ გაუშვიათ.

ალბერტო ძაკერონი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო. *"ეს ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი დღეა, ჩემი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ბევრი გამარჯვებისთვის მიმიღწევია, მაგრამ აზიის ჩემპიონობა განსაკუთრებული რამაა. წინ დიდი გზა გველის, იაპონიის ნაკრებთან ერთად უფრო დიდი წარმატებების მიღწევასაც ვაპირებ"*, - განაცხადა იაპონელთა იტალიელმა დამრიგებელმა.

იაპონელებმა აზიის თასი იორდანიასთან ფრით დაიწყეს, შემდეგ კი ჯგუფში სირიასა და საუდის არაბეთს სძლიეს. მეოთხედფინალში ძაკერონის გუნდმა მასპინძელი ყატარის, ხოლო ნახევარფინალში სამხრეთ კორეის ბარიერი დასძლია. აქამდე იაპონიის ნაკრებმა აზიაში 1992, 2000 და 2004 წლებში იჩემპიონა.

ნახევარფინალისგან განსხვავებით, უზბეკეთის ნაკრები მესამე ადგილისთვის მატჩში არ შერცხვენილა და სამბურთიანი ჩამორჩენის შემდეგ ცოტაღა დააკლდა მატჩის ოვერტაიმში გადაყვანამდე. თუმცა სამხრეთკორეელთა უფრო მაღალმა კლასმა თავისი ქნა და ბრინჯაოს მედლებს უფრო ღირსეული დაეუფლა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად იაპონიის ნაკრებისა და მოსკოვის ცსკა-ს 24 წლის ნახევარმცველი კეისუკე ჰონდა დაასახელეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ტაბლოიდების კვლადაკვალ

# სინდისი სინდისია?

გასულ კვირაში, ინგლისში აგორებული სექსიზმის ამბავი მთელს მსოფლიოს მოედო. შეგახსენებთ, რომ მან SKY Sport-ის ორი ცნობილი წამყვანის, **ენდი გრეისა** და **რიჩარდ კეისის** სამსახური შეიწირა, შემდეგ კი ათასი კუდი და გაგრძელება მოჰყვა. სკანდალი ასე დაიწყო: ტელეჟურნალისტთა წყვილს ეგონა, რომ მიკროფონები გამორთული იყო და ქალ თანამსაჯზე **სიან მესიზე** ლაპარაკისას წამოროშა, ოფსაიდის წესი, ისევე როგორც ზოგადად ქალებს, კარგად მასაც არ ესმისო. ეს სიტყვები გრეისა და კეისს ქალების უფლებების შელახვად ჩაუთვალეს, რასაც საკუთრივ ტელეკომპანიის მხრიდან საკმაოდ თავისებური ქცევა მოჰყვა - თუკი ამ ორ კაცს ეთერს მიღმა (თუმცა, ჩართული კამერების წინ) რაიმე უთქვამს ან უღლაბუცია, ყველაფერი საჯარო გახადა. ამიტომაც იყო, მთელი ოთხი დღე რომ ელოდნენ დაზაფრულ გრეის ყვითელი გაზეთების ჟურნალისტები მისი სახლის გარეთ. ყოფილი ტელევარსკვლავი, რომელსაც წელიწადში 1,7 მილიონ ფუნტს უხდიდნენ, მხოლოდ მეხუთე დღეს გამოვიდა შინიდან, მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად თავის „აუდი Q7"-ში ჩაჯდა და ისე, რომ ხმა არავის გასცა, სადღაც გაემგზავრა.

„სანი" წერს, რომ გრეი გაუპარსავი იყო და დაღლილი ჩანდა. *„სულ რაღაც ერთი კვირის წინ ის დიდი შემოსავლის მქონე ვარსკვლავი იყო, ახლა კი უმუშევარია, რომელიც არავის უყვარს"* - თქვა მავანმა მეზობელმა თუ გამვლელმა, რომელმაც შინიდან გამოსულ ჟურნალისტს თვალი მოჰკრა. 55 წლის ყოფილი ფეხბურთელის ახლო მეგობარმა ასე მოყვა:

*„ამ დღეებში ენდი საწოლიდან არ დგებოდა და საჭმელიც, თითქმის, არ უჭამია. მას კიდევ არ სჯერა, რომ დაკარგა საქმე, რომელსაც მთელი 20 წლის განმავლობაში დიდი სიყვარულით ემსახურა".*

გრეის მდგომარეობა ოჯახის სხვა ახლობელმაც აღწერა: *„ის საშინლად დათრგუნა მოპყრობამ, რომელსაც ბოლო დღეებში წააწყდა. მას მომავალზე არასდროს უფიქრია, ყველაფერი საათივით ჰქონდა აწყობილი".*

ამბობენ, რომ ენდი გრეი SKY Sport-ის წინააღმდეგ ჩივილს აპირებს. მას მიაჩნია, რომ სამსახურიდან უსამართლოდ გააგდეს და კომპენსაციის სახით 3 მილიონი ფუნტის მოთხოვნას აპირებს. საამისოდ „ევერტონისა" და შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ადვოკატებს ხვდება.

სად გადის სამართლიანობის ზღვარი? ამ საინტერესო კითხვაზე საპასუხოდ შეგვიძლია კიდევ ერთი მაგალითი მოვიტანოთ. ამჯერად რიჩარდ კეისის შემთხვევა განვიხილოთ, უფრო სწორად კი მოვყვეთ, ხოლო განხილვა „ლელოს" მკითხველისთვის მიგვინდია. საქმე „ლივერპულის" ყოფილი ფეხბურთელის **ჯეიმი რედნაპის** ოდინდელ მეგობარ გოგონას, **ლუის გლესს** ეხება. დღეს, რედნაპი, მოგეხსენებათ, ჟურნალისტია და SKY Sport-ში გამოდის. ეს ამბავიც, გადაცემის დაწყების წინ, ამ ტელეკომპანიის სტუდიაში მოხდა, სადაც ოთხი კაცი იჯდა, მათ შორის კეისი და რედნაპი. ლაზღანდარობისას სიტყვამ ლუის გლესი მოიტანა და კეისმა რედნაპს ჟარგონზე ჰკითხა, მასთან სექსი ხომ გქონდაო. ვიმეორებთ, ჟურნალისტები გადაცემის დაწყებამდე დროს კლავდნენ. კეისმა მაგიდაზე ფეხებიც კი შემოაწყო. ეს კადრი (კამერა ჩართული იყო) საჯაროდ რომ არ ეჩვენებინათ, პრობლემა არ შეიქმნებოდა, მაგრამ კეისის ცუდი ბიჭობის დასამტკიცებლად აჩვენეს და... რასაკვირველია, ქალი შეურაცხჰყვეს. დღეს ის „კერლისლ იუნაიტედის" ოდინდელი მეკარის **ჯიმი გლესის** მეუღლე და ორი შვილის დედაა, სოფელ დორსეტში ცხოვრობს. რედნაპს „ბურნმუთში" თამაშის წლებში (1989-1991) ხვდებოდა. 38 წლის ქალბატონი, ვექილებს დაეძებს, რათა რიჩარდ კეისს უჩივლოს.

როგორც ჩანს, ერთადერთი ადამიანი, რომელმაც კეისს გაუგო, მისი მეუღლე **ჯულია კეისია**, რომელიც მასთან სტუმრად მისულ „ყვითელ ჟურნალისტებს" ჩაით გაუმასპინძლდა და უთხრა, რომ მის ქმარს SKY Sport-ის ხელმძღვანელობა უსინდისოდ მოექცა.

*„იმისათვის, რომ ეს ტელეკომპანია მსოფლიო რუკას კარგად დამჩნეოდა ჩემმა ქმარმა და ენდი გრეიმ ბევრი იშრომეს. შესაძლოა ვინმეს ისინი პიროვნულად არ მოსწონდეს, მაგრამ პროფესიონალიზმს ნამდვილად ვერავინ დაუწუნებს. ის რაც ეთერში აჩვენეს, ბიჭების ლაზღანდარობა იყო და მეტი არაფერი".*

**ილია ბაბუნაშვილი**

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### ჩემპიონშიპი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| მილუოლი-ბარნსლი | 2:0 |
| კრ. პალასი-ნორვიჩი | 0:0 |
| ჰალი-ქუინზ პარკი | 0:0 |
| სკანთორპი-პრესტონი | გადაიდო |

### I ლიგა

XXIX ტური

| | |
|---|---|
| კოლჩესტერი-პიტერბორო | 2:1 |
| ბრენტფორდი-იეოვილი | 1:2 |
| კარლაილი-ოლდემი | 2:2 |
| პლიმუტი-ბორნმუთი | 1:2 |
| სუინდონი-ექსეტერი | 0:0 |
| უოლსოლი-როვერსი | 6:1 |
| როჩდეილი-ნოტსი | გადაიდო |

### II ლიგა

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ბერი-შრიუსბერი | 1:0 |
| ბარნეტი-საუთენდი | 0:2 |
| ჩესტერფილდი-ბრედფორდი | 2:2 |
| ჯილინგემი-ალდერშოტი | 2:1 |
| ლინკოლნი-პორტ ვეილი | 1:0 |
| ოქსფორდი-ჩელტენემი | 1:1 |
| როტერემი-სტოკპორტი | 4:0 |
| ქრიუ-აკრინგტონი | გადაიდო |
| მორეკამბი-მაკლსფილდი | გადაიდო |

### კონფერენსი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| გეიტშიდი-უიმბლდონი | 0:2 |
| ბეტი-კემბრიჯი | 4:0 |
| ისტბურნი-გრიმსბი | 2:3 |
| ფლიტვუდი-ფორესტ გრინი | 2:0 |
| ჰეიესი-კიდერმინსტერი | 0:4 |
| ჰისტონი-ნიუპორტი | 0:0 |
| მენსფილდი-რექსემი | 2:3 |
| რაშდენი-ტამუორტი | 1:1 |
| საუთპორტი-იორკი | 4:0 |
| ბაროუ-ალტრინჩემი | გადაიდო |
| დარლინგტონი-კეტერინგი | გადაიდო |

## ინგლისის თასი

### 1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| ევერტონი-ჩელსი | 1:1 |
| სუონსი-ლეიტონი | 1:2 |
| ასტონ ვილა-ბლექბერნი | 3:1 |
| ბირმინგემი-ქოვენთრი | 3:2 |
| ბოლტონი-უიგანი | 0:0 |
| ბარნლი-ბარტონი | 3:1 |
| უენსდი-ჰერეფორდი | 4:1 |
| სტივენიჯი-რიდინგი | 1:2 |
| ტორკი-ქროული | 0:1 |
| უოტფორდი-ბრაიტონი | 0:1 |
| საუთჰემპტონი-მანჩესტერ იუნ | 1:2 |
| არსენალი-ჰადერსფილდი | 2:1 |
| ვულვზი-სტოკი | 0:1 |
| ნოტსი-მანჩესტერ სიტი | 1:1 |
| ვესტ ჰემი-ნოტინგემი | 3:2 |
| ფულჰემი-ტოტენჰემი | 4:0 |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ტელსტარი-ვოლენდამი | 1:0 |

## ბელგია

### II დივიზიონი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ბორინაჟი-ტუბიკე | 1:2 |
| ოსტენდე-მონსი | 1:1 |
| ანტვერპენი-ტურნე | 3:2 |
| ბრიუსელი-ვიზე | 1:2 |
| დენდერი-ტურნჰაუტი | 2:3 |
| ლომელი-რუზელარე | 0:0 |
| სტანდარდი (ვ)-ჰევერლე | 1:3 |
| ტინენი-ვაასლანდი | 0:0 |
| ჰაისტი-რუპელი | 1:0 |

## პორტუგალია

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ესტორილი-სპორტინგი | 2:1 |
| პენაფიელი-ნავალი | 0:1 |
| ბეირა მარი-ნასიონალი | 1:2 |
| ჟილ ვისენტე-პორტუ | 2:2 |
| აროუკა-ბრაგა | 0:4 |
| ფერეირა-გიმარაეში | 2:1 |
| ავეში-ბენფიკა | 0:4 |
| ოლიანენსე-მარიტიმუ | 0:1 |

## კვიპროსი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ერმისი-ანორთოსისი | 2:1 შეწყდა |
| აპოპ-აეკ | 0:0 |
| ენოსისი-დოქსა | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი-ომონია | 0:2 |
| აელ-აეპ | 1:0 |
| აპოელ-აპოლონი | 2:1 |
| ალკი-ეთნიკოსი | დღეს |

## ისრაელი

XX ტური

| | |
|---|---|
| ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (აშ) | 2:0 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-მაკაბი (თ-ა) | 0:1 |
| აშდოდი-მაკაბი (ფ-თ) | 1:3 |
| ბნეი სახნინი-ჰაპოელი (ბ-შ) | 1:1 |
| ჰაპოელი (ჰ)-ჰაპოელი (აქ) | 1:1 |
| ჰაპოელი (რ-გ)-ირონი | 0:3 |
| ჰაპოელი (თ-ა)-მაკაბი (ნ) | 2:1 |
| ბეითარი-მაკაბი (ჰ) | 0:0 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XXII ტური

| | |
|---|---|
| მორტონი-როსი | 2:1 |
| პარტიკი-დანფერმლაინი | 2:0 |
| რეითი-ფალკირკი | 1:2 |
| ქოუდენბითი-დანდი | გადაიდო |
| სტირლინგი-ქუინი | გადაიდო |

### II დივიზიონი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ეირი-სტენჰაუზმუირი | 4:3 |
| დამბარტონი-ბრეჩინი | 1:2 |
| ლივინგსტონი-ისტ ფაიფი | 4:3 |
| პიტერჰედი-ალოა | 4:1 |
| ფორფარი-ეირდრი | გადაიდო |

### III დივიზიონი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ალბიონი-ელჯინი | 2:0 |
| ისტ სტირლინგი-ბერვიკი | 1:0 |
| მონროუზი-კლაიდი | 3:1 |
| სტრანრარი-არბროა | 3:4 |
| ანანი-ქუინზ პარკი | გადაიდო |

## შოტლანდია

### ლიგის თასი. 1/2 ფინალი

| | |
|---|---|
| აბერდინი-სელტიკი | 1:4 |
| რეინჯერსი-მოზერველი | 2:1 |

## ფინეთი

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| იარო-ოულუ | 4:0 |

## საბერძნეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ირაკლისი-კერკირა | 0:0 |
| პანათინაიკოსი-ერგოტელისი | 2:0 |
| ქსანთი-აეკ | 0:2 |
| ატრომიტოსი-ასტერასი | 0:0 |
| პანიონიოსი-კავალა | 1:1 |
| ლარისა-პანსერაიკოსი | 2:1 |
| ოლიმპიაკოსი (ვ)-ოლიმპიაკოსი (პ) | 0:1 |
| არისი-პაოკ | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკ (პ) | 20 | 17 | 0 | 3 | 39-9 | 51 |
| 2. პანათინაიკოს | 20 | 13 | 5 | 2 | 33-14 | 44 |
| 3. პაოკ | 20 | 10 | 4 | 6 | 23-18 | 34 |
| 4. აეკ | 20 | 10 | 3 | 7 | 31-21 | 33 |
| 5. კავალა | 20 | 7 | 7 | 6 | 22-19 | 28 |
| 6. ატრომიტოსი | 20 | 6 | 8 | 6 | 22-21 | 26 |
| 7. ოლიმპიაკ (ვ) | 20 | 5 | 10 | 5 | 20-19 | 25 |
| 8. არისი | 20 | 7 | 4 | 9 | 11-16 | 25 |
| 9. ერგოტელისი | 20 | 7 | 4 | 9 | 17-24 | 25 |
| 10. ქსანთი | 20 | 6 | 6 | 8 | 18-23 | 24 |
| 11. კერკირა | 20 | 6 | 6 | 8 | 17-24 | 24 |
| 12. ირაკლისი | 20 | 5 | 8 | 7 | 15-20 | 23 |
| 13. პანიონიოსი | 20 | 5 | 6 | 9 | 13-22 | 21 |
| 14. ასტერასი | 20 | 4 | 8 | 8 | 13-19 | 20 |
| 15. ლარისა | 20 | 4 | 5 | 11 | 14-25 | 17 |
| 16. პანსერაიკოსი | 20 | 4 | 4 | 12 | 17-31 | 16 |

### II დივიზიონი

XX ტური

ტრიკალა-ტრასივულოსი 1:0; აგროტიკოსი-პიერიკოსი 2:0; დიაგორასი-დოქსა 1:0; ეთნიკოსი (პ)-ვერია 2:1; ილუპოლი-იანინა 1:1; იონიკოსი-ეთნიკოსი (ა) 0:0; პანთრაკიკოსი-ანაგენისი 2:0; ლევადია-პანაიტოლიკოსი დღეს; კალითეა-ოფი დღეს.

## თურქეთი

### II დივიზიონი

XIX ტური

| | |
|---|---|
| დენიზლი-ბბ გაზიანთეპი | 0:1 |
| ქარსიაქა-რიზე | 1:0 |
| დიარბაქირი-ახისარი | 0:2 |
| ერჩიესი-გიუნგორენი | 0:2 |
| გირესუნი-ორდუ | 0:2 |
| თავშანლი-მერსინი | 0:0 |
| სამსუნი-ალთაი | 1:0 |
| ადანა-ქართალი | დღეს |

## ჩილე

I ტური

| | |
|---|---|
| დეპ. იკიკე-უნ. კატოლიკა | 0:2 |
| აუდაქსი-პალესტინო | 1:3 |
| უაჩიპატო-უნ. კონსეპსიონი | 1:0 |
| ლა სერენა-უნ. დე ჩილე | 1:1 |
| ატ. ნუბლენსე-უონდერერსი | 2:0 |
| კოლო კოლო-კობრესალი | 2:2 |
| ს. მორნინგი-ლა კალერა | 1:1 |
| სან ფელიპე-ო'ჰიგინსი | 3:1 |
| უ. ესპანიოლა-კობრელ | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

I ტური

| | |
|---|---|
| დეპ. კიტო-მანტა | 2:1 |
| ინდეპენდიენტე-დეპ. კუენკა | 1:2 |
| ლიგა დე ლოხა-ელ ნასიონალი | 2:1 |
| ესპოლი-ემელეკი | 1:2 |
| ოლმედო-ლდუ კიტო | 1:0 |
| ბარსელონა-იმბაბურა | გვ. დასრულდა |

## პარაგვაი

I ტური

| | |
|---|---|
| ლიბერტადი-ხენერალი | 2:0 |
| ნასიონალი-ოლიმპია | 1:2 |
| 3 დე ფებრერო-ინდეპენდიენტე | 3:2 |
| რუბიო ნუ-სოლ დე ამერიკა | 1:0 |
| ტაკუარი-ლუკენო | 3:2 |
| გუარანი-ს. პორტენიო | გვ. დასრულდა |

## უელსი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ნიუთაუნი-ეირბასი | 2:3 |
| ნითი-ებერისტვიტი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბანგორი | 22 | 18 | 2 | 2 | 63-25 | 56 |
| 2. ტნს | 20 | 14 | 4 | 2 | 64-22 | 46 |
| 3. ნითი | 21 | 12 | 6 | 3 | 48-22 | 42 |
| 4. ლანელი | 19 | 9 | 5 | 5 | 29-23 | 32 |
| 5. პრესტატინი | 21 | 8 | 6 | 7 | 33-27 | 30 |
| 6. პ. ტელბოტი | 21 | 7 | 6 | 8 | 27-34 | 27 |
| 7. ებერისტვითი | 21 | 6 | 7 | 8 | 26-40 | 25 |
| 8. ეირბასი | 21 | 6 | 6 | 9 | 34-39 | 24 |
| 9. კარმარტენი | 21 | 6 | 4 | 11 | 29-48 | 22 |
| 10. ბალა | 21 | 4 | 2 | 15 | 23-41 | 14 |
| 11. ნიუთაუნი | 21 | 2 | 8 | 11 | 18-42 | 14 |
| 12. ჰავერფორდვ | 21 | 4 | 2 | 15 | 19-50 | 14 |

## უელსის თასი

### 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| უეიკ-ბალა | 4:1 |
| კარმარტენი-კონეასი | 2:3 დ.დ. |
| კარდიფი-ბრიჯენდი | 1:0 |

## ჩრ. ირლანდია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| კრუზეიდერსი-დონეგალი | 2:1 |
| დუნგანონი-კოლრეინი | 1:0 |
| ლინფილდი-ბალიმენა | 0:0 |
| ლისბურნი-გლენტორანი | 0:2 |
| პორტადაუნი-ნიური | 2:1 |
| გლენავონი-კლიფტონვილი | დღეს |

## ბრაზილია

### პაულისტა

V ტური

| | |
|---|---|
| სანტო ანდრე-იტუანო | 1:1 |
| ნოროესტე-ამერიკანა | 1:5 |
| ოესტე-მირასოლი | 0:1 |
| პონტე პრეტა-სან კაეტანო | 0:0 |
| პორტუგეზა-პალმეირასი | 0:2 |
| სანტოსი-სან პაულუ | 2:0 |

## ვენესუელა

III ტური

| | |
|---|---|
| კარონი-ატლეტიკო | 0:0 |
| ესტუდიანტესი-კარაკასი | 1:2 |
| არაგუა-ელ ვიხია | 1:0 |
| რეალ ესპორი-დეპ. ლარა | 0:0 |
| სულია-მონაგასი | 1:1 |
| იარაკუიანოსი-კარაბობო | 1:1 |
| დეპ. პეტარე-სამორა | გადაიდო |
| ანსოატეგი-მინეროსი | გვ. დასრულდა |
| დ. ტაჩირა-ტრუხილანოს | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

IV ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-გვადალახარა | 1:0 |
| ხაგუარესი-ს. ლაგუნა | 1:2 |
| კერეტარო-ნეკაქსა | 1:0 |
| პაჩუკა-კრუს ასული | 0:4 |
| ტიგრესი-ტოლუკა | 0:1 |
| ატლასი-ამერიკა | 0:2 |
| ატლანტე-პუებლა | 2:0 |
| მორელია-სან ლუისი | 3:3 |
| პუმასი-მონტერეი | 3:2 |

## ავსტრალია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ბრისბენი-მელბურნ ჰ | 2:1 |
| ადელაიდა-სენტრალ კოუსტი | 1:2 |
| პერტი-სიდნეი | 0:2 |
| ველინგტონი-ნიუკასლი | 1:0 |
| მელბურნი ვ-გოლდ კოუსტი | 2:0 |

## აზიის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| იაპონია-ავსტრალია | 1:0 დ.დ. |

## ამხანაგური მაჩები

| | |
|---|---|
| კალმარი-ატვიდაბერგი | 2:2 |
| კიელსასი-ფოლო | 0:2 |
| კონგსვინგერი-დეგერფორსი | 2:4 |
| ბრინი-ჰაუგესუნდი | 1:3 |
| ესბერგი-ლუნგბიუ | 4:0 |
| ბორუსი-ასკერი | 2:5 |
| დინამო (მ)-რიდი | 0:0 |
| ზალცბურგი-ბუდეიოვიცე | 3:1 |
| ბაზელი-ივერდონი | 6:0 |
| ნოიშტადტი-უნივერსიტატეა (კლ) | 2:1 |
| სიონი-ნიონე | 2:1 |
| მალმიო-სპარტაკი | 1:2 |
| სტაბეკი-ერებრუ | 4:2 |
| შახტარი-პლზენი | 2:1 |
| ლუგანო-ლუცერნი | 0:1 |
| ლუქსემბურგი-ტერეკი | 0:1 |
| მოსტი-კლადნო | 2:0 |
| ტეპლიცე-ბოჰემიანსი | 3:1 |
| სილკებორგი-ჰიორინგი | 4:2 |
| კიოლდინგი-ვეილე | 1:2 |
| ბელინცონა-ციურიხი | 1:1 |
| ბრაშოვი-მატერსბურგი | 2:0 |
| სიონი-სერვეტი | 2:2 |
| სტ. გალენი-ტიროლი | 1:0 |
| უნივერსიტეტი-ლონგფორდი | 2:0 |
| ვოლერენგა-ვისლა | 4:0 |

### Under 17

| | |
|---|---|
| ლიტვა-მოლდოვა | 2:1 |
| ბელარუსი-უკრაინა | 1:6 |
| ფინეთი-რუსეთი | 2:4 |
| ბელგია-სერბეთი | 3:1 |

# ქართული სპორტი

## ფარიკაობა



### სეზონი ბრინჯაოთი დაიწყო

ქართველი ხმლით მოფარიკავე **მიხეილ მარდალეიშვილი** დიდ ბრიტანეთში კადეტთა ევროპის თასის ღია გათამაშების პირველ ეტაპზე ცდიდა ძალებს. შეჯიბრებაში ბებერი კონტინენტისა და ამერიკის 100-ზე მეტი მუშკეტერი მონაწილეობდა. ჩვენებურმა მხოლოდ ნახევარფინალური ორთაბრძოლა დათმო და საბოლოოდ მე-3 ადგილზე გავიდა.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

## ჭადრაკი

### ლიდერებს კვალში მისდევენ

გიბრალტარში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც სამი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობს. მე-4 ტურში **გიორგი ყაჭეიშვილმა დავით ქუმინგზი** დაამარცხა, **სალომე მელია ალექსანდრ ონიშჩუკს** დაუზავდა, **ნანა ძაგნიძემ** კი შავი ფიგურებით ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან — გერმანელ **დანიელ ფრიდმანთან** წააგო, სამაგიეროდ, მე-5 ტურში ჯავრი მის თანამემამულე საერთაშორისო ოსტატ **დიტმარ კოლბუსზე** იყარა. გათამაშების ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა გიორგი ყაჭეიშვილმა, რომელმაც **ანა ზატონსკიხი** აიძულა, დანებებულიყო. სალომე მელიამ **ნანა იტკისი** დაჯაბნა.

ხუთი ტურის შემდეგ ყაჭეიშვილს 4, ძაგნიძესა და მელიას 3,5-3,5 ქულა ჰქონდათ. უდანაკარგოდ ინგლისელი **ნაიჯელ შორტი** მეწინავეობდა, რომელმაც ბოლო ტურში თეთრებით ნადეჟდა კოსინცევა დაჯაბნა. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებოდნენ უკრაინელი **ვასილი ივანჩუკი** და დანიელ ფრიდმანი.

გუშინ მე-6 ტურში ნანა ძაგნიძე თეთრი ფიგურებით ესპანელ **ფრანსისკო ვალიეხოს** (2698) ეთამაშებოდა. იმის მიუხედავად, რომ შუა თამაშში მეტოქე მატერიალურ უპირატესობას ფლობდა, ქართველმა დიდოსტატმა ბოლო 10 სვლა ეფექტურად და უნაკლოდ ითამაშა და 30-ე სვლაზე აიძულა ესპანელი, საათი გაეჩერებინა.

ვალიეხო



ძაგნიძე

| | | | |
|---|---|---|---|
| 21. c6 | ეf7 | 22. ეd1 | მc5 |
| 23. ეe1 | ლf8 | 24. ეxe7 | ეxe7 |
| 25. მxf6 | მფf7 | 26. კd5+ | მe6 |
| 27. მd7 | ლh8 | 28. კf6 | ლg8 |
| 29. კxe7 | მფxe7 | 30. ლf6+ | და შავები დანებდნენ. |

სალომე მელიას მეტოქე **ვასილიოს კოტრონიასმა** (საბერძნეთი) ტურნირი მიატოვა და ჩვენენებურმაც მონაგარი მუქთი ქულით გაიმდიდრა. გიგა ყაჭეიშვილი 49-ე სვლაზე დიიფ სენგუფტას დაუზავდა. ასევე, ქულა გაიყვეს დანიელ ფრიდმანმა და **მაიკლ ადამსმა** (ინგლისი), **ნადეჟდა კოსინცევამ** (რუსეთი) და **ნარაიანან გოპალმა** (ინდოეთი), **კრიშნან სასიკირანმა** (ინდოეთი) და **ვიქტორ კორჩნოიმ** (შვეიცარია). ვასილი ივანჩუკმა 63-ე სვლაზე ნაიჯელ შორტი დააშამათა და 5,5 ქულით თავად დაწინაურდა ერთპიროვნულად.

**ვაჟა დანელია**

## ფიგურული ციგურაობა

### წარუმატებელი ბერნი

შვეიცარიის ქალაქ ბერნში გამართულმა ევროპის ჩემპიონატმა ფიგურულ ციგურაობაში განბილებულები დაგვტოვა, ჩვენმა იმედმა **ელენე გედევანიშვილმა** მე-8 ადგილი იკმარა. არადა, შარშან მან საქართველოს ისტორიული მედალი მოუპოვა, — პირველი ზამთრის სახეობებში...

მოგეხსენებათ, მთავარი თავისუფალ დისციპლინაში გამოსვლაა, მოკლე პროგრამის შემდეგ ელენე მე-5 ადგილზე იყო და მედლის მოპოვების მცირე შანსს ინარჩუნებდა. შარშან ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი ჩვენებურმა სწორედ თავისუფალში კარგი გამოსვლით მოიპოვა. მაშინ მან 103,72 ქულა მიიღო, რაც ელენესთვის რეკორდულ მაჩვენებლად რჩება. ახლა კი გედევანიშვილმა ტექნიკურ კომპონენტებში სულ რაღაც 43,52 ქულა მიილო (მხოლოდ მე-14 შედეგი 24 მონაწილეს შორის), პროგრამულში - 51,76, 1 ქულა წაქცევისთვის დააკლეს და ჯამში 94,28 ქულა დაუგროვდა. ეს კი მე-8 შედეგია როგორც თავისუფალ პროგრამაში, ასევე - საერთო ჯამში. 21 წლის გედევანიშვილის კარიერაში ეს მე-6 ევროპის ჩემპიონატი იყო, ქრონოლოგიურად მისი შედეგები ასეთია: მე-5 (2006); მე-8 (2007), მე-7 (2008), 25-ე (2009), მე-3 (2010) და მე-8 (2011).

თავისუფალი პროგრამა ყველაზე კარგად შეასრულა იტალიელმა **კაროლინა კოსტნერმა**, მაგრამ ის ვერ გახდა ევროპის 4-გზის ჩემპიონი, შვეიცარიელმა **სარა მაიერმა** გაცილებით სტაბილურად ისრიალა და ორი დისციპლინის ჯამში ყველას აჯობა - 26 წლის მასპინძელი პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი. პირველი დღის ლიდერი **კიირა კორპი** კი ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

### ევროპის ჩემპიონატი. ქალები

| | |
|---|---|
| 1. სარა მაიერი (შვეიცარია) | 170,60 |
| 2. კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 168,54 |
| 3. კიირა კორპი (ფინეთი) | 166,40 |
| 4. ქსენია მაკაროვა (რუსეთი) | 162,04 |
| 5. ალიონა ლეონოვა (რუსეთი) | 154,31 |
| 6. ვიქტორია ჰელგესონი (შვედეთი) | 151,66 |
| 7. ირა ვანუ (ბელგია) | 150,66 |
| 8. ელენე გედევანიშვილი (საქართ.) | 147,96 |
| 9. მაე მეიტე (საფრანგეთი) | 138,74 |
| 10. ვალენტინა მარკეი (იტალია) | 137,44 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჩოგბურთი

### მეოთხედფინალი ვერ დაასრულა

საქართველოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** (257) გრენობლის საერთაშორისო ტურნირში (საფრანგეთი, 25 ათასი დოლარი) მეოთხედფინალური მატჩი ვერ დაასრულა. ის ბრიტანელ **ნაომი ბროდის** (293) მე-2 სეტში დანებდა, როცა მეტოქის უპირატესობა აშკარა იყო - 2:6, 1:3. შემდეგ კვირაში ჩახნაშვილს ბელფორის საერთაშორისო ტურნირში (საფრანგეთი) უნდა ესპარეზა, მაგრამ ეს 25-ათასიანი შეჯიბრება გაუქმდა.

ამასობაში, მალიორკაში (ესპანეთი) დაიწყო 10-ათასიანი ტურნირი, რომლის ძირითად ბადეში ორი ჩვენებური (**სოფიო ქვაცაბაია** და **ეკა გორგოძე**) ითამაშებს, სამმა ჩვენებურმა კი ძალები საკვალიფიკაციო წრეში მოსინჯა: 17 წლის **ნინო სუჯაშვილი** რუმინელ **ადრიანა მარინესკუს** 0:3-ზე დანებდა, 16 წლის **მარიამ სხირტლაძემ** წააგო სლოვაკ **სილვია ტუმოვასთან** - 2:6, 3:6, ხოლო 15 წლის **მარიამ ქურასბედიანი** I წრეში ისვენებდა. მეორეში მისი მეტოქე მასპინძელი **ანა მონსერატია**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და ვიქტორინის პასუხები:

თარაზულად: 1. ფორლანი; 5. კრესპო; 10. კონტრერასი; 11. "ფუკა"; 12. მოდებაძე; 14. დავიდ; 15. მორჩილაძე; 17. თენაძე; 18. უილსონი; 22. იშტოიანი; 25. მარგიანი; 26. ვერონი; 27. ჯონ; 29. ტორიჩელი; 31. დრაივი; 32. ნიგერია; 33. ბექჰემი;

შვეულად: 2. ოინა; 3. ლარსონი; 4. "ნორშელანი"; 6. სალუქვაძე; 7. „ორლანდო"; 8. აკადემიური; 9. ესპანეთი; 13. ედინბურგი; 16. ჩესნოკოვი; 19. ნოა; 20. დერიუგინი; 21. დიმაჯიო; 23. შვეცოვი; 24. ჩანგი; 28. ნდიე; 30. ელი.

ვიქტორინის პასუხები:
1-ა, 2-გ, 3-ბ, 4-გ, 5-ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასი

# ჭრიკიშვილის მორიგი გაელვება

## ჩამოწერილის აღლუმი და არასახარბიელო შედეგი

ძიუდოისტთა საშინაო მსოფლიოს თასი ჩვენმა ნაკრებმა არც ისე კარგად ჩაამთავრა - 4 მედალი 28 ძიუდოისტისგან ცოტაა. იმ ჯილდოებიდან 2 ოქროა, თითო - ვერცხლ-ბრინჯაო. ჩემპიონები **ამბაკო ავალიანი** (73) და **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) გახდნენ. **დავით კარბელაშვილი** (81) მეორეზე გავიდა, მძიმეწონოსანი **ზვიად ხანჯალიაშვილი** - მესამეზე. ბრინჯაოსთვის კიდევ ექვსმა ქართველმა იჭიდავა - **დავით ასუმბანმა, პაატა მერებაშვილმა** (60), **შალვა ქარდავამ** (66), **ზვიად ბაზანდარაშვილმა** (73), **საბა გავაშელიშვილმა** (90) და **რევაზ ჩიკოიძემ** (100), მაგრამ ყველამ წააგო.

მოლოდინისამებრ, ძიუდოისტთა წლევანდელი მსოფლიოს თასი არც ისე ძლიერი გამოდგა – 28 უცხოური გუნდი კი ჩამოვიდა, მაგრამ რამდენიმე მხოლოდ მსაჯ-დელეგატთა დონეზე იყო წარმოდგენილი, უშუალოდ ჭიდაობაში კი 22 გუნდი მონაწილეობდა. თბილისში ჩამოვიდა საბერძნეთის ნაკრებიც, თუმცა შესუსტებული შემადგენლობით, ბოლო წუთებში კი ინდოელთა ორკაციანი გუნდიც შემოგვიერთდა. ისინი წილისყრამდე მხოლოდ ნახევარი საათით ადრე ჩამოფრინდნენ აეროპორტში და წილისყრას ძლივს მიუსწრეს. რომ არა საერთაშორისო ფედერაციის კეთილი ნება, მათ არც დაუშვებდნენ საჭიდაოდ. ტურნირზე ვარსკვლავთა დეფიციტი რომ იქნებოდა, ამას ადრევე შევეგუეთ და მაინცდამაინც შთამბეჭდავი არც მონაწილეთა რაოდენობა იყო – ამაზე თუნდაც თბილისის სპორტის სასახლეში გაშლილი მხოლოდ ორი ტატამი მეტყველებს. მთავარი, რამაც გაგვაოცა, მსაჯობა იყო. მათ მასპინძელთა რამდენიმე შეხვედრა, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე საეჭვოდ იმსაჯეს. აბსოლუტურად ყველა თუ არა, იმ შეხვედრათა ნაწილი მაინც იქნებოდა ისეთი, სადაც თანაბარ ბრძოლაში არბიტრებმა უპირატესობა უცხოელებს მიანიჭეს. დაუმსახურებელს არაფერს ვითხოვთ, მაგრამ მსაჯები რომ მასპინძლებს ოდნავ მაინც ემხრობიან, დაუწერელი კანონია, აქ კი ყველაფერი პირიქით იყო. როცა შინ ასე გვექცევიან, საკითხავია, გარეთ რას იზამენ! **თენგიზ პაპოშვილის** (73) შეხვედრაში თურქ **ომერ იამანთან** მსაჯებმა ჯერ მეტოქე მოხსნეს ფეხში შესვლისთვის, მაგრამ იქვე შეცვალეს გადაწყვეტილება და ანალოგიური ბრალდებით უკვე ჩვენებური დასაჯეს. ამან ისე იმოქმედა ტრიბუნაზე მყოფ პაპოშვილის მამაზე, ცუდად გახდა, თუმცა დროულად უწამლეს და გადარჩა. ამ შეხვედრის გარდა, საეჭვო იყო მსაჯთა გადაწყვეტილება ქარდავას საბრინჯაო შეხვედრაში რუს **დენის ლავრენტიევთან**, როცა ჩვენებურს გდება მხოლოდ ვაზარით შეუფასეს, მერე კი, როგორც ხშირად ხდება ჩვენს შემთხვევაში, უპირატესობა ვერც ქარდავამ შეინარჩუნა და სუფთად წააგო; პაატა მერებაშვილთან ასევე ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ლატვიელ **ანდრეას მაჟერსის** მიერ გაკეთებული პირველი ვაზარი კითხვებს ბადებდა; **ლაშა გურულის** ჭიდაობისას (90) არბიტრებს აშკარად ეტყობოდათ სიმპათიები უკრაინელ **ვადიმ სინიავსკისადმი** - ჩვენებურმა მეორე გაფრთხილება სამართლიანად მიიღო მტკივან ფეხში ჩარტყმისთვის, მაგრამ პირველი და მესამე გაფრთხილება საეჭვო იყო, მეტოქე კი ერთხელაც არ გააფრთხილეს... სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა კვლავაც შეიძლება.

ჩვენს გუნდს პირველი ოქრო ნაკრების წინა ფორმაციის ხელმძღვანელთაგან ჩამოწერილმა ამბაკო ავალიანმა მოუტანა. ის საქართველოს ჩემპიონატზე მესამეზე გავიდა და აქ ჭიდაობის უფლებაც ამით მოიპოვა, ახლა კი იმდენად ძლიერად იასპარეზა, ალბათ, ბევრი არც მოელოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 5-დან ოთხი შეხვედრა წმინდად მოიგო – პირველ წრეში სომეხ **რობერტ ვარდანიანთან** (უფრო სწორად, ის ფეხში შესვლისთვის მოხსნეს), უკრაინელ **დმიტრო ბაბიჩუკთან**, საქართველოდან წასულ ებრაელ **იოსებ ფალელაშვილთან** და ფინალში ბელარუს **ალექსეი რამანჩუკთან**. მას ყველაზე მეტად ნახევარფინალში გაუჭირდა უკრაინელ ევროპის ჩემპიონ **ვოლოდიმირ სოროკასთან**, თუმცა იუკოთი მაინც მოუგო. ავალიანმა ფინალში გამარჯვებას სულ რაღაც 37 წამი მოანდომა, ოღონდ ეს იმდენად ლამაზი გდებით გააკეთა, ის მოგება ბარე ორ წარმატებას უდრიდა. ჯერ კიდევ ნაადრევია დასკვნების გამოტანა და კრიზისის დაძლევაზე ლაპარაკი - ავალიანმა უცხოეთში ბევრი რამე უნდა დაამტკიცოს, მაგრამ შაბათს ისე იჭიდავა, ქებას ნამდვილად იმსახურებს.

ჩვენი გუნდის მეორე ნათელ წერტილად ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჭრიკიშვილი იქცა.



მას უფროსებში დებიუტი ცოტა კი გაუჭირდა - საქართველოს ჩემპიონატზე მესამეზე დარჩა, ძიგორო კანოს სახელობის „დიდ მუზარადზე“ კი მეხუთე იყო, თუმცა სიძნელეებს თანდათან უმკლავდება. ბუნებრივია, სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია, მაგრამ დიდი მოჭიდავისთვის საჭირო ყველა თვისება გააჩნია - ტექნიკური არსენალი, კარგი ფიზიკური მომზადება, უშიშარი ხასიათი... რაც მთავარია, ტატამზე ძალიან კარგად აზროვნებს, სწრაფად ერკვევა ვითარებაში და ასევე სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს. ის შემტევ სტილს არც მაშინ ღალატობს, როცა იგებს - მაინც უტევს და არ ფიქრობს ანგარიშის შენარჩუნებაზე. თან იმ იშვიათ ქართველთაგანია, რომელიც თვითონ უტევს, ილეთზე შედის და მეტოქის შეცდომას არ ელოდება.

ჭრიკიშვილს ყველაზე მეტად პირველ შეხვედრაში გაუჭირდა აზერბაიჯანელ **რუსტამ ალიმლისთან** - მხოლოდ იუკოთი მოუგო. მასზე ბევრად უფროსსა და გამოცდილ ებრაელს, ევროპის ორგზის ვერცხლის მედალოსან **იოელ რაზვოზოვს** ორი ვაზარით აჯობა, უნგრელ **კრისტიან ტოტს** ერთი ვაზარი აკმარა, მაგრამ ისეთი გდება გაუკეთა, მეტოქემაც დაუკრა ტაში. ნახევარფინალში ასევე ბევრად უფროსსა და გამოცდილ აზერბაიჯანელ **ელხან რაჯაბლისაც** ვაზარით მოუგო, ფინალში კი თანაგუნდელი კარბელაშვილი შებოჭა. ერთადერთი, რაც მას ამ ეტაპზე აკლია, გამოცდილებაა და თან ფიზიკურად ჯერ კიდევ უჭირს ასაკით უფროსებთან ჭიდაობა. ეს კარად გამოჩნდა რაზვოზოვთან და რაჯაბლისთან შეხვედრებში - ორივე ზუსტად 10 წლითაა მასზე უფროსი და იგრძნობოდა, ბავშვი რომ კაცებს ეჭიდავებოდა. თუმცა ახალგაზრდა ქართველმა სწორედ მათთან ანუ ფიზიკურად ყველაზე ძნელ ბრძოლებში გამოავლინა კარგი ფიზიკური მომზადება, შესაშური სისწრაფე, კოორდინაცია, მოქნილობა და ელასტიურობა. რამდენჯერმე მათ ისეთი მდგომარეობიდან დაუძვრა, ან გდებებისას ისეთი სისხარტე გამოავლინა, ბევრად გამოცდილ ფალავნებსაც შეშურდებოდათ.

თავის მხრივ, ტურნირი კარბელაშვილმაც კარგად ჩაატარა - აზერბაიჯანელი **ტურალ საფგულიევი** და უკრაინელი **ვიტალი დუდჩიკი** დააიპონა, ყაზახი **ისლამ ბოზბაევი** და თურქი **აჰმეტ სარი** კი იუკოთი დაამარცხა. თუმცა შედარებაც არ შეიძლება - ჭრიკიშვილს უფრო ძლიერი ბადე ერგო.

ხანჯალიაშვილს ნახევარფინალში გასასვლელად ორი მოგება ეყო - ყაზახ **იერჰან შინკეევთან** და რუს **ასლან კამბიევთან**, იქ კი ასევე რუს **ალექსეი ვოლკოვთან** დამარცხდა. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში მან ვაზარით მოუგო ბელარუს **ალექსანდრ ვაკავიაკს**. სანუგეშოში გავიდნენ **გიორგი ცოციაშვილი** და ლაშა გურულიც (ორივე - 90), მაგრამ იქ პირველივე შეხვედრები წააგეს, ხოლო ჩვენი გუნდის სხვა წევრები - **გიორგი ბაინდურაშვილი, პაატა ღვინიაშვილი** (81), **არჩილ შინჯიკაშვილი** (90), **კონსტანტინე მუკვანი, მალხაზ ნიჟარაძე, დავით ლორიაშვილი** (100), **ვახტანგ ზოიძე, ადამ ოქრუაშვილი** და **ნოდარ მეტრეველი** (+100) კიდევ უფრო ადრეული ეტაპიდან გავარდნენ.

სოფიაში მიმდინარე ქალთა ანალოგიურ ტურნირზე დღეს ორმა ჩვენებურმა იჭიდავა. **ნინო ოძელაშვილი** (70) მეოთხედფინალიდან ჩაება, თუმცა მომავალ ვერცხლის მედალოსანთან, ფრანგ **კარინე ბერგერთან** დამარცხდა და სანუგეშოში გადავიდა. იქ ხორვატ **მარია ჩოსიჩს** ვაზარით მოუგო, ბრინჯაოსთვის შეხვედრა კი პოლონელ **კატარინა კლიშთან** დათმო და მეხუთეზე დარჩა. პირველივე შეხვედრაში დამარცხდა მძიმეწონოსანი **ირინა ლეონიძეც** - ფრანგ **რებეკა რამანიჩთან** და გავარდა.

**სოსო ლიპარტელიანი** (ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „იმ შემადგენლობიდან, რაც ტურნირზე გავიყვანეთ ან სხვებს ჰყავდათ ჩამოყვანილი, ამდენ მედალს ვგეგმავდით. მოგეხსენებათ, რამდენიმე ლიდერი ჩვენც დავასვენეთ პარიზის ტურნირისთვის, ამას მსაჯობაც დაემატა, რამაც ძალიან დაგვაზარალა. ცხადია, განსაკუთრებით ავალიანი და ჭრიკიშვილი მომეწონნენ, თუმცა კიდევ მომეწონა რამდენიმე ახალგაზრდა. ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი რამდენიმეს კიდევ რჩება, ვინც ახლა წარუმატებლად გამოვიდა. მაგალითად, მინდა, ისევ გამოვცადო პაპოშვილი, ლორიაშვილი და კიდევ რამდენიმე ფალავანი. მოგეხსენებათ, წლეულს უკვე ევროპის ჩემპიონატზეც შეიძლება ქვეყნიდან წონაში ორი კაცის დაყენება, თუმცა ჩვენ ამ კვოტას სრულად, ალბათ, არ გამოვიყენებთ - ყველა წონაში არ გვყავს მედლისთვის მებრძოლი ხალხი“.

**კვარცხლბეკი. ვაჟები. 60 კგ.** 1. ვუგარ შირინლი (აზერბაიჯანი), 2. იერკებულან კოსაევი (ყაზახეთი), 3. ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი), ანდრეას მაჟერსი (ლატვია); **66 კგ.** 1. სერგეი ლიმა (ყაზახეთი), 2. სერჰიუ დრებოტი (უკრაინა), მიხაილ პულიაევი, დენის ლავრენტიევი (ორივე-რუსეთი); **73 კგ.** 1. ამბაკო ავალიანი (საქართველო), ალექსეი რამანჩუკი (ბელარუსი), იოსებ ფალელაშვილი (ისრაელი), ვოლოდიმირ სოროკა (უკრაინა); **81 კგ.** 1. ავთანდილ ჭრიკიშვილი, დავით კარბელაშვილი (ორივე-საქართველო), 3. ელხან რაჯაბლი (აზერბაიჯანი), აჰმეტ სარი (თურქეთი); **90 კგ.** 1. ვადიმ სინაივსკი, 2. ქუჯაუ ნჰაბალი (უკრაინა), აზამატ სიტინოვი, აბდულ ომაროვი (რუსეთი); **100 კგ.** 1. აშხაბ კოსტოევი (რუსეთი), 2. დანიელ ჰადფი (უნგრეთი), 3. არტემ ბლოშენკო (უკრაინა), ვიქტორ დემიანენკო (ყაზახეთი); **+100 კგ.** 1. ალექსანდრ მიხაილინი, 2. ალექსეი ვოლკოვი, 3. ასლან კამბიევი (სამივე-რუსეთი), ზვიად ხანჯალიაშვილი (საქართველო).

კონტრაქტი

# ზაიზენბახერი ოფიციალურად გაფორმდა

გუშინდელი დღიდან ავსტრიელი **პეტერ ზაიზენბახერი** ოფიციალურად ჩადგა ქართული ძიუდოს სამსახურში - სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ მასთან ხელშეკრულება გაფორმდა, როგორც ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელთან. ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან ხელი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა **გიორგი ალექსიძემ** მოაწერეს. ამ სამეულთან ერთად ხელმოწერის ცერემონიალს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **მარიუს ვიზერიც** ესწრებოდა, რომელიც ავსტრიელის საქართველოში ჩამოყვანის ერთ-ერთი ინიციატორია - ეს კანდიდატურა მან შემოგვთავაზა. ხელშეკრულებით, ზაიზენბახერის ძირითადი ფუნქცია ეროვნული ნაკრების ფიზიკურად მომზადება იქნება, თუმცა ის სხვა ასაკობრივ ნაკრებებსაც მიხედავს, იზრუნებს ბავშვთა და, ზოგადად, ქართული ძიუდოს განვითარებაზე. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სოსო ლიპარტელიანია**, ავსტრიელის პრეროგატივა კი ნაკრების მოსამზადებელი გეგმის შედგენა იქნება, ხოლო ქართველ მწვრთნელებს ამ დავალებების განხორციელება დაევალებათ. ოღონდ ზაიზენბახერის მიერ შემუშავებულ პროგრამებს დამტკიცებამდე ადგილობრივ მწვრთნელთა საბჭო განიხილავს და თუ საჭიროდ მიიჩნევს, მასში ცვლილებებსაც მოითხოვს. ამდენად, ზაიზენბახერი უდავოდ მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება, მაგრამ არა ერთპიროვნული მმართველი. ამასთან, შედეგებზე პასუხისმგებლობა მასაც დაეკისრება. ავსტრიელის გეგმით ივარჯიშებენ ახალგაზრდული და ჭაბუკთა გუნდებიც, ოღონდ შედეგებზე პასუხს უკვე მწვრთნელები აგებენ. ზაიზენბახერმა ახლანდელი ჩამოსვლისას თან ჩამოიტანა გეგმა, რომელიც საერთო სურათის გარდა, კონკრეტულ ფალავანთა მზადებასაც ითვალისწინებს, რაც მათი სამედიცინო გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაკეთდა.

ავსტრიელთან კონტრაქტი 1+6 სისტემით გაფორმდა, ქართული მხარე მის ერთწლიან მუშაობას დადებითად თუ შეაფასებს, მაშინ თანამშრომლობას კიდევ ექვსი წლით გააგრძელებს და რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზეც მისი მომზადებული გუნდით წარვსდგებით. ზაიზენბახერისეული ფიზმომზადების მეთოდიკა რომ ძალიან ძნელია, ეს ხელშეკრულების გაფორმების ცერემონიალზეც ითქვა, მაგრამ იქვე დაამატეს, რომ უამისოდ შედეგები არ იქნება და რომ ეს გადარჩენა-გადარჩევის პროცესია - ვინც გაუძლებს, კიდეც გადარჩება და შედეგებიც ექნებაო, ითქვა. ნაცვლიშვილმა შეგვახსენა, რომ სწორედ ზაიზენბახერმა დაიწყო მსგავსი რეფორმები უნგრეთში და იქაური ძიუდოს აღმასვლაც ამას დაუკავშირა. ავსტრიელის ღვაწლზე ვიზერმაც ილაპარაკა, რომელმაც საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს მადლობა გადაუხადა ავსტრიელის ჩამოყვანაში გამოჩენილი ინიციატივისთვის და ძიუდოს სამყაროში სამი წლის წინ დაწყებულ რეფორმებზეც ილაპარაკა. მისი თქმით, საქართველომ ამ ცვლილებებს მხარი ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა და გამოთქვა რწმენა, რომ ეს ფაქტორი ამ დონის სპეციალისტის მოწვევასთან ერთად ჩვენებურ ძიუდოს სასიკეთოდ დაეტყობა.

*„მოხარული ვარ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქართული ძიუდოს, ამ შესანიშნავი ფენომენის ნაწილი ვიქნები. საქართველოში ძალიან თბილად მიმიღეს. ვიცი, რომ არის გარკვეული წინააღმდეგობები ქართველ მწვრთნელთა მოსაზრებებში. ამიტომ წინა კვირას შევქმენით მწვრთნელთა ჯგუფი და ჩემს გამოცდილებას თქვენს სპორტსმენებს მათთან ერთად გავუზიარებ. დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალებით ქართულ ძიუდოს იმ დონეზე მივიყვანთ, რასაც მათგან ქართველი ხალხი ითხოვს. აქ ძალიან ბევრ ტალანტს ვხედავ, მაგრამ თითოეულ მათგანს დიდი წარმატების მოსაპოვებლად ინდივიდუალური მომზადება სჭირდება. მჯერა, ახლანდელი კონტინგენტითა და მათთვის ჩვენი ცოდნის გადაცემით კარგ გუნდს შევქმნით“* - განაცხადა ზაიზენბახერმა.

ხელმოწერის ცერემონიალზე ახალი წესების შესახებ ვიზერსაც ვკითხეთ, რომელიც ჯერ კიდევ დავა-კამათის საგანია. ვიზერი ამ რეფორმებით კმაყოფილია, მაგრამ ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ მაინც გეგმავს ახალ ცვლილებებს. *„ჩვენ ძიუდოს წესებს კი არ ვცვლით, მას ჩამოვაცილეთ ის აგრესიული სტილი, რაც წარმატების, გამარჯვებისკენ სწრაფვის სურვილით ჭიდაობიდან და სამბოდან შემოვიდა. ამით ვცდილობთ, მას დავუბრუნოთ ტრადიციული, ძველი სული, რაც იყო რეალურად. ამ ყველაფერს ძიუდოს სიკეთის, მისი სულის ასამაღლებლად ვაკეთებთ. პეკინში ძიუდო მეორე ადგილზე იყო ყველაზე წარმატებულ სახეობებში - მენეჯმენტით, მიდგომით, სპორტსმენთა ცოდნით. ამ რეფორმებამდე გვესმოდა კრიტიკა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის მიმომხილველთა მხრიდან იმის შესახებ, რომ ძიუდო დაუახლოვდა ჭიდაობას, რამაც გვაიძულა ამ ცვლილებების დაწყება. ვიცით, რა არის კარგი ჩვენი სპორტისთვის და წინ მივდივართ. ამიტომ წესებში ცვლილებები ლონდონის შემდეგაც გატარდება. ბუნებრივია, ვითვალისწინებთ კრიტიკასაც, თუმცა რეფორმები საკმაოდ რთული იყო. ბევრ ქვეყანას არ სურდა ეს ცვლილებები და ეს მათზე მტკივნეულად აისახა. ტექნიკური სტილის მიმდევარი ქვეყნებისთვის ეს პრობლემა არ იყო - ფეხში შესვლა აეკრძალათ მხოლოდ, მაგრამ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის ეს მძიმე გადასატანი იყო, რადგან მათი ძიუდო ადგილობრივ ნაციონალურ ჭიდაობებს ემყარებოდა. ზაიზენბახერიც იმიტომ შემოგთავაზეთ, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო ტექნიკური ძიუდოისტია მსოფლიოში“* - გვითხრა ვიზერმა.

გვერდი მოამზადა **ირაკლი თავაძემ**

გაცილება



მარცხნიდან: ნესტორ ხერგიანი, მარიუს ვიზერი, ზურაბ ზვიადაური

# ოლიმპიური ჩემპიონის ცრემლები

„დღევანდელი დღე სასიხარულოცაა და სევდიანიც, რადგან სპორტიდან ვაცილებთ ასეთ ვარსკვლავებს. ვფიქრობ, ორი სპორტული ამბავი არა მხოლოდ ქართული სპორტის, არამედ მთლიანად საქართველოს ისტორიას შემორჩება - 1981 წელს **ვიტალი დარასელიას** მიერ გატანილი გოლი თასების მფლობელთა თასის ფინალში და **ზურაბ ზვიადაურის** ზეაწეული თითი 2004 წელს ათენის ოლიმპიადის ფინალში“ - ზურაბ ზვიადაურისა და **ნესტორ ხერგიანის** გაცილების საზეიმო ცერემონიალზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **გია ნაცვლიშვილის** მიერ წარმოთქმული ეს სიტყვებიც, ალბათ, ბევრს მოჰგვრიდა სევდას ასეთი დონის სპორტსმენთა წასვლის გამო. თან იმ ბედნიერ წუთებს კიდევ ერთხელ გაახსენებდა მთელი სიცხადით...

დიდ ჩემპიონთა გაცილება მართლაც სევდიანი გამოდგა - როცა „მრავალჟამიერის“ ჰანგებზე ორივე სპორტსმენი მხარზე შესმული შემოატარეს სპორტის სასახლის დარბაზში, ზვიადაური დაუფარავად ტიროდა! ოლიმპიურმა ჩემპიონმა რამდენჯერმე შეიმშრალა ცრემლი, მაგრამ ემოციებს ვერ გაუმკლავდა. ხერგიანს უფრო მხნედ ეჭირა თავი და გარეგნულად მღელვარება არ ეტყობოდა, რამდენიმე ათასი კაცი კი კერპებს დიდხანს უკრავდა ტაშს. ეს ალალი ოვაცია იყო, რომელიც მათ ასევე ალალად დაიმსახურეს იმ სიხარულისთვის, რასაც წლების განმავლობაში ანიჭებდნენ ქომაგს.

„სპორტიდან წასვლა ნებისმიერი სპორტსმენისთვის ძნელია და მეც გული მწყდება. გული მწყდება იმაზეც, რომ სპორტში გაცილებით მეტის მიღწევა შემეძლო. დიდი მადლობა მთელ ერს, ჩემს ქომაგს, განსაკუთრებით კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. ალბათ, გახსოვთ ის 4 წამი ათენის ოლიმპიადის ნახევარფინალში ფრანგ ფრედერიკ დემონფოკონთან – ალბათ, ღმერთის ნება იყო, მეტოქე რომ გააფრთხილეს“ - განაცხადა ზვიადაურმა.

„ძალიან დიდი მადლობა ყველა ქართველს, თითოეულ ქომაგს, ვინც მთელი ეს წლები გვგულშემატკივრობდა“ - თქვა ხერგიანმა.

ზვიადაურისა და ხერგიანის გაცილება თბილისის სპორტის სასახლეში ვაჟ ძიუდოისტთა მსოფლიოს თასის პირველ დღეს - შაბათს გაიმართა. როგორც ასეთ ცერემონიალს შეეფერება, იყო ბევრი მილოცვა, ტაში და თბილი სიტყვა. ნაცვლიშვილის გარდა, მათ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი**, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **მარიუს ვიზერი**, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ალექსიძე** მიესალმნენ. გამომსვლელებმა არაერთგზის აღნიშნეს ამ ფალავანთა დამსახურება არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიოს ძიუდოს წინაშე და გამოთქვეს სინანული სპორტიდან მათი წასვლის შესახებ. ითქვა, რომ ზვიადაური განსაკუთრებული ტალანტი იყო, ხერგიანი კი გაცილების შემდეგაც დარჩება მისაბაძი მაგალითი, როგორც უაღრესად პროფესიონალი, შრომისმოყვარე და დისციპლინირებული სპორტსმენი. გამომსვლელები იმით ინუგეშებდნენ თავს, რომ ორივე რჩება ქართულ ძიუდოში და ამჯერად მწვრთნელის რანგში აგრძელებენ მუშაობას. ზვიადაურსა და ხერგიანს გადაეცათ სეოკ-ის ოქროს მედალი. ისინი მედლებით ვარძელაშვილმა და ვიზერმაც დაასაჩუქრეს. მედალი მიიღო თავად ვიზერმაც – სეოკ-მა დააჯილდოვა იმ სამსახურისთვის, რაც „თბილისი-2015“ საარჩევნო კამპანიისას გააკეთა და რასაც მანამდე ქართული ძიუდოსთვის აკეთებდა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კალათბურთი

ევრობასკეტი 2011

# რუსები: ქართველებთან წაგება უფრო ძნელი იქნება, ვიდრე მოგება

A ჯგუფი: ესპანეთი, თურქეთი, ლიტვა, ბრიტანეთი, პოლონეთი, კვალიფიკაცია-2
B ჯგუფი: სერბეთი, საფრანგეთი, გერმანია, ისრაელი, იტალია, ლატვია
C ჯგუფი: საბერძნეთი, ხორვატია, ჩერნოგორია, მაკედონია, ბოსნია, კვალიფიკაცია-1
D ჯგუფი: სლოვენია, რუსეთი, ბელგია, საქართველო, ბულგარეთი, უკრაინა.

**D ჯგუფის კალენდარი**

**31 აგვისტო**

**საქართველო-ბელგია**
რუსეთი-უკრაინა
სლოვენია-ბულგარეთი

**1 სექტემბერი**

ბულგარეთი-ბელგია
უკრაინა-სლოვენია
**საქართველო-რუსეთი**

**3 სექტემბერი**

უკრაინა-ბულგარეთი
რუსეთი-ბელგია
**საქართველო-სლოვენია**

**4 სექტემბერი**

ბულგარეთი-რუსეთი
**საქართველო-უკრაინა**
ბელგია-სლოვენია

**5 სექტემბერი**

**საქართველო-ბულგარეთი**
სლოვენია-რუსეთი
უკრაინა-ბელგია

ესეც ასე, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობაც გაირკვა: სლოვენია, რუსეთი, ბელგია, ბულგარეთი და უკრაინა...

გადახედეთ სხვა ჯგუფების შემადგენლობებს და დარწმუნდებით, რომ თუნდაც პოლონელებისგან განსხვავებით ქართველებს დასაჩივლი არაფერი გვაქვს. თუმცა, ამას რომ ვწერ, ისიც ვიცი, წილისყრამდე საქართველოს ნაკრების კალათბურთელები რას ფიქრობდნენ - მეტოქეთა ვინაობას რა მნიშვნელობა აქვს, ყველასთან საბრძოლველად გავალთო. შესაბამისად, ისინი არც იმას დაიჩივლებდნენ, ესპანეთისა და ლიტვის ჯგუფში რომ მოხვედრილიყვნენ. მაგრამ რადგან ბედმა და ლეგენდარული **სერგეი იოვაიშას** მარჯვენამ D ჯგუფში მოგვახვედრა, გაცილებით თამამად შეგვიძლია გასვლის შანსებზე ლაპარაკი.

ვიდრე მეტოქეებს მივადგებოდეთ, შეგახსენებთ, რომ ოთხი ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე საუკეთესო სამეულები გადის. შემდეგ შეიქმნება ორი ექვსგუნდიანი ჯგუფი. იქიდან მეოთხედფინალში რვა ნაკრები გავა (თითო ჯგუფიდან 4). მეოთხედფინალურ ეტაპს ნახევარფინალი მოსდევს, მერე ფინალი.

■ ■ ■

ნოემბრის ბოლოს ჩვენი გაზეთის მკითხველს **ვლადიმერ ბოისას** ინტერვიუ შევთავაზეთ, რომელშიც საქართველოს ნაკრების ფორვარდი ამბობდა: ძალიან მინდა ევროპის ჩემპიონატზე სლოვენიას შევხვდეთ, რადგან სლოვენიელებმაც დაგვინახონ, სანაკრებო დონეზე რა შეგვიძლიაო.

ვოვას სურვილი აუხდა - ჩვენს ჯგუფში პირველი კალათიდან სლოვენია მოხვდა. ამ ქვეყნის ნაკრები, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, 1993 წლიდან თამაშობს ევროპის ჩემპიონატებზე. შედეგებს ნელ-ნელა აუმჯობესებს: საუკეთესო შედეგი 2009 წლის ევრობასკეტზე უჩვენა - მეოთხე ადგილი დაიკავა.

სლოვენიელებს NBA-ში არაერთი წარმომადგენელი ჰყავთ. ევროვარსკვლავებს, ალბათ თვითონაც ვერ ითვლიან.

■ ■ ■

საქართველოს ნაკრები სლოვენიისას არასოდეს შეხვედრია. ერთხელ ვითამაშეთ რუსებთან - 2004 წლის 24 ივლისს, იტალიის ქალაქ სან ჯორჯოში. ის მატჩი ქართველებმა 87:71 მოიგეს! ასე რომ, დასაწყისისთვის სტატისტიკა შესანიშნავია. თუმცა, იმ დღიდან სამი წლის შემდეგ, 2007-ში რუსეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო: ფინალში ესპანელებს გადამწყვეტი ორქულიანი ნატურალიზებულმა ამერიკელმა **ჯეი არ ჰოლდენმა** ჩაუგდო.

გამოგიტყდებით, ძალიან მინდოდა ჯგუფში რუსეთთან მოხვედრა, რადგან ამ ქვეყნის ნაკრების წინააღმდეგ ნებისმიერი ქართველი სპორტსმენი გაორმაგებული ენერგიით იბრძვის. ჰოდა, სხვებს არც ქართველები ჩამორჩებიან, თუმცა ზაფხულში არაერთხელ ითქმება - პოლიტიზირება არ გვინდაო.

რუსების საუკეთესო კალათბურთელი **ანდრეი კირილენკოა**, „იუტა ჯაზიდან".

დამატებითი სტიმულისთვის ნებისმიერ კალათბურთელს გამოადგება წილისყრის რეპორტაჟისას რუსი კომენტატორის ნათქვამი: ქართველებთან წაგება უფრო ძნელი იქნება, ვიდრე მოგებაო.

■ ■ ■

წილისყრამდე ერთი დღით ადრე ბელგიაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფორვარდ **თორნიკე შენგელიას** ვუთხარი - ძალიან მინდა ბელგია შეგვხვდეს, რადგან მასზე ჩვენს ნაკრებს შური აქვს საძიებელი-მეთქი.

შეგახსენებთ, რომ 2010 წელს ბელგიასთან შესარჩევ ტურნირზე საქართველოს ნაკრები ორჯერ დამარცხდა. ჯერ სტუმრად, შემდეგ თბილისში, 23 ქულის სხვაობით. საერთო აღიარებით თბილისური ფიასკო გუნდის გადაღლილობის ბრალი იყო. ჰოდა, ევროპის ჩემპიონატზე ბელგიას პირველივე მატჩში, 31 აგვისტოს ვხვდებით და ნამდვილად შეგვიძლია მისი დამარცხება.

■ ■ ■

ბულგარეთის ნაკრებს სოფიაშიც მოვუგეთ და თბილისშიც. ახლა ლიტვაში მოგებაღა დარჩა, თუმცა ასე თამამად ბულგარელების დამარცხებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან შემადგენლობით ურიგო გუნდი არ არის.

■ ■ ■

უკრაინის ნაკრებში **კირილ ფესენკოა** („იუტა"), რომელიც **ზაზა ფაჩულიას** წინააღმდეგ ხშირად თამაშობს ხოლმე. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ კირილი ზაზაზე ძლიერია.

უკრაინელებს ერთი ევროვარსკვლავი ჰყავთ - **სერგეი ლიშჩუკი** („ვალენსია"). მან ამ ზაფხულს თბილისის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ცოტა ითამაშა, ქართველებმა უკრაინელებს **ტორინ გრინის** სამქულიანით 87:84 მოუგეს.



საქართველო-ბულგარეთი

საქართველოს თასი. ნახევარფინალი

ბიბლიოთეკა



# კოტონი, რიჩარდ III, ბოისამიანი

**30 იანვარი. რუსთავი**

**ქუთაისი-შსს 75:83**

15:24 21:24 22:18 17:17

ქუთაისი: ბაბუნაშვილი (4ქ), დიდია (14ქ, 4პ, 4ჩ), კვიმსაძე (13ქ, 6პ), ბოლქვაძე (21ქ), ლომინაშვილი, გ. ბარბაქაძე (6ქ), ცეკვავა (9ქ), კოლუაშვილი (8ქ), ქორიძე.

შსს: ლაფანაშვილი (5ქ), ლეჟავა (10ქ, 5პ), ნიკოლაძე (3ქ), კოტონი (18ქ), მარკოიშვილი (8ქ), ტუჯანი (14ქ, 8მ), დ. ბარბაქაძე (11ქ, 7მ), შერმადინი (2ქ), წივწივაძე (10ქ, 6პ), ტომარაძე (2ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი.
კომისარი: რ. ხომერიკი

**თსუ-არმია 66:67**

19:14, 17:14, 16:19, 14:20

თსუ: გაფრინდაშვილი (5ქ, 7მ, 5პ), კოხრეიძე (4ქ) ლონდარიძე (8ქ, 10მ) კორკოტაძე (3ქ), ჩიტაშვილი (16ქ), მათიაშვილი (21ქ, 9მ), მ. ბერიშვილი (9ქ, 9მ)

არმია: ბაბიაშვილი (4), ბოისა (10ქ, 12მ), მინაშვილი, ბ. ბერიშვილი (12ქ, 14მ, 5პ), ტულუში (10ქ, 6პ), პირველაშვილი (13), ათუაშვილი (4), საყვარელიძე (5), შარაბიძე (9)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე
კომისარი: თ. ქიქოძე

**დავით უსტიაშვილის** განვრთნილ შსს-ს საკმაო ძალისხმევა დასჭირდა „ქუთაისთან" სასურველი შედეგის მისაღწევად. მართალია, ქუთათურები მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩამორჩებოდნენ „ძალოვნებს", თუმცა მობილიზებულნი იყვნენ და პერიოდული აფეთქებებით ჩამორჩენას 4–5 ქულამდე ამცირებდნენ. ანგარიში 4 ქულამდე სირენამდე 1:12 წამით ადრე შემცირდა, თუმცა ეს იყო და ეს - ქუთათურებმა მეტი ვერ შეძლეს.

მესამე პერიოდის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში შსს-ს 10-ქულიან ფორას **ტროი კოტონი** უნარჩუნებდა, რომელმაც არაერთი სამქულიანი ჩააგდო. მას საბოლოოდ შორეული ტყორცნების შესაშური მაჩვენებელი აღმოაჩნდა - 8-დან 6. 18 ქულით კოტონი შსს-ს სნაიპერი გახდა, ხოლო იმერელთაგან ფარქვეშ **მამუკა ბოლქვაძე** გამოირჩეოდა, რომელმაც ყველაზე მეტი ჩააგდო - 21 ქულა.

■ ■ ■

**ანატოლი ბოისას** მიერ საფინალო სირენამდე 3 წამით ადრე ჩაგდებულმა სამქულიანმა „არმია" თასის გათამაშების ფინალში გაიყვანა. არადა, ანატოლის გადამწყვეტ ტყორცნამდე 5 სამქულიანი ჰქონდა ნასროლი და ხუთივე აცილებული. მან პასი **ბუბა ბერიშვილისგან** მიიღო, რომელმაც შეტევა სირენამდე 9 წამით ადრე დაიწყო. თსუ-ს იმ ეპიზოდისთვის მხოლოდ 2 გუნდური ჯარიმა ჰქონდა და შეეძლო მეტოქე წესების დარღვევითაც შეეჩერებინა. ეს საჭიროც იყო და ბერიშვილზე იუხეშეს კიდეც, მაგრამ არბიტრებმა ფოლი არ დააფიქსირეს. სწორედ ეს აღმოჩნდა ბოლო კვესი აალებისთვის... სტუდენტები არბიტრების მოქმედებამ ძალიან გააბრაზა, თუმცა მხოლოდ ბოლო ეპიზოდით როდი იყვნენ უკმაყოფილონი.

მოკლედ, სეზონის გახურებასთან ერთად სიტუაცია იძაბება და არ შეიძლება არსებობდნენ გუნდები, რომლებიც თვლიან, რომ ისინი მსაჯებმა დაჩაგრეს. სამსაჯო კომიტეტის მიერ ყველა მატჩი კარგად უნდა იქნას შესწავლილი და სათანადო დასკვნები, გამოტანილი, რათა შემდეგში მიკერძოებაზე ლაპარაკი გამოირიცხოს.

ერთი კარგი უკვე ითქვა - სუპერლიგის პლეი ოფებისთვის მსაჯებს უცხოეთიდან ჩამოიყვანენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ ქართველ არბიტრს დღეში 2-3 თამაშის განსჯა არ მოუწევს.

ახლა ორიოდე სიტყვა თსუ-"არმიას" მატჩის მსვლელობას შევაწიოთ. სტუდენტთა მეფარემ, რიჩარდ მათიაშვილმა პერიმეტრიდან დიდი თავსატეხი გაუჩინა მოწინააღმდეგეებს. სწრაფი თამაშით თსუ ქულას ქულაზე „აწებებდა" და მთელი თამაშის განმავლობაში წინ იყო, მაგრამ ბოლოს **გიორგი პირველაშვილმა** ორი სამქულიანი გამოიყენა და არმიელებმა შეხვედრის დასრულებამდე 3 წუთით ადრე პირველად მოახერხეს დაწინაურება, სტუდენტები მაინც არ გატყდნენ.



თამაშის დასრულებამდე ორწუთნახევარი რჩებოდა, სიტუაცია კი იმდენად დაიძაბა, რომ ორივე გუნდმა შეცდომებს უმატა. 2 წუთის განმავლობაში ბურთი ვერც ერთმა მხარემ ჩააგდო და ეს „მშრალი" პერიოდი სტუდენტებისთვის ხელსაყრელი ეპიზოდით დასრულდა. არმიელთა მორიგი აცილებული ბურთი თსუ-ელმა **გიორგი გაფრინდაშვილმა** მოხსნა, რომელმაც გრძელი პასით ფართან პირისპირ დატოვა **ილია ლონდარიძე**. ეს უკანასკნელი არმიელმა ბუბა ბერიშვილმა ჯარიმით შეაჩერა, რომელიც არბიტრმა **მაკა კუპატაძემ** არასპორტულად შეაფასა. ლონდარიძემ ორივე სროლა ჩააგდო, ანგარიში გაათანაბრა (64:64) და ბურთიც თსუ–ს დარჩა.

მატჩის დასრულებამდე 16 წამი რჩებოდა. თსუ–ელებმა ბურთი გაათამაშეს და ფარისკენ დაძრული გაფრინდაშვილი არმიელებმა წესების დარღვევით შეაჩერეს. გიორგი იატაკზე დაცემისას დაშავდა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. მისი საჯარიმოები მოედანზე სანაცვლოდ შემოსულმა **ზურაბ კორკოტაძემ** ისროლა. საფინალო სირენამდე 9 წამით ადრე კორკოტაძის საჯარიმოებით თსუ 66:64 დაწინაურდა.

სწორედ აქ ივაჟკაცა ანატოლი ბოისამ, რომელმაც მოედნის კუთხიდან გამარჯვების სამქულიანი ჩააგდო.

ასე რომ, 1 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს თასის ფინალში შსს და „არმია" ითამაშებენ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# გეშინოდეთ, მეტოქენო, ბოისა დაბრუნდა!

## შერმადინი, გადაუჭრელი პრობლემა სერბებისთვის



ვლადიმერ ბოისა (ბურთით) დაბრუნდა

„ბარსელონასთან" საევროლიგო მატჩის შემდეგ „ოლიმპიამ" ერთი დღე დაისვენა და ადრიატიკის თასზე სერბულ „ჰემოფარმს" დაუხვდა. დახვედრაც ამას ჰქვია - სლოვენიელებმა სერბები 104:62 დაამარცხეს. ამ მოგებით „ოლიმპია" სატურნირო ცხრილის სათავეში დაბრუნდა (12 გამარჯვება, 7 წაგება).

თუმცა ცხრილსა და დიდი სხვაობით მოგებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი ამბები ქართველებს უკავშირდება.

ივნისის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ვლადიმერ ბოისამ**, რომელმაც შარშან ხორვატიის ჩემპიონატის ფინალში მიღებული მუხლის ტრავმის გამო ჯერ ოპერაცია გაიკეთა და თითქმის 7 თვე მკურნალობდა.

- *„ოლიმპიაში" ხუთი წელი ვთამაშობდი, აქაურობა ჩემთვის შინაურია. თავს უკვე კარგად ვგრძნობ და ყოველმხრივ მზად ვარ გუნდის დასახმარებლად,* - თქვა ვოვამ ნამატჩევს.

მან 10 წუთი ითამაშა, 2 ქულა, 3 მოხსნა და თითო პასი-დაფარება მოაგროვა.

**გიორგი შერმადინი** კი მწვრთნელმა სასტარტო ხუთეულში გაამწესა. ქართველმა ცენტრმა 16 წუთში 11 ქულა (6-დან 5 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 6 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება ჩაიწერა.

გამოცემა „სიოლზე" გამოქვეყნებული მიმოხილვის რამდენიმე მონაკვეთი ქართველ მკითხველსაც დააინტერესებს. შესავალში ავტორი შერმადინზე ლაპარაკობს: *„მწვრთნელმა* ***იურე ჟდოვცმა*** წინა მატჩებისგან განსხვავებით სასტარტო ხუთეულში **კევინ პინკნის** ნაცვლად გიორგი შერმადინი დააყენა. ქართველი კალათბურთელი ბოლო დროს კარგ ფორმაშია და ხუთეულს ნამდვილად იმსახურებდა. მან ეს შანსი ხეირიანად გამოიყენა. შერმადინი სერბებისთვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა - 11-დან 7 ქულა პირველ პერიოდში ჩააგდო. გარდა ამისა, იგი კარგად ხტებოდა და მეტოქეებს სივრცეებსაც შესანიშნავად უზღუდავდა...

პირველი მეოთხედის მთავარი მოვლენა მე-17 წუთზე მოხდა: **დამირ მარკოტას** ნაცვლად მოედანზე ვლადიმერ ბოისა შევიდა. მისთვის ეს სეზონის პირველი მატჩი იყო. ბოისას გამოჩენას მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა, გულშემატკივარს მასთან თბილი მოგონებები აკავშირებს - სლოვენიის პასპორტით ქართველი 2001-05 წლებში „ოლიმპიას" ერთ-ერთი ლიდერი იყო."

მატჩის შესახებ შეგიძლიათ გიორგი შერმადინის დღიურში დამატებით წაიკითხოთ. პოსტსკრიპტუმის სახით კი დავამატებთ: ცნობილმა სლოვენიელმა ანალიტიკოსმა, **მაიკ პავლოვიჩმა** „ბარსელონასთან" თამაშის შემდეგ „ოლიმპიას" წაგების მიზეზებსა და მომავალზე ლაპარაკისას აღნიშნა: *„გუნდისთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, გიორგი შერმადინზე მეტი შეტევა წასულიყო. ის საღამო ქართველისთვის განსაკუთრებული იყო."*

ქართველი NBA-ში

# ზაზა ფაჩულია: ნუ გააბრაზებთ!

## უილიამსების დუელი



„ატლანტელებმა რამდენიმე დღის წინ „მილუოკისთან" ბოლო პერიოდში 11-ქულიანი უპირატესობა გაანიავეს. მაშინ მწვრთნელმა, **ლარი დრიუმ** თქვა - ეს ჩვენთვის დიდი გაკვეთილი უნდა იყოსო. მას მერე ერთი კვირაც არ გასულა, რომ „ატლანტა ჰოქსმა" გაკვეთილი „კარგად" აითვისა: „დალასთან" *გავლით მატჩში მესამე პერიოდის წინ სოლიდური სხვაობით იგებდა, თუმცა ბოლო რაუნდში თამაში ჩააგდო და 91:102 დამარცხდა,"* - ეს გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში" წერია.

სხვა რა უნდა დავამატოთ... მხოლოდ იმას გეტყვით, რომ **ზაზა ფაჩულიამ** 16 წუთში 5 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა.

წინა დღეს ჯორჯიელებმა „ნიუ იორკს" შინ სძლიეს. ამ მატჩში ზაზამ მხოლოდ 9 წუთი ითამაშა, ალბათ იმიტომ, რომ იორკელთა შემადგენლობაში ხარისხიანი ცენტრი არ არის და ფარქვეშ ყველაფერი **ამარე სტაუდმაიერზეა** დამყარებული, რომლის წინააღმდეგაც **ელ ჰორფორდმა** კარგად ითამაშა.

შეხვედრის ბოლოს ისეთი რამ მოხდა, რომ კომენტარი ზაზა ფაჩულიამაც უძღვნა. ატლანტელმა **მერვინ უილიამსმა** მეტოქე **შაუნ უილიამსს** უბიძგა, რომელიც მასპინძელს მიუბრუნდა და შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა. მოჩხუბრები თანაგუნდელებმა დააშოშმინეს. NBA-ს ხელმძღვანელობამ მერვინს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

— *მერვინ უილიამსი მშვიდი, მეგობრული ადამიანია. თუმცა, უმჯობესია იგი არ გააბრაზოთ... ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მასზე მანამდე იუხეშეს,* - *თქვა ზაზამ.*

**ატლანტა-ნიუ იორკი 111:102**

ზაზა ფაჩულია: 09:05 წუთი, 1 ქულა (2-დან 0 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 1 ჩაჭრა, 2 ფოლი, 1 შეცდომა

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:52 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 01:55 | საჯარიმოები: 2/1 (1ქ, 24:19) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:50 | ფოლი: 1 |
| 11:50 | შეცდომა: 1 |
| 11:28 | ჩაჭრა: 1 (დუგლასს ჩაუჭრა) |
| 11:07 | ორქულიანი: რაზუსტი |
| 11:04 | ფოლი: 2 |
| 11:04 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 02:15 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:26 | ორქულიანი: არაზუსტი |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:58 | ბიბიმ ზაზა შეცვალა |

**დალასი-ატლანტა 102:91**

ზაზა ფაჩულია: 15:43 წუთი, 5 ქულა (4-დან 1 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 3 მოხსნა, 2 ფოლი, 2 შეცდომა

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 02:56 | ზაზამ ევანსი შეცვალა |
| 01:23 | ორქულიანი: არაზუსტი |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:05 | ორქულიანი: 2ქ (26:31) |
| 10:44 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 10:26 | საჯარიმოები: 2/2 (4ქ, 28:31) |
| 09:40 | შეცდომა: 1 |
| 08:38 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 08:17 | ფოლი: 1 |
| 08:17 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 06:04 | ზაზამ ევანსი შეცვალა |
| 03:29 | საჯარიმოები: 2/1 (5ქ, 70:70) |
| 01:09 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:21 | შეცდომა: 2 |
| 10:34 | ფოლი: 2 |
| 09:50 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:09 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:00 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |







# ჯორდანს არ აჰყვეო!

„ბარსელონასთან" მატჩის შემდეგ მწვრთნელმა გასახდელში გვითხრა - „ჰემოფარმთან" დაპირისპირებაზე უნდა გადავერთოთო... შაბათის მატჩის მოგება ჰაერივით გვჭირდებოდა, რადგან ეს სერბული გუნდი ადრიატიკის ლიგაზე ჩვენი უშუალო კონკურენტია და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად სწორედ კონკურენტების ჩამოცილება გვმართებს.

შაბათ დილას, ვარჯიშზე მწვრთნელმა „ჰემოფარმის" კომბინაციების გამეორებისას სასტარტო ხუთეულის სხვა წევრებთან დამაყენა. კი ვიფიქრე, ნეტავ თამაშსაც ძირითად შემადგენლობაში ხომ არ დავიწყებ-მეთქი, მაგრამ არავისთვის არაფერი მიკითხავს. ყოფილა შემთხვევა, როცა ხუთეულში მივარჯიშია, ხოლო მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დამიწყია.

საღამომდე კარგად დავისვენე და თამაშზე ჩვეულებრივ საათნახევრით ადრე გამოვცხადდი. გახურებისას მეორე მწვრთნელი, საქართველოში არაერთხელ ნამყოფი მირო ალილოვიჩი მოვიდა და მეტოქე ცენტრი, 23-ე ნომერი ჟერომ ჯორდანი გამიშიფრა - დინჯად ითამაშე, მოძრაობებში არ აჰყვეო. სწორედ მაშინ მომეცა საშუალება და ვკითხე: ხუთეულში უნდა ვითამაშო-მეთქი?

დავიწყე. მეც და გუნდსაც პირველივე წუთებიდან ყველაფერი კარგად გამოგვივიდა. ალბათ იმიტომ, რომ თამაშზე მაქსიმალური კონცენტრაციით გავედით საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოლო პერიოდში მწვრთნელმა იმ კალათბურთელებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, რომლებიც იშვიათად თამაშობენ - სალინს, მურიჩს, ლორბეკს...



მართალია დარბაზი ბოლომდე არ იყო გავსებული, მაგრამ მეორე პერიოდის ერთ მომენტში „შტოჟიცეს" არენა ოვაციებისგან კინაღამ დაინგრა - მოედანზე ვლადიმერ ბოისა შევიდა. ეს მისთვის სეზონის სადებიუტო მატჩი იყო და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა ძალიან უყვართ „ოლიმპიას" ქომაგებს ვოვა.

მას მეც დიდ პატივს ვცემ, სლოვენიაში ჩამოსვლის შემდეგ იგი უფროსი ძმასავით მხარში მიდგას. არა მხოლოდ მოედანზე: მპირდებოდა - მე რომ გამოვჯანმრთელდები და თამაშს შევძლებ, მერე ნახე შენი პასებით მომარაგებაო... მეხუმრება: ვიდრე ვარჯიში არ დავიწყე, ცოტას თამაშობდი, ახლა განაცხადში შემიყვანეს და სათამაშო დროც გაგეზარდაო. „მალარიჩი" უნდა ვუკისრო.

„ჰემოფარმის" ძლევის შემდეგ სახლში მეუღლესთან ერთად წავედი. იგი არც ერთ თამაშს არ აცდენს. მატჩებზე 1:30 საათით ადრე მივდივარ. ცხადია, ცოლს ასე ადრე დარბაზში ვერ წავიყვან. მას შეხვედრის დაწყებამდე 15 წუთით ადრე ვოვა ბოისას მეუღლე მანქანით აკითხავს და ერთად გვქომაგობენ. შაბათს დარბაზში ბოისას ბავშვებიც იყვნენ.

კვირას დილით 10 საათზე ავდექი, ვისაუზმე და ისევ დავიძინე. მას მერე ახლა გამეღვიძა (სამი საათი ხდება) და ვიდრე საღამოს გეგმებს დავაწყობ, დღიურს ვწერ. ისე, თქვენც გეტყვით, რას ვაპირებ კვირა საღამოს: გარეთ მზიანი, როგორც იტყვიან, სასეირნო ამინდია. რადგან კვირაა, მანქანების მოძრაობაც გაიშვიათებულია. ჰოდა, ვინაიდან „ჰემოფარმთან" მოგებით დასვენება დავიმსახურეთ, საღამოს რესტორანში წავალ. ოღონდ, სლოვენიურში არა... აქ ერთი ქართული რესტორანია, რომელშიც გემრიელ ჩვენებურ კერძებს ამზადებენ.

მანქანა ვახსენე და შეიძლება გაინტერესებთ, რა მარკის ავტომობილით დავდივარ. „ოლიმპიამ" „რენოს" ფირმის ავტომობილი მომცა. სხვათა შორის, ჩემი მანქანის ხილვა ევროლიგის საიტზეც შეგიძლიათ: სეზონის გახსნითი მატჩის რეპორტაჟი დარბაზში კალათბურთელთა გამოცხადებით დაიწყო. ჯერ მე გადმოვედი მანქანიდან, შემდეგ კადრში დამირ მარკოტა მოხვდა.

ასევე არ მავიწყდება მთავარი ამბის შესახებ - კვირას ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის წილისყრაა, რომელზეც ხვალ დავწერ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

ლეგენდა თბილისში

# შონ ფიცპატრიკი: შანსი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ




შეხვედრა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ფოტო: www.msy.gov.ge

ლეგენდარული ახალზელანდიელი მორაგბე **შონ ფიცპატრიკი** თბილისში ერთდღიანი ვიზიტით გვეწვია. „ოლ ბლექსის" ყოფილი შერკინების კვაჭი პირველია, საქართველოს რაგბის კავშირის ინიციატივას გამოეხმაურა. ქართული რაგბის მესვეურებმა გადაწყვიტეს, შეიქმნას მსოფლიო რაგბის ცნობილი სპეციალისტებით დაკომპლექტებული „საქართველოს რაგბის კავშირის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო".

სახელოვანი ახალზელანდიელი თბილისში ვიზიტისას საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს შეხვდა. მანამდე კი ჟურნალისტებთან „თბილისი მერიოტში" პრესკონფერენცია გამართა.

**გიორგი ნიჟარაძე**
***საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:***

*„ჩვენთვის დიდი პატივია შონ ფიცპატრიკის სტუმრობა. ის მსოფლიო რაგბიში დარჩა, როგორც ახალი ზელანდიის ნაკრების ლეგენდარული კაპიტანი, რომელიც „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ამასთან ფიცპატრიკმა შექმნა შერკინების კვაჭის თამაშის ახალი სტილი, რომლითაც რაგბის ქომაგებს აღაფრთოვანებდა.*

*საქართველოს რაგბის კავშირი შონ ფიცპატრიკს ლევან ვასაძის დახმარებით დაუკავშირდა, რომელთანაც საქმიანი ურთიერთობა აქვს, რისთვისაც მას მადლობა გვინდა გადავუხადოთ. ჩვენ შევთავაზეთ შონს „საქართველოს რაგბის კავშირის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს" შექმნაში დახმარება გაეწია. გვინდა შევკრიბოთ იმ ადამიანთა ჯგუფი, ვინც ქართული რაგბის განვითარებაში წვლილს შეიტანს. ეს ადამიანები იქნებიან ჩვენი ელჩები საერთაშორისო არენაზე და თავის ცოდნა-გამოცდილებას გაგვიზიარებენ.*

*დღესდღეობით „საქართველოს რაგბის კავშირის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოში" ორი ადამიანია, შონ ფიცპატრიკი და რიჩი დიქსონი"*




**შონ ფიცპატრიკი**

*„ჩემთვის დიდი პატივია ვიყო ქართული რაგბის თემის სტუმარი. საქართველო ძალიან ჰგავს ახალ ზელანდიას, უბრალოდ, ჩვენ ცოტა უფრო ბევრი ცხვარი გვყავს.*

*როდესაც შეთავაზება მივიღე, ბევრი არ მიფიქრია. რაგბის მხარდაჭერისთვის საქართველოზე უკეთესი ქვეყნის არჩევა, ვფიქრობ, შეუძლებელია. ყველაფერს ვიღონებ, რომ ქართული რაგბის შესახებ ხმა მთელ მსოფლიოს მივაწვდინო.*

*ჩემთვის იოლი იქნებოდა ახალ ზელანდიაში ან ინგლისში დარჩენა, სადაც ამჟამად ვცხოვრობ, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში რაგბის განვითარება და მასში გარკვეული წვლილის შეტანა.*

*ძალიან მიხარია, რომ საქართველოს ნაკრებმა მესამედ მოიპოვა მსოფლიოს თასის საგზური და სექტემბერში ახალ ზელანდიაში გვეწვევა. ქართულ რაგბისთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი მოგონება, 2007 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების ის მატჩია, რომელშიც ირლანდიის ნაკრებს თითქმის მოუგო.*

*რიჩი დიქსონთან ერთად ჩემი მიზანია, რომ საქართველოსნაირმა ქვეყნებმა რაგბი უფრო უკეთ ითამაშონ, განვითარდნენ. ქართულ რაგბისთან ჩემი სახელის დაკავშირებით, ვფიქრობ, მისადმი ინტერესი გაიზრდება. მე თქვენთან ვიქნები მანამ, სანამ საქართველოს ნაკრები „ოლ ბლექსს" საფრთხეს არ შეუქმნის.*

*საამისოდ კი ძალიან ბევრი და სწორი მიმართულებით შრომაა საჭირო. ახალგაზრდა მორაგბეებზე ზრუნვით და ჩვეული ჟინით თამაშით, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა მალე შესაძლებელი გახდება"*

**რიჩი დიქსონი**
***საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:***

*„აღფრთოვანებული ვართ, რომ შონ ფიცპატრიკი გვეწვია. ასეთი დონის პიროვნების დაინტერესება იმის ნიშანია, რომ ქართული რაგბი ყოველმხრივ ვითარდება, ავტორიტეტს იხვეჭს. ის ყველაზე გამორჩეული „ოლ ბლექსი" იყო და, ვფიქრობ, მისი გამოცდილება ჩვენთვის ფასდაუდებელი იქნება."*

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ახალზელანდიელ სტუმარს საქართველოს ეროვნული ნაკრების კვართი უსახსოვრა. სასტუმრო „თბილისი მერიოტიდან" სტუმარი „შევარდენის" სანაკრებო ბაზის დასათვალიერებლად წაიყვანეს. იქ იმ დროს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 18-წლამდელთა გუნდთან სპარინგ მატჩს მართავდა. შონ ფიცპატრიკმა ორივე გუნდთან ერთად სამახსოვრო ფოტო გადაიღო და სიტყვით მიმართა.

*„ახალი ზელანდიის ნაკრებში 12 წელიწადი ვითამაშე. მანამდე, ისევე როგორც თქვენ, 18-წლამდელთა და 20-წლამდელთა ნაკრებების წევრი ვიყავი. მაშინ ნათლად მქონდა გაცნობიერებული, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვევით შანსი მომცეს. ყველაფერი ვიღონე და ეს შანსი გამოვიყენე. თქვენ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრები ხართ. ეს თქვენი შანსია, გამოიყენეთ ის. შესაძლოა, ამან თქვენი ცხოვრება მთლიანად შეცვალოს".*

31 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში



ბილ ბემონტი (მარცხნივ)

### 1889 წელი

ახალი ზელანდიის მაორებმა ბრიტანულ ტურნეში შესანიშნავი გამარჯვება იზეიმეს „ექსეტერთან" მატჩში - 12:0. მგეზავმა **ჯო ვერბრიკმა** ამ შეხვედრაში, ტურნეში მაორების მიერ გატანილი შვიდი ლელოდან ერთი გარდასახა.

### 1954 წელი

ახალი ზელანდიის ნაკრებმა „თვიქნემზე" ინგლისის ეროვნულ გუნდს მოუგო. ლელო **ნელსონ დელზელმა** გაიტანა, გარდასახვა კი ბობ სკოტმა მიითვალა. იმავე დღეს სუონსიში უელსისა და შოტლანდიის ნაკრებების მატჩი უნდა გამართულიყო, თუმცა დიდთოვლობის გამო გადაიდო.

### 1969 წელი

ინგლისის სამეფო ფლოტმა ჯარის ნაკრებთან ყოველწლიურ, ტრადიციულ დაპირისპირებამდე ერთი კვირით ადრე პორტსმუთში „ჰემფშირს" მოუგო - 11:0.

### 1971 წელი

ირლანდიის ნაკრები საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან ხუთი ერის გათამაშებაში მარცხს **ედ გრანტის** ლელოს წყალობით გადაურჩა - 9:9. **ტომ კირანი** თანაგუნდელთან შეჯახების შედეგად დაშავდა და მის ნაცვლად მატჩში **ბარი ოდრისკოლი** ჩაერთო, რომელმაც ორი საჯარიმო გაიტანა.

### 1982 წელი

მოზლის საგრაფოს ჩემპიონატის ფინალში „ლანკშირსა" და „ჩრდილოეთ მიდლენდს" შორის, **ბილ ბემონტმა** პირველი ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც იძულებული გახდა რაგბიდან წასულიყო. მოგვიანებით მისმა თანაგუნდელმა **სტივ სმითმა** თქვა: „ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მარჯვენა ხელი დავკარგე".

### 1999 წელი

„ლენსდაუნ როუდმა" პირველად უმასპინძლა „ჰაინეკენის თასის" გათამაშებას. „ალსტერი" პირველი გუნდი იყო, რომელმაც ეს ტურნირი მოიგო. ირლანდიელებმა ფინალში ფრანგული „კოლომიე" დაამარცხეს 21:6. თამაშს 49 ათასი მაყურებელი დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ „ალსტერმა" ფინალისკენ მიმავალ გზაზე ორი ფრანგული გრანდი, „ტულუზი" და „სტად ფრანსე" ჩამოიშორა. ფინალის გმირი კი, **საიმონ მეისონი** გახდა, რომელმაც 6 საჯარიმო გაიტანა.

### 2009 წელი

ინგლისის A ნაკრებმა პორტუგალიის ეროვნული გუნდი გაანადგურა - 66:0. ინგლისელთა ცხრა ნომერმა **ჰარი ელისმა** ორი ლელო გაიტანა, შესანიშნავად ითამაშა და ეროვნული ნაკრების თავკაც **მარტინ ჯონსონს** თავი შეახსენა.

რაგბი და კრივი

# სონი ბილი ახალი ალი?

ახალი ზელანდიის ნაკრების შუამარბმა **სონი ბილ ვილიამსმა** პროფესიულ რინგზე მესამე შეხვედრა გამართა და ისიც მოიგო. ავსტრალიელმა კრივის პრომოუტერმა **ტონი მანდინმა** ის ლეგენდარულ ამერიკელ მოკრივე **მუჰამედ ალის** შეადარა.

*„სონი ბილ ვილიამსი ერთი წლის წინათ ვნახე და გაოცებული დავრჩი. მისი მოძრაობის მანერამ, ჭკუამ, ფიზიკურმა მონაცემებმა მუჰამედ ალი გამახსენა. მას შემდეგ სონი ბილმა დიდი პროგრესი განიცადა და, დარწმუნებული ვარ, თუ კრივს გაჰყვება, ალისავით დიდი მოკრივე დადგება," - თქვა მანდინმა.*

სონი ბილ ვილიამსი ბრძოლის შემდეგ ქრაისთჩერჩში გაემგზავრა, სადაც „კრუსეიდერზი" ზე რაგბის წლევანდელი გათამაშებისთვის ემზადება. მისი მთავარი საფიქრალი ამჟამად „კრუსეიდერზთან" ერთად წარმატებული თამაში და ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის მოგებაა.

უკვე ბევრს ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ სონი ბილი მსოფლიო თასის შემდეგ რაგბი ლიგაში დაბრუნებას აპირებს. თუმცა ეს მხოლოდ ლაპარაკია და სინამდვილეში რა მოხდება, თავად ვილიამსმაც არ იცის.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

საანგარიშო ყრილობა

# ანგარიშგება, რომელიც ამინისტიით დამთავრდა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში საქართველოს რაგბის კავშირის ყოველწლიური საანგარიშო ყრილობა გაიმართა. ქართული რაგბის თემის თავშეყრის დღის წესრიგში ოთხი საკითხი იყო, გასული, 2010 წლის ანგარიშგება, 2011 წლის ბიუჯეტის განხილვა, ქრთული რაგბის თემის ქარტიის მიღება და ინფორმაცია სპორტული არბიტრაჟის შექმნის შესახებ.

გასული წლის შედეგებზე მოხსენება რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** გააკეთა. მან არა მარტო სპორტულ შედეგებსა და მიღწევებზე ილაპარაკა, არამედ ხაზი გაუსვა მსოფლიოში და, რაც მთავარია, IღB-ში ქართული რაგბის მზარდ ავტორიტეტს. წარმოადგინა ასევე საფინანსო ანგარიში.

განხილულ იქნა 2011 წლის ბიუჯეტიც, რომელიც ამ დროისთვის დეფიციტურია და მის შესავსებად დამატებითი ძალისხმევაა საჭირო.

ყრილობზე მიიღეს ქართული რაგბის თემის ქარტია, რომელიც მორაგბეთა, მწვრთნელთა, მსაჯთა, რაგბის ფუნქციონერთა და გულშემატკივართა ქცევის დეკლარაციაა. ქარტიის მიღებასთან დაკავშირებით, ყრილობამ რაგბის კავშირის პრეზიდენტს და გამგეობას დაავალა, დისკვალიფიცირებული მოთამაშეებისა და მწვრთნელების ამინისტირების საკითხის განხილვა.

ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მონოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მეფეები გაცოცხლდნენ

გასული უქმეები რეგულარულ ჩემპიონატში რამდენიმე სენსაციით აღინიშნა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, აღსანიშნავია კალიფორნიული დერბი, რომელშიც მოქმედი ჩემპიონი „ლეიკერსი“ დასავლეთის უსუსტეს გუნდს - „საკრამენტო კინგზს“ ხვდებოდა. **კობი ბრაიანტის** 38 ქულის მიუხედავად, **ფილ ჯექსონის** გუნდმა დაგეგმილი გამარჯვება გაუშვა ხელიდან. „საკრამენტო“ მატჩის მსვლელობისას 20 ქულით იყო წინ, მაგრამ „ლეიკერსმა“ შეძლო სპურტის მოწყობა და თითქმის დაეწია მეტოქეს, მაგრამ შეხვედრაში საბოლოო წერტილის დასმა ვერ მოახერხა.

საფინალო სირენამდე 2 წუთითა და 43 წამით ადრე **პაუ გასოლმა** სხვაობა სამ ქულამდე დაიყვანა და თითქოს გამარჯვებამდე ბევრი აღარაფერი იყო დარჩენილი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში **ევანსმა** და **კასპიმ** იყოჩაღეს და საკუთარ გუნდს სეზონში მე-11 გამარჯვება აჩუქეს. სხვათა შორის, ამ მატჩის შემდეგ ბრაიანტმა NBA-ის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელების სიაში **ჰაკიმ ოლაჯუონს** გაასწრო და მერვე ადგილზე გადაინაცვლა.

„საკრამენტო“ ამით არ დაკმაყოფილდა და მეორე დღეს მეორე სენსაცია გამოაცხო. ამჯერად 10-მატჩიანი მოგებათა სერია შეაწყვეტინა „ნიუ ორლეანს“. აღსანიშნავია, რომ „მეფეებმა“ სეზონში პირველად მოიგეს ზედიზედ ორი მატჩი. ამ გამარჯვებებში ყველაზე დიდი წვლილი 2010 წლის დრაფტის მეხუთე ნომერმა **დემარკუს კაზინსმა** დაიდო - „ლეიკერსს“ 27 ქულა ჩაუგდო, „ნიუ ორლეანს“ 25, რასაც 12 მოხსნა და 7 შედეგიანი პასი დაუმატა. გარდა ამისა, „საკრამენტომ“ თამაშიდან 51.2 და 50 პროცენტის სიზუსტით ესროლა.

პირველი მატჩი წააგო დასავლურ ტურნეში „ბოსტონ სელტიქსმა“. „პორტლენდთან“ მოგების შემდეგ „კელტები“ არიზონაში „ფინიქსის“ წინააღმდეგ დაღლილები და ანერვიულებულები ჩანდნენ. პირველივე მეოთხედში ისინი 14 ქულით ჩამორჩნენ „სანზს“ და შემდეგ ველარ შეძლეს მეტოქის დაწევა. მეორე მეოთხედში „ბოსტონის“ დამრიგებელმა **დოკ რივერსმა** მსაჯების გადაწყვეტილების მიმართ ირონიული რეაქციის გამო ორი ტექნიკური მიიღო და გასახდელში მოუწია წასვლამ. „ბოსტონი“ ანერვიულდა, რითაც კარგად ისარგებლეს მასპინძლებმა, რომელთა რიგებში ფანტასტიკურად ითამაშა ცენტრმა **მარცინ გორტატმა** - პოლონელმა მისთვის სარეკორდო 19 ქულა და 17 მოხსნა მიითვალა. მეოთხე მეოთხედში „ბოსტონი“ მაინც მიუახლოვდა სახიფათო მანძილზე მეტოქეს, მაგრამ აქ გუნდი **კევინ გარნეტმა** დაალალატა. მან უხეშად ითამაშა **ჩენინგ ფრაის** წინააღმდეგ, რასაც ჩხუბი მოჰყვა და გარნეტი მოედნიდან მიაბრძანეს. „სანზმა“ მხოლოდ 71 ქულა ჩააგდებინა ფავორიტს და 88:71 გაიმარჯვა.

უქირს „მაიამი ჰიტს“, რომელსაც კვლავ ლიდერების გარეშე უწევს თამაში. **კრის ბოშს დუეინ უეიდი** დაემატა და „დეტროიტის“ წინააღმდეგ „დიდი ტრიოდან“ მხოლოდ **ლებრონ ჯეიმსს** მოუწია თამაში. „მეფემ“ არ დაალალატა თავისი გუნდი და ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ფლორიდელთა გამარჯვებაში - 39 ქულა, ცხრა პასი და რვა მოხსნა. „დეტროიტის“ რიგებში საუკეთესო იყო ვეტერანი **ტრეისი მაკგრეიდი**, ვისაც ორი მოხსნა არ ეყო სამმაგ დუბლამდე - 14 ქულა, 10 პასი და რვა მოხსნა. თუმცა შეხვედრის გადამწყვეტმა მომენტებმა ლებრონისა და ტრეისის გარეშე ჩაიარა. „მაიამის“ ერთქულიანი გამარჯვება **ჰაუსმა** და **ჯეიმს ჯონსმა** გაუნაღდეს. პირველმა 6.5 წამით ადრე ორი საჯარიმო გამოიყენა, მეორემ კი ეფექტური დაფარებით შეაჩერა „დეტროიტის“ ბოლო შეტევა - ჯონსმა **ოსტინ დეის** დაუფარა და ლებრონს მატჩის გმირის სტატუსში შეეცილა.


ბურთით დემარკუს კაზინსი

**28 იანვარი**

**ტორონტო-მილუოკი 110:116 (ო)**

22:32, 35:23, 21:26, 26:23, 6:12

ტ: ჯონსონი (24+12 მოხსნა), ბარნიანი (23), კალდერონი (13+10 პასი), დეროზანი (11), უიმსი (10+6 პასი), აჯინკა (10).

მ: მაგეტი (29+11 მოხსნა), ილიასოვა (25+7 მოხსნა), ბოგუტი (24+7 მოხსნა), დელფინო (15+6 პასი), დაგლას-რობერტსი (11), დულინგი (10).

**ინდიანა-ნიუ ჯერსი 124:92**

32:27, 36:27, 36:24, 20:14

ი: დანლივი (30), ჰიბერტი (20), გრეინჯერი (18), ჯორჯი (15).

ნ-ჯ: ლოპესი (28), აუთლო (12).

**ფილადელფია-მემფისი 94:99**

18:21, 26:19, 29:17, 21:42

ფ: მიქსი (16), ჰოლიდეი (16), ბრენდი (15+9 მოხსნა), იგუოდალა (12+9 პასი+8 მოხსნა).

მ: რენდოლფი (22+12 მოხსნა), გეი (16), კონლი (13), გასოლი (12), იანგი (12).

**მაიამი-დეტროიტი 88:87**

19:22, 20:20, 25:26, 24:19

მ: ჯეიმსი (39+9 პასი+8 მოხსნა), ჰაუსი (15), მილერი (12+10 მოხსნა).

დ: გორდონი (21), დეი (19+9 მოხსნა), მაკგრეიდი (14+10 პასი+8 მოხსნა+4 დაფარება), უილკოქსი (10+10 მოხსნა).

**კლივლენდი-დენვერი 103:117**

24:31, 26:39, 33:23, 20:24

კ: ჰიქსონი (24+14 მოხსნა), ჯეიმისონი (20+12 მოხსნა+6 პასი), გიბსონი (15), სეშენსი (14+13 პასი), გრემი (14).

დ: ენტონი (33+7 მოხსნა), აფლალო (23+7 მოხსნა), ლოუსონი (15), ბილაპსი (11), სმიტი (10).

**ატლანტა-ნიუ იორკი 111:102**

30:21, 30:22, 31:33, 20:26

ა: ჯონსონი (34+8 მოხსნა+7 პასი), სმიტი (24+9 მოხსნა), ჰორფორდი (19+14 მოხსნა+6 პასი), უილიამსი (12), კროუფორდი (11).

ნ-ი: სტაუდმაიერი (27), ფელტონი (21+13 პასი), ფილდსი (15), უილიამსი (12+11 მოხსნა), გალინარი (12).

**ოკლაჰომა-ვაშინგტ. 124:117 (ო)**

21:29, 35:23, 19:28, 28:23, 7:7, 14:7

ო: დურანტი (40+7 მოხსნა), უესტბრუკი (35+13 პასი+13 მოხსნა), გრინი (13+12 მოხსნა).

ვ: იანგი (32), ლუისი (22+8 მოხსნა), ბუკერი (21+12 მოხსნა), უოლი (13+10 პასი), ბლეტჩი (13).

**ჩიკაგო-ორლანდო 99:90**

24:23, 22:28, 34:17, 19:22

ჩ: დენგი (26+8 მოხსნა), როუზი (22+12 პასი), ბუზერი (16+16 მოხსნა).

ო: ჰოვარდი (40+15 მოხსნა), არენასი (11).

**იუტა-მინესოტა 108:100**

32:25, 26:30, 27:22, 23:23

ი: მილსეპი (30+8 მოხსნა+6 ჩაჭრა), კირილენკო (27+7 პასი), მაილზი (22+7 მოხსნა), უოტსონი (10+13 პასი).

მ: ლავი (22+15 მოხსნა), ჯონსონი (19), ბიზლი (16+11 მოხსნა), მილიჩიჩი (11+9 მოხსნა).

**ფინიქსი-ბოსტონი 88:71**

30:16, 19:19, 26:23, 13:13

ფ: გორტატი (19+17 მოხსნა), კარტერი (17), ნეში (13+10 პასი), ლოპესი (11), პიეტრუსი (11).

ბ: გარნეტი (18+9 მოხსნა), პირსი (14).

**გ. სტეიტი-შარლოტი 113:121 (ო)**

28:22, 22:22, 26:27, 25:30, 12:20

გ-ს: კარი (27), რაიტი (21+6 პასი), ელისი (21+6 პასი+5 ჩაჭრა), ლი (12+11 მოხსნა), ბიედრინში (10+12 მოხსნა).

შ: ჯექსონი (31+7 მოხსნა), ოგუსტინი (27+12 პასი), მუჰამედი (13), დიაო (13), ბრაუნი (12).

**ლეიკერსი-საკრამენტო 95:100**

33:30, 22:29, 16:26, 24:15

ლ: ბრაიანტი (38+7 პასი), ბრაუნი (17), ბინუმი (12), გასოლი (9+11 მოხსნა).

ს: კაზინსი (27+10 მოხსნა), კასპი (20+8 მოხსნა), დალემბერი (18), ევანსი (13), ლენდრი (12+10 მოხსნა).

**29 იანვარი**

**ჩიკაგო-ინდიანა 110:89**

25:27, 30:24, 22:21, 33:17

ჩ: ბუზერი (24+10 მოხსნა), როუზი (20+7 პასი), დენგი (19+8 პასი), კრვეპ (16)

ი: მაკრობერტსი (20+8 მოხსნა), გრეინჯერი (19), დანლივი (13), პრაისი (12), კოლისონი (11+8 პასი).

**მემფისი-ვაშინგტონი 107:93**

33:28, 26:22, 27:17, 21:26

მ: რენდოლფი (24+20 მოხსნა), არტერი (22), კონლი (15+12 პასი), ალენი (15), გასოლი (14+8 მოხსნა+5 დაფარება), იანგი (10).

ვ: უოლი (14+8 პასი), ბუკერი (12+12 მოხსნა), მარტინი (12), ტორნტონი (12), ბლეტჩი (10+9 მოხსნა), ლუისი (10).

**მინესოტა-ტორონტო 103:87**

21:20, 28:19, 31:20, 23:28

მ: ლავი (21+12 მოხსნა), უებსტერი (15), ჯონსონი (14), ფლინი (10+8 პასი).

ტ: დევისი (15+11 მოხსნა), ბარნიანი (15), ჯონსონი (11), კალდერონი (10+9 მოხსნა+6 პასი), ბეილესი (10).

**დალასი-ატლანტა 102:91**

28:24, 24:25, 25:29, 25:13

დ: ნოვიცკი (19), ტერი (18+11 პასი), კიდი (12+8 მოხსნა), ჩენდლერი (12), ჰეივუდი (10), მერიონი (10).

ა: ჯონსონი (27+8 მოხსნა+6 პასი), სმიტი (17+7 მოხსნა), კროუფორდი (11), ჰორფორდი (10+9 მოხსნა).

**მილუოკი-ნიუ ჯერსი 91:81**

22:25, 23:12, 23:24, 23:20

მ: დელფინო (21), ბოგუტი (17+18 მოხსნა+7 დაფარება), დულინგი (14+9 პასი), ილიასოვა (14+8 მოხსნა), მაგეტი (14).

ნ-ჯ: ლოპესი (26), მოროუ (16), ჰარისი (10+16 პასი), ჰემფრიზი (1+10 მოხსნა).

**სან ანტონიო-ჰიუსტონი 108:95**

25:26, 28:25, 23:20, 32:24

ს-ა: ჯინობილი (22), ჯეფერსონი (18), პარკერი (17), ბლეირი (14+12 მოხსნა), ჰილი (14), დანკანი (12+7 მოხსნა).

ჰ: სკოლა (23+10 მოხსნა), ლოური (15+7 პასი), ჰეიესი (10+7 მოხსნა), მარტინი (10).

**საკრამენტო-ნიუ ორლეანი 102:96**

24:22, 32:24, 20:21, 26:29

ს: კაზინსი (25+12 მოხსნა+7 პასი), ევანსი (18+6 პასი), დალემბერი (16), უდრიხი (14).

ნ-ო: უესტი (21+7 მოხსნა), პოლი (19+7 პასი), ტორნტონი (16), ოკაფორი (15), არიზა (12)

**კლივლენდი-შარლოტი 103:88**

24:23, 33:19, 26:18, 20:28

კ: გრიფინი (24+10 მოხსნა), ფოიე (21), გომესი (18), დევისი (12+11 პასი), დიოგუ (10).

შ: ჯექსონი (14), ჰენდერსონი (14), ოგუსტინი (13), ბრაუნი (7+12 მოხსნა).

# თურქეთში აღარ დაბრუნდება

თურქული პრესის ინფორმაციით, NBA-ის ლეგენდამ **ალენ აივერსონმა** შეატყობინა „ბეშიქთაშს“ იმის შესახებ, რომ აღარ აპირებს მის რიგებში თამაშს.

ამჟამად აივერსონი ამერიკაში იმყოფება, სადაც ტრავმირებულ ფეხზე ოპერაცია უნდა გაიკეთოს. შეგახსენებთ, რომ ამ დაზიანებას შეიძლება ხაზი გადაესვა ვეტერანი მცველის კარიერისთვის, მაგრამ ექიმებმა დააიმედეს კალათბურთელი, რომ რამდენიმე ოპერაციის შემდეგ ის შეძლებს თამაშის გაგრძელებას.

გამოცემა Kartal Haber წერს, რომ აივერსონი სპეციალურ პრესკონფერენციაზე აპირებს საკალათბურთო სამყაროს სიტუაციაში გარკვევას, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ის გამოეთხოვა „ბეშიქთაშის“ გულშემატკივრებს, აგრეთვე მოასწრო კლუბის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის გაწყვეტის დეტალებზე მოლაპარაკება.

ჯერჯერობით არაფერია ცნობილი „ბეშიქთაშის“ მხრიდან ოფიციალური რეაქციის შესახებ. სავარაუდოდ, ყველაფერი კალათბურთელის პირველი ოპერაციის შემდეგ გაირკვევა.

შეგახსენებთ, რომ აივერსონი სტამბოლის „ბეშიქთაშში“ შემოდგომაზე გადავიდა და დაახლოებით 15 მატჩის ჩატარება მოასწრო, იანვრის დასაწყისში კი სერიოზული ტრავმა მიიღო და ამერიკაში გაემგზავრა სამკურნალოდ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| NBA | |
|---|---|
| ოკლაჰომა-მაიამი | 103:108 |
| ლეიკერსი-ბოსტონი | 96;109 |
| **იტალია** | |
| მონტეგრანარო-მონტეპასკი | 150:59 |
| ვანოლი-კანტუ | 68:71 |
| ვარეზე-აველინო | 83:85 |
| რომა-სკავოლინი | 85:53 |
| ტერამო-ბიელა | 87:83 (ო) |
| კაზერტა-სასარი | 90:94 (ო) |
| ბოლონია-ბრინდიზი | 93:72 |
| **ესპანეთი** | |
| ვალენსია-ბილბაო | 68:54 |
| მანრესა-რეალი | 61:62 |
| მენორკა-ხუვენტუდი | 72:87 |
| კახასოლი-ხირონა | 73:61 |
| ბარსელონა-გრანადა | 75:64 |
| **საბერძნეთი** | |
| არისი-პანელინიოსი | 73:63 |
| ირაკლისი-პაოკ | 67:86 |
| პანიონიოსი-იკაროსი | 96:84 (ო) |
| **გერმანია** | |
| ტრირი-ალბა | 69:75 |
| ჰაგენი-მიტელდოიჩე | 79:87 (ო) |
| ტელეკომ ბონი-ტიუბინგენი | 70:82 |
| ბრემერჰავენი-ბამბერგი | 58:73 |
| ბაიროიტი-გისენი | 82:86 |

**ხელბურთი**

| მს. ჩემპიონატი | |
|---|---|
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| შვედეთი-ესპანეთი | 23:24 |
| **ფინალი** | |
| საფრანგეთი-დანია | 37:35 (ო) |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ავტომობილისტი-ატლანტი | 1:2 |
| მეტალურგი (მ)-ვიტიაზი | 2:0 |
| ს. იულიაევი-დინამო (მ) | 7:1 |
| აკ ბარსი-ლოკომოტივი | 2:3 |
| ნეფტეხიმიკი-ტორპედო | 3:4 (ო) |
| დინამო (მნ)-ცსკა | 2:3 (ბ) |
| **შვეიცარია** | |
| რაპერსვილი-ცუგი | 2:1 |
| ამბრი-ლანგნაუ | 2:6 |
| **ავსტრია** | |
| გრაცი-ზალცბ. | 2:3 (ო) |
| აკრონი-ვენა | 4:3 |
| ვილახი-ოლიმპია | 1:2 (ო) |
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 2:1 (ო) |
| ლინცი-ზაგრები | 7:6 (ო) |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-სლავია | 3:2 (ბ) |
| ვიტკოვიცე-კლადნო | 2:1 (ბ) |
| ლიბერეცი-ბრნო | 5:2 |
| სპარტა-ბოლესლავი | 4:2 |
| ბუდეიოვიცე-ტრშინეცი | 4:1 |
| პლზენი-პარდუბიცე | 3:2 |
| ლიტვინოვი-ზლინი | 3:1 |
| **დანია** | |
| ესბერგი-ჰერნინგი | 1:5 |
| სონდერიისკი-ოდენსე | 1:2 (ბ) |
| ოლბორგი-ჰვიდოვრე | 8:4 |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-კიოლნი | 3:1 |
| შტრაუბინგი-ინგოლშტადტი | 2:6 |
| აუგსბურგი-მიუნხენი | 2:1 |
| კრეფელდი-ჰამბურგი | 0:3 |
| ნიურნბერგი-დიუსელდორფი | 4:7 |
| ვოლფსბურგი-მანჰაიმი | 1:0 |
| **ნორვეგია** | |
| სტიორნენი-ლორენსკოგი | 2:6 |
| მანგლერუდი-სტავანგერი | 1:3 |
| სტორჰამარი-სპარტა | 3:1 |
| ფრისკ ასკერი-ვოლერენგა | 1:3 |
| რუსენბორგი-ლილეჰამერი | 1:8 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-პოპრადი | 1:7 |
| ბისტრიცა-მარტინი | 4:3 (ბ) |
| სკალიცა-ტრენჩინი | 4:2 |
| კოშიცე-ნიტრა | 7:1 |
| სლოვანი-ზვოლენი | 6:1 |

● TV პროგრამა

**31 იანვარი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ვალენსია (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ვალენსია (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

06:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-შარლოტი (LIVE).

● ჰოკეი. ყველა ვარსკვლავის მატჩი 2011

# კაპიტნების დრაფტი

„ყველა ვარსკვლავის მატჩის“ წინ გუნდების კაპიტნებმა დრაფტის პროცედურის მეშვეობით შემადგენლობები დააკომპლექტეს. **ნიკლას ლიდსტრიომი** და **ერიკ სტაალი** მორიგეობით ირჩევდნენ მოთამაშეებს იმ სიიდან, რომელიც წინასწარ შეადგინა ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ.

პირველ ნომრად სტაალმა „კაროლინაში“ თავისი თანაგუნდელი, მეკარე **კემ უორდი** აირჩია, ლიდსტრიომმა კი უპირატესობა მიანიჭა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ **სტივენ სტემკოსს**. საბოლოოდ, დრაფტის შემდეგ გუნდების შემადგენლობებმა ასეთი სახე მიიღო:

**სტაალის გუნდი**: ერის სტაალი („კაროლინა“), კემ უორდი („კაროლინა“), ალექსანდრ ოვეჩკინი („ვაშინგტონი“), დანიელ სედინი („ვანკუვერი“), ზდენო ხარა („ბოსტონი“), რიკ ნეში („კოლამბუსი“), ჰენრიკ ლუნდკვისტი („რეინჯერსი“), მარკ სტაალი („რეინჯერსი“), პატრიკ შარპი („ჩიკაგო“), დენ ბოილი („სან ხოსე“), კერი პრაისი („მონრეალი“), ჯეფ სკინერი („კაროლინა“), კრის ლეტანგი („პიტსბურგი“), კლოდ ჟირუ („ფილადელფია“), ერიკ კარლსონი („ოტავა“), კორი პერი („ანაჰაიმი“), პატრიკ ელიაში („ნიუ ჯერსი“), დევიდ ბეიკსი („სენტ ლუისი“), პოლ შჩასტნი („კოლორადო“).

**ლიდსტრიომის გუნდი**: სტივენ სტემკოსი („ტამპა ბეი“), დანკან კეიტი („ჩიკაგო“), ჰენრიკ სედინი („ვანკუვერი“), ში უებერი („ნეშვილი“), ტიმ ტომასი („ბოსტონი“), დანიელ ბრიერი („ფილადელფია“), დასტინ ბიფულინი („ატლანტა“), ჯონათან ტეუვზი („ჩიკაგო“) , მარკ-ანდრე ფლერი („პიტსბურგი“), იონას ჰილერი („ანაჰაიმი“), ბრედ რიჩარდსი („დალასი“), კეიტ იენდლი („ფინიქსი“), ბრენტ ბერნსი („მინესოტა“), მარტინ ჰავლატი („დალასი“), ანზე კოპიტარი („ლოს ანჯელესი“), მეტ დუშენი („კოლორადო“), ლუის ერიქსონი („დალასი“), ფილ კესელი („ტორონტო“).

რაც შეეხებათ მწვრთნელებს, „სტაალის გუნდის“ დამრიგებელი გახდა „ჩიკაგო ბლეკჰოქსის“ თავკაცი **ჯოელ კინევილი**, „ლიდსტრიომის გუნდს“ კი „ვანკუვერის“ მთავარი მწვრთნელი **ალენ ვინიო** მოამზადებს.

■ ■ ■

მოგეხსენებათ, „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ უნდა ეთამაშა „პიტსბურგ პინგვინზის“ კაპიტან **სიდნი კროსბის**, მაგრამ ლიგის მთავარი ვარსკვლავი ტრავმას მკურნალობს. კროსბიმ ბოლო ცხრა მატჩი ტვინის შერყევის გამო გამოტოვა და ჯერაც შორს არის დაბრუნებისგან.

ჯერჯერობით კროსბიმ მხოლოდ ყინულის მიღმა მსუბუქი ვარჯიშების განახლება შეძლო და ძირითად დროს სატრენაჟორო დარბაზში ატარებს.

ამ ეტაპზე კლუბის ხელმძღვანელობა ვერ ასახელებს ფორვარდის ყინულზე დაბრუნების ზუსტ თარიღს. ანალოგიური სიტუაციაა კლუბის მეორე ლიდერ **ევგენი მალკინთან** დაკავშირებით, რომელიც მუხლის ტრავმას მკურნალობს.


ნიკლას ლიდსტრიომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კარატე


ცენტრში გოგიტა არქანია


თათია მელუა სპორტულ ნადავლთან


თათია მელუას (მარჯვნივ) ეფექტური შეტევა

**გოგიტა არქანიამ უდანაკარგოდ იჩემპიონა; თათია მელუას წარმატება ქართველ ქალთა კარატეს ისტორიაში უპრეცედენტოა**

# ალიგატორი წინ, საქართველოს გაუმარ-ჯოს!

15-16 იანვარს პარიზში კარატეს მსოფლიო ფედერაციის მიერ ორგანიზებული უძლიერესი დონის ტურნირი „პარიზის ღია ჩემპიონატი" ჩატარდა, რომელშიც მსოფლიოს 45 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებმა იასპარეზეს, სულ 500-მდე კარატისტმა. პრემიერლიგის ამ ტურნირზე კარატისტებს სარეიტინგო ქულების დაგროვების საშუალება ეძლევათ. ასეთი სარეიტინგო ტურნირი კარატეს ისტორიაში პირველად ჩატარდა და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ყველაზე პრესტიჟულია.

საქართველოს ნაკრებს ამ ტურნირზე ორი სპორტსმენი წარმოადგენდა – 26 წლის **გოგიტა არქანია** და 24 წლის **თათია მელუა**. არქანიამ 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა და ჩემპიონი გახდა. გზად მან 6 მეტოქეს აჯობა, ჯამში 24 ქულა მოიპოვა და ერთიც არ დაუკარგავს. ფინალში არქანიამ ევროპის ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულს, კონტინენტის მოქმედ ჩემპიონს, ჰოლანდიელ **ტიმოტი პეტერსენს** 2:0 სძლია.

თათიამ ძალები აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მოსინჯა და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მანაც ექვსი ორთაბრძოლა ჩაატარა, ფინალამდე კი მცირედი დააკლდა. ნახევარფინალის დამატებით დროში თათია ვენესუელელ კარატისტთან დამარცხდა, რის შემდეგაც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში შვეიცარიელ მეტოქეს სძლია. ამ დონის შეჯიბრებებში ასეთი წარმატება ქართველ ქალთა კარატეს ისტორიაში უპრეცედენტოა.

პარიზში გამგზავრებამდე ჩვენმა კარატისტებმა ერთ კვირიანი შეკრება თურქეთში, კლუბ "ქოჯაელის" შემადგენლობაში გაიარეს, სადაც ლეგენდარული თურქი კარატისტის, **ჰალდუნ ალაგაშის** მიწვევით იყვნენ. გოგიტა და თათია საფრანგეთში პირადი მწვრთნელის გარეშე ჩავიდნენ და ალაგაშმა მათ რჩევა-დარიგებები უშუალოდ პარიზის ღია ჩემპიონატზეც მისცა.

პარიზული ტურნირის დონის შეჯიბრება მსოფლიოს მასშტაბით წლეულს კიდევ სამჯერ გაიმართება და ჩვენი კარატისტები იქ გამგზავრებასაც გეგმავენ. პარიზის ღია პირველობაზე წარმატებამ ქართველები მსოფლიო რეიტინგში წინ წასწია, გოგიტასა და თათიას ქართველ კარატისტთა შორის რეიტინგში საუკეთესო მაჩვენებელი აქვთ, ხოლო გოგიტა მსოფლიოს აბსოლუტურ რეიტინგში ლიდერობს.

არქანია და მელუა თანადგომისთვის დიდ მადლობას უხდიან კლუბ "ალიგატორის" ხელმძღვანელობას, თავიანთ სენსეის **ზურაბ ლეჟავას** და მწვრთნელს **ჰიდაიად შაბანოვს**. მათი პარიზში ცხოვრება დააფინანსა ირანულმა კლუბმა "სადრამ" და მისმა პრეზიდენტმა **ჰუსეინ აბედიმ**, ვისაც გოგიტა და თათია ასევე ძალიან ემადლიერებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

®

● ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# ენდიმ ფინალის თამაში არ იცის

სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და ბელგიელი **კიმ კლაისტერსის** ტრიუმფით დასრულდა ავსტრალიის ღია პირველობა. ნოვაკმა კარიერაში მეორედ მოიგო „დიდი სლემის" ტურნირი (ორივეჯერ - ავსტრალია), მიურეიმ კი მესამედ ითამაშა ამ ეტაპზე და მესამედ ისე წააგო, რომ სეტი არ აუღია.

ექსპერტთა უმრავლესობა მატჩის წინ ჯოკოვიჩს ანიჭებდა უპირატესობას. მან უფრო დამაჯერებლად გაიარა წინა რაუნდები და მხოლოდ **ივან დოდიგს** დაუთმო ერთი სეტი, ამასთან, **ბერდიხსა** და **ფედერერს** შეხვდა. შოტლანდიელს უფრო იოლი ბადე ჰქონდა და მეტი პრობლემა. განსაკუთრებით მას **დოლგოპოლოვთან** და **ფერერთან** მატჩებში გაუჭირდა.

პირველი სეტი ჯოკოვიჩის მცირე უპირატესობით მიდიოდა, რადგან მიურეის პირველი მოწოდების პროცენტი არ უვარგოდა და მის გეიმებზე ყოველთვის ბრძოლა იყო. ერთ-ერთი ასეთი გეიმის დროს ნოვაკმა ორი სეტბოლი მიილო და პირველივე გამოიყენა - 6:4.

შემდეგ სეტშიც მიურეის პირველივე გეიმში ბრძოლა გაჩაღდა. სერბმა ორი ბრეიკპოინტი მიილო და მეორე ცდაზე შემოვლითი დარტყმით ბრეიკი გააკეთა. ასეთმა წარუმატებელმა სტარტმა ძალიან ცუდად იმოქმედა ენდიზე და მისი თამაში მთლიანად მოიშალა. ჯოკოვიჩმა 5:0-მდე აიყვანა უპირატესობა, რის შემდეგაც ოდნავ მოდუნდა და მიურეის ბრეიკის გაკეთების საშუალება მისცა (ალსანიშნავია, რომ მანამდე ბრიტანელს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია). ნოვაკმა მეორე სეტი 6:2 მოიგო.

მესამე სეტის დასაწყისში მიურეიმ მოულოდნელად ჯოკოვიჩის მოწოდება აილო, მაგრამ ეს უფრო სერბის დამსახურება იყო, რომელმაც 40:30-ზე იოლი გათამაშება ვერ მოიგო. ამ ბრეიკს ბრიტანელის მხრიდან თამაშის გაუმჯობესება არ მოჰყოლია. ენდი ისევ ბევრ შეცდომებს უშვებდა და ჯოკოვიჩმა მომენტალურად გაათანაბრა ანგარიში, მალე კი წინ გავიდა - 3:1. მიუხედავად ამისა, მიურეის ბრძოლა არ შეუწყვეტია და ბრეიკიც დაიბრუნა, შემდეგ ისევ დაკარგა და საბოლოოდ, ჯოკოვიჩმა ეს სეტიც იოლად აილო - 6:3.

■ ■ ■

კაცებისგან განსხვავებით, ქალებს შორის ფინალმა გაამართლა გულშემატკივართა მოლოდინი. არადა, იყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ გამოცდილი კიმ კლაისტერსი იოლად მოუგებდა ჩინელ **ნა ლის**. ბელგიელი მერვედ თამაშობდა „დიდი სლემის" ტურნირის" ფინალში, იმ დროს, როცა ლის პირველად უწევდა ასეთ დონეზე გამოსვლა. თუმცა ჩინელს ერთ თვეში 29 წელი უსრულდება და მისი მხრიდან გამოუცდელობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ნა ლიმ 2010 წლის ავსტრალიის ლიაზეც შესანიშნავად ითამაშა - ნახევარფინალამდე მიაღწია და იქ **სერენა უილიამსთან** წააგო. წელს აზიელს ამავე სტადიაზე ისევ პირველ ჩოგანთან მოუხდა თამაში და ამჯერად გაუმართლა - **ვოზნიაცკიზე** გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა.

და მაინც, თუ ლის გამოჩენა ფინალში მოულოდნელობად შეფასდა, კლაისტერსისგან სხვა შედეგს არც ელოდნენ. ბელგიელმა პირველივე მატჩში დაადასტურა საბრძოლო განწყობა, როცა ერთი გეიმიც არ დაუთმო მსოფლიოს პირველ ჩოგან **დინარა საფინას**. ტურნირის მსვლელობისას ბელგიელი ლოკალური ხასიათის პრობლემებს აწყდებოდა, მაგრამ იოლად ძლევდა მათ ისე, რომ სეტსაც არ თმობდა. როგორც გითხარით, კიმი მერვედ გავიდა „დიდი სლემის" ფინალში, თუმცა აქამდე მხოლოდ სამი ტიტული ჰქონდა მოგებული და სამივე ამერიკის ლიაზე.

პირად შეხვედრებში უპირატესობა ასევე კლაისტერსის მხარეს იყო - 4:2, თუმცა მათი ბოლო შეხვედრა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ სიდნეის ფინალში გაიმართა, ჩინელის სასარგებლოდ დასრულდა. მაშინ ბელგიელი პირველ პარტიაში 5:0-ს იგებდა, მაგრამ მოახერხა მატჩის ორ სეტში წაგება.

ნა ლი ვერ გაუმკლავდა სასტარტო მღელვარებას და პირველი ორი გეიმი დაუთმო ბელგიელს. მაგრამ შემდეგ ჩინელი გონს მოეგო და ინციატივა მოიპოვა. კიმს ბოლო დარტყმებისას სიზუსტე აკლდა, თანაც ლი ყველა ბურთზე ბოლომდე იბრძოდა და არაერთხელ გამოვიდა გამარჯვებული თითქმის უიმედო სიტუაციიდან. ამის წყალობით ჩინელმა სამჯერ აილო პირველ სეტში კლაისტერსის მოწოდება - 6:3. მთელი პარტიის განმავლობაში ბელგიელს მხოლოდ სამი „ვინერსი" (საკუთარი დარტყმით აღებული ქულა) ჰქონდა.

ბელგიელი მიხვდა, რომ მის თამაშში რაღაც შესაცვლელი იყო და მეორე სეტის სტარტიდანვე აქტიურობას მოუმატა. თუმცა ორივე ჩოგბურთელს მღელვარება უშლიდა ხელს და მათ კარგა ხანი უჭირდათ საკუთარი მოწოდებების შენარჩუნება. სეტის შუაში კი კიმის აქტიურობამ შედეგი მოიტანა. ნა ლი მიხვდა, რომ ინიციატივას კარგავდა და ანერვიულდა. იმატა შეცდომებმაც, კიმი კი ჯიუტად აგრძელებდა თამაშს და ამან მას სეტებს შორის ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა - 6:3.

გადამწყვეტ პარტიაში ლიმ თავიდანვე წინ გაუშვა მეტოქე. რაღაც მომენტში თითქოს დაუბრუნდა იმ თამაშს, რომელიც პირველ სეტში ჰქონდა, მაგრამ ინიციატივის დაბრუნებაში უამრავი შეცდომა უშლიდა ხელს. კიმი კი ბოლომდე კონცენტრირებული იყო საბრძოლველად და მეტოქისგან განსხვავებით, არც მსაჯებს, არც გულშემატკივრებსა და არც ფოტოაპარატების ჩხაკუნს აქცევდა ყურადღებას. ბოლო გეიმი მან ნულზე მოიგო და 6:3 გაიმარჯვა.

ბელგიელი ძალიან მიუახლოვდა რეიტინგში პირველ ადგილს - ახლა მას მხოლოდ 140 ქულა აშორებს კაროლინ ვოზნიაცკიმდე. თავის მხრივ, ნა ლი მისთვის სარეკორდო - მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლებს.

■ ■ ■

მამაკაცებს შორის წყვილთა თანრიგიც ფავორიტების გამარჯვებით დასრულდა - კარიერაში „დიდი სლემის" მეათე ტიტული მოიპოვეს ამერიკელმა ძმებმა - **ბობ** და **მაიკ ბრაიანებმა**. მათ სულ რაღაც საათი და 8 წუთი დასჭირდათ ინდური დუეტის - **მაეშ ბჰუპატისა** და **ლეანდერ პაესის** დასამარცხებლად. მატჩის ანგარიშია - 6:3, 6:4.

ალსანიშნავია, რომ ტყუპმა ძმამ მეხუთედ მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა და ამ მაჩვენებლით ერთი ტიტულით ჩამორჩებიან ლეგენდარულ ავსტრალიელებს - **მარკ ვუდფორდსა** და **ტოდ ვუდბრიჯს**. ამ ავსტრალიელთა მთავარი რეკორდი - ATP-ის ტურნირებზე 61 ტიტული ბრაიანებმა შარშან აგვისტოში გააუმჯობესეს და ახლა მათ ანგარიშზე 68 ტიტული მოდის.

რაც შეეხება შერეულ წყვილებს, აქ პირველობა **კატარინა სრებოტნიკმა** და **დანიელ ნესტორმა** მოიპოვეს. მათ სამ სეტში - 6:3, 3:6, 10:7 დაამარცხეს **ჩან-იუნ ჩანისა** და **პოლ ჰენლის** დუეტი. ალსანიშნავია, რომ სრებოტნიკმა ამ დისციპლინაში მეხუთე ტიტული მოიგო და „კარიერული სლემის" გასაფორმებლად უიმბლდონის მოგება სჭირდება.

**კაცები**

**ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 5) 6:4, 6:2, 6:3.

**ქალები**

**ფინალი**

**კიმ კლაისტერსი (ბელ, 3)**-ნა ლი (ჩინ, 9) 3:6, 6:3, 6:3.

**გია თვალაბეიშვილი**


კიმი მთავარი პრიზით